ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

№ 6, 2017

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

თბილისი - 2017

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პროგლემეგი და პერსპექტივეგი

ქეთევან შენგელია, ანა ჯიქია - ცხოვრების დონის
გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში ------- 6

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პროგლემეგი

თორნიკე გოგაძე - დარგთაშორისი თანამშრომლობის
ფაქტორული გავლენა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაზე - 18
**რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური, მედეა შენგელია,
ნათია შენგელია -** ინვესტიციების როლი საავტორო
უფლებების მართვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებაში ----- 30

ფინანსეგი, განკეგი, გირჟეგი

გიორგი აბუსელიძე, გიორგი ქათამაძე -
საქართველოში ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაზე
ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენა
და პრევენციული ღონისძიებების ანალიზი ---------- 41
ხათუნა შალამბერიძე - ბანკის ბიზნეს
სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები ---------- 61

საგაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა

**რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური, მედეა შენგელია,
ნათია შენგელია -** საავტორო უფლებათა მართვის
ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები ---------- 72

რეგიონული ეკონომიკა

არჩილ გოგრიჭიანი - მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური
აღორძინების სტრატეგია რაჭის მაგალითზე ---------- 82

ლელა ჯახაია - რეგიონის აგრარული სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირების საკითხები...---------- 90

დარგობრივი ეკონომიკა

ნატალია ჯიჯავაძე, გიორგი გაბედავა - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის მიმოხილვა ---------- 106
ლალი ხარბედია, მზისადარ ბჟალავა - ფასწარმოქმნის სტრატეგია და მექანიზმი სანავსადგურო მომსახურებაში --------- 115
პაატა კოღუაშვილი - ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია ქართველი მოსახლეობის გარეშე ძირშივე მცდარი პროექტია -- 126

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ირმა ჩხაიძე - ინოვაციური მენეჯმენტი როგორც „პირადი კეთილდღეობის“ შექმნის საფუძველი---------- 137
ნანა კირვალიძე, მაია ჯეგაშვილი - ლოგიკური ფუნქციის საშუალებით მოთხოვნის პროგნოზირება ---------- 146
ქეთევან კიწმარიშვილი - პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიებზე სამუშაოების მართვა ---------- 135

მსოფლიო ეკონომიკა

გურამ საფარიძე - საგადასახადო კოორდინაციის, ჰარმონიზაციის და კონკურენციის საკითხები ევროკავშირში ----- 158

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი -- 174

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Ketevan Shengelia, Ana Jikia – The Main Directions of Increasing Living Standard in Georgia ---------- 6

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Tornike Gogadze - Factoristic Influence of Interconnected Cooperation on Socio-economic Development ----------18

Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia, Medea shengelia – The Role of Investments in the Formation of a Favorable Environment for Copyright Management ----------30

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

George Abuselidze, Giorgi Katamadze - Change in Exchange Rate: its Impact on Activity of Business Companies and Analysis of Some Prevention Measures----------41

Khatuna Shalamberidze - The Main Directions of the Business Strategy of Commercial Bank ----------61

LEGAL PROVISION OF MARKET ECONOMY

Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri, Natia Shengelia, Medea Shengelia - The Economic and Legal Aspects of Copyright Management ----------72

REGIONAL ECONOMY

Archil Gogrichiani - Economic Resurgence Strategy of the High Mountain Regions on Racha's Example----------82

Lela Jakhaia - The Problems of Effective Functioning of The Agrarian Sector in the Regions Economy ----------90

SECTORAL ECONOMY

Natalia Djidjavadze, Georgi Gabdava -
Overview of Georgian Maritime Transport ---------- 106
Lali Kharbedia, Mzisadar Bjalava - Strategy and Mechanism
in Price-forming in Harbor Related Services... ---------- 115
Paata Koghuashvili - Rehabilitation of tea plantations
without involvement of Georgian population
is fundamentally incorrect project ---------- 126

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Irma Chkhaidze - Innovative Management
as the Basis of Creating "Personal Wellbeing" ---------- 137
Nana Kirvalidze, Maia Jebashvili – Demand Forecast
by Logical Function ---------- 146
Ketevan Kitsmarishvili - Management of Works
at Different Stages of Production Life Cycles ---------- 153

WORLD ECONOMY

Guram Safaridze - Issues of Tax Coordination,
Harmonization and Competition in the European Union ---------- 158

PUBLICATION REQUIREMENTS ---------- 174

ცხოვრების დონის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში

ქეთევან შენგელია,
ეკონომიკის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი,სეუ

ანა ჯიქია
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

თუ რამდენად მაღალია მოსახლეობაში საშუალო კლასის წილი, იმდენად ძლიერია მისი გავლენა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასა და განვითარების ვექტორზე. ამით ამ კლასს გარკვეული ისტორიული მისიაც აკისრია: არ დაუშვას პოლიტიკაში მარგინალური შეხედულების პოლიტიკური ძალები, რათა საფრთხე არ შეექმნას ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას. ეს პრინციპი ირღვევა იქ, სადაც ადგილი აქვს საშუალო კლასის ისტორიული როლის დაკნინებას და იგნორირებას. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაგალითი ადასტურებს, რომ რევოლუციები როგორც წესი ხდება იმ ქვეყნებში, სადაც დაკნინებულია საშუალო კლასის ფუნქცია ან მისი არ ესმით.

სახელმწიფომ საშუალო კლასის რაოდენობის ზრდას ძირითადად ორი მიმართულებით უნდა შეუწყოს ხელი: 1. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით, საგადასახადო სისტემის შემდგომი ლიბერალიზაციით; 2. მსხვილი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებით.

საკვანძო სიტყვები: შემოსავლების უთანაბრობა; მცირე და საშუალო ბიზნესი; ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა; კეთილდღეობის დონე.

შესავალი

საქართველოში ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესული ძვრები შეინიშნება: საქონლისა და მომსახურების საშინაო ბაზრის გახსნა, უცხოური კაპიტალის და ახალი ტექნოლოგიების შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში და ინტეგრაციულ გაერთიანებებში გაწევრიანება, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება ევროკავშირთან, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისაკენ სწრაფვა და სხვა[1]. ეს ყველაფერი დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ცხოვრების დონეზე, თუმცა იმისათვის, რომ ამ მოვლენათა სარგებელი მოსახლეობის ყველა ფენაზე აისახოს, დიდი შრომის გაწევაა საჭირო.

საქართველო ერთ–ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც დოვლათის უთანასწორო განაწილება ხდება. ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორისაც, ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გვაქვს. მკვლევართა აზრით, ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებას ბევრი გარემოება უშლის ხელს. მათ შორისაა: მაღალი უმუშევრობა, ამავე დროს მოქმედი ბიზნესებიდან მიღებული შემოსავლები, ძირითადად საზოგადოების მდიდარ ფენაში ილექება.

საშუალო კლასის (ფენის) სიდიდეზე, მის პოზიციაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთელი ქვეყნის განვითარების ვექტორი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ფონი. სამწუხაროდ საქართველოში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მის ფორმირებას.

განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სოციალურ სტრატიფიკაციას აღიარებული პროპორციები აქვს: საშუალო კლასის წილად უნდა მოდიოდეს მოსახლეობის 60-65 %, მდიდრების წილად –20 %, ხოლო ღარიბებისა არა უმეტეს 15-20 %. თუმცა დღევანდელი საქართველოს მოსახლეობის ამგვარი „სამფენოვანი“ სტრატიფიკაცია შორსაა აღნიშნულიდან.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქა-

1 ქეთევან შენგელია, „გლობალური კომპანიების ზეგავლენა და საქართველოს პერსპექტივები“, ჟურნალი „ეკონომიკა, 2016 წ. გვ. 331-342.

რთველოში სულ 3 720 000 ადამიანი ცხოვრობს. აქედან 32 000 ადამიანის შემოსავალი წელიწადში 40 000 ლარზე მეტია და შედარებით მაღალშემოსავლიანად ითვლება, რაც მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 0,8%-ს შეადგენს. რაც შეეხება დანარჩენ მოქალაქეებს, მათი შემოსავლები იმდენად მცირეა, რომ საკუთარი ჯანმრთელობის დაფინანსება და სადაზღვევო პაკეტების შეძენაც უჭირთ. ასეთი მონაცემი კი იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოში რეალურად საშუალო ფენის ფორმირება ვერ ხერხდება.

ძირითადი ნაწილი

საშუალო კლასის კვლევა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ სწორედ ეს კლასია ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი საზოგადოების დანარჩენ ორ ჯგუფს, მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

ადამიანის (ოჯახის) საშუალო კლასისადმი მიკუთვნებისათვის აუცილებელია მისი მატერიალურ-ქონებრივი, საშუალო მდგომარეობის, სოციალურ-პროფესიული სტატუსის და თვითიდენტიფიკაციის გარკვეული თანხვედრა. ამასთან, საზოგადოების წინსვლა, ეკონომიკური აღმავლობა დადებით კორელაციაშია საშუალო კლასის სიდიდესთან და მის წილთან მოსახლეობაში.

სამწუხაროდ, საქართველოში მიმდინარე პროცესებმა, საშუალო კლასზე მეტად მდიდრებისა და ღარიბების ფორმირებას და რიცხობრივ ზრდას შეუწყო ხელი. უფრო მეტიც, სწორედ ადრე არსებული „ძველი წარმომადგენლების“ ხარჯზე მოხდა მდიდრებისა და ღარიბების მნიშვნელოვანი შევსება. გარკვეული „პრივილეგიები“ მიიღეს განაწილების ბერკეტებთან მყოფმა ნომენკლატურამ.

საბედნიეროდ, ბოლო წლებში საქართველოში გატარებულმა ღონისძიებებმა შეამცირა მასობრივი კორუფციის მასშტაბები, თუმცა ამას საშუალო ფენის ზრდაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. გაიზარდა საშუალო ნომინალური და რეალური ხელფასი. 2004 წელთან შედარებით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 6-ჯერ გაიზარდა. ასევე შემოსავლები უფრო გამჭვირვალე გახდა.

ხელფასები ცხრილი 1.

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
საშ. თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი	156.6	204.2	277.9	368.1	534.9	556.8	597.6	636.0	712.5	773.1	818.0	900.4

ასევე ჩრდილოვანი ეკონომიკიდან შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს საკმაოდ პროგრესული ტენდენციაა. მაგრამ ამასთან ერთად, მრავალმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო. თუმცა უმუშევრობის დონემ იკლო 2015 წლის მონაცემებით 241 ათას კაცამდე, ნაცვლად 305 ათასისა, რაც იყო 2012 წელს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით უმუშევრობის დონე 11.8%-ია. გამოდის, რომ მოვიგეთ რაოდენობაში და არა ხარისხში. ოფიციალური სტატისტიკით, მოსახლეობის კეთილდღეობის დონე, მსყიდველუნარიანობა, ფულადი შემოსავლები რეალურ განზომილებაში (ინფლაციის გათვალისწინებით) არ გაუმჯობესებულა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები სურსათზე 4,2%-ით, ფასები გაიზარდა ბოსტნეულისა და ბაღჩეულის (22,4 პროცენტი), ხილისა და ყურძნის (8,9 პროცენტი), რძის, ყველისა და კვერცხის (3,1 პროცენტი), ზეთისა და ცხიმის (3,1 პროცენტი), თევზეულის (2,8 პროცენტი) და ხორცისა და ხორცის პროდუქტების (2,5 პროცენტი) ქვეჯგუფებზე; ფასების ზრდა დაფიქსირდა ქვეჯგუფზე – შაქარი, ჯემი, თაფლი, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი (16,0 პროცენტი); ტრანსპორტის ჯგუფზე ფასები გაიზარდა 7,2 პროცენტით. ფასების მატება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (10,1 პროცენტი) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (4,9 პროცენტი); ალკოჰოლურ სასმელებსა და თა-

მბაქოზე, 18,9%-ით, მედიკამენტებზე 2,5%-ით, არაფერს ვიტყვით კაფეებსა და რესტორნებზე.

ცხადია, რომ საშუალო კლასი არაა ის მოსახლეობა, რომელიც საშუალოდ მოიხმარს, და საშუალო შემოსავალი აქვს. ზოგადად ეს მოხმარების და კეთილდღეობის გარკვეული სტანდარტია. ამიტომ საშუალო კლასისადმი მისაკუთვნებლად შემოსავლების, სიმდიდრის და კეთილდღეობის დონე მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდგება, თუ საბაზრო ეკონომიკა მაღალ დონეზეა განვითარებული და სიღარიბის ზღვარს მყოფი მოსახლეობის რაოდენობა დაბალია. ხოლო საშუალო დონე საარსებო მინიმუმს 5-6-ჯერ უნდა აღემატებოდეს. საარსებო მინიმუმად აღიარებულია 169,7 ლარი. მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი შეადგენს 20 პროცენტს. ყველასთვის გასაგები ენით რომ ვთქვათ, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის 20,1% ღარიბია. (იხ გრაფიკი 1.)



გრაფიკი 1.

საქართველოში შინამეურნეობათა საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულზე დაახლოებით 284,5 ლარია. (იხ. ცხრილი 2). შემოსავლების სიდიდე კი, რომლის მიხედვითაც შინამეურნეობა შეიძლება საშუალო კლასს მიეკუთვნოს, 2-ჯერ მეტი მაინც უნდა იყოს.

შინამეურნეობების შემოსავლები (ცხრილი 2)

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები **(მილიონი ლარი)**	353.2	387.5	426.8	544.7	575.4	649.2	711.1	808.8	906.9	1001.4	1039.9
საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)	346.7	385.3	422.5	540.3	569.2	651.2	705.9	788.4	887.2	983.9	1022.3
საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე (ლარი)	92.3	102.6	115.2	147.2	154.5	178.6	195.2	218.4	246.6	273.1	284.5

საერთოდ, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში საშუალო ფენის განმსაზღვრელად გარკვეული სტანდარტები არსებობს. ამ კატეგორიას განეკუთვნება ის ადამიანი, რომელსაც საბანკო ანგარიშზე განთავსებული აქვს 18 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობის თანხა, ჰყავს მანქანა, აქვს აგარაკი და კვირაში ერთხელ ოჯახთან ერთად რესტორანში საუზმობს ან ვახშმობს.

ქართულ რეალობაში იმისათვის, რომ საშუალო ფენას განეკუთვნებოდე, სულ მინიმუმ საბანკო ანგარიზშე 3 025 ლარი უნდა გქონდეს (საარსებო მონიმუმი ჩვენთან 168,1 ლარია, 18 თვის ოდენობა კი ზუსტად 3 025 ლარია). რაც შეეხება სხვა კომპონენტებს, როგორიცაა აგარაკი, მანქანა და ა.შ. ესეც ქართველების საკმაო ნაწილს არ აქვს, შესაბამისად, ისინი, რა

თქმა უნდა, საშუალო ფენას არ განეკუთვნებიან, ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ამგვარად, საშუალო კლასის იდენტიფიცირება გულისხმობს პიროვნების (ოჯახის) გარკვეულ ფინანსურ- ეკონომიკურ სიმყარეს. იგი არ უნდა შეიცვალოს არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში მისი დასაქმების სტატუსის ან სხვა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გამო.

შინამეურნეობების განაწილება შემოსავლის ჯგუფების მიხედ. (2015 წ.) (ცხრილი 3)

შემოსავლის ჯგუფი (ლარი თვეში)*	%
0-დან 500-მდე	35,7
500-დან 1000-მდე	33,3
1000-დან 1500-მდე	16,6
1500-დან 2000-მდე	6,9
2000 და მეტი	7,5

ამ მონაცემების მიხედვით დღევანდელ პირობებში კეთილდღეობის დონით საშუალო კლასს შეიძლება მივაკუთვნოთ მოსახლეობის 7,5%, ანუ დაახლოებით 320-350 ათასი ადამიანი. ღარიბი იყო 80%, რაც ამაჟამადა შემცირდა 35,7%-მდე. ხოლო 0,8% გახლავთ მდიდარი.

საქართველოში „ჯინის კოეფიციენტი“ (იგი ასახავს შემოსავლების უთანაბრობას)[1] 0,40–ია. ეს მიუთითებს, რომ საშუალო ფენა ჯერ კიდევ მეტად მცირეა. საზოგადოება, პრაქტიკულად მდიდრებად და ღარიბებად იყოფა. ბოლო პერიოდში ჯინის კოეფიციენტი ოდნავ არის შემცირებული. ყველაზე მაღალი კი– 2009-2011 წლებში – 0,43. (იხ.გრაფიკი 2).

1 ქეთევან შენგელია, „ჯინის კოეფიციენტი, შემოსავლების უთანაბრობის მაკროეკონომიკური მაჩვენებელი“, სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, 2015წ. №2(2), გვ. 368-377.

რაც უფრო მაღალია „ჯინის კოეფიციენტი“, მით უფრო განუვითარებელია ქვეყანა, მით უფრო ღრმაა სოციალური დიფერენცირება და სახელმწიფომ ამ უთანაბრობის შესამცირებლად შესაბამისი პოლიტიკა უნდა განახორციელოს. კვლევები ცხადყოფს, რომ თუ საზოგადოების ყველაზე მდიდარი 10%–იანი ნაწილის შემოსავლები 10–ჯერ და მეტად აღემატება ყველაზე ღარიბი 10%–ის შემოსავლებს, ყალიბდება სოციალური დაძაბულობა და გაუცხოება. ფაქტობრივად ყალიბდება განსხვავებული სუბკულტურა – ცხოვრების წესი, მოხმარება და სხვა.



(გრაფიკი 2).

გადავხედოთ საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიურ შემოსავლებს, ერთ სულზე გაანგარიშებით უღარიბეს და უმდიდრეს 10%–ში. იხ ცხრილი 4.

აღნიშნული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ 2013 წლის მონაცემებით საქართველოში ყველაზე მდიდარი 10%–ის შე-

საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები. გაანგარიშებული ერთ სულზე, წლებისა და დეცილების მიხედვით (ლარი) ცხრილი 4.

წელი	პირველი დეცილი	მეათე დეცილი
2010	26.3	544.6
2011	30.6	593.6
2012	40.7	635.3
2013	51.4	719.3

მოსავლები, გაანგარიშებული ერთ სულზე თითქმის 14–ჯერ აღემატება ყველაზე ღარიბი 10%–ის შემოსავლებს, გაანგარიშებულს ერთ სულზე. კიდევ უფრო მწვავე იყო ეს განსხვავება 2010 წლამდე: საზოგადოების ყველაზე მდიდარი 10%–ის შემოსავლები 20–ჯერ და მეტად აღემატებოდა ყველაზე ღარიბი 10%–ის შემოსავლებს. სწორედ ეს იწვევს გაუცხოებას საზოგადოებაში, ნიჰილიზმს და ინდიფერენტულობას მოვლენების მიმართ. ადამიანებს არ აინტერესებთ რას მოიმოქმედებს მთავრობა, როგორ ჩატარდება არჩევნები, რადგან რწმენა დაკარგული აქვთ და მიიჩნევენ, რომ მთავრობის წევრები საკუთარ შემოსავლებზე ფიქრობენ მხოლოდ.

დასკვნითი ნაწილი

საშუალო კლასის დაბალ წილს განაპირობებს სუსტი რეალური სექტორი, საშუალო და მცირე ბიზნესის დაბალი დონე. საშუალო ბიზნესის წილად მოდის მთელი გამოშვების მხოლოდ 15%, მაშინ როცა ევროკავშირში ეს მაჩვენებელი 25%-ს აღწევს. ერთი ამდენიც მსხვილ ბიზნესს უკავია. ხოლო საქართველოში მსხვილი ბიზნესის წილი ევროკავშირისას 2-ჯერ აღემატება, სამაგიეროდ საშუალო და მცირე ბიზნესის წილი 3-ჯერ დაბალია შესაბამის ევროპულ მაჩვენებელთან შედარე-

ბით. არადა, მცირე და საშუალო ბიზნესი არის ახალი სამუშაო ადგილები, მასობრივი დასაქმება, სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობა.

თვით აშშ-ში სახელმწიფო შეკვეთების დიდი ნაწილი მართალია მსხვილ კომპანიებს მიეცემა, მაგრამ ისინი შეკვეთების 70%-ს ქვეკონტრაქტების სახით გადასცემენ უფრო მცირე და მობილურ კომპანიებს. ეს აჩქარებს ბიზნესის განვითარებას და კონკურენტულ გარემოში საკუთარი ნიშის შენარჩუნების შესაძლებლობას.

ამიტომ სახელმწიფომ საშუალო კლასის რაოდენობის ზრდას ორი მიმართულებით უნდა შეუწყოს ხელი: 1. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით, საგადასახადო სისტემის შემდგომი ლიბერალიზაციით; 2. მსხვილი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებით.[1]

თუ რამდენად მაღალია მოსახლეობაში საშუალო კლასის წილი, იმდენად ძლიერია მისი გავლენა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასა და განვითარების ვექტორზე. ამით ამ კლასს გარკვეული ისტორიული მისიაც აკისრია: არ დაუშვას პოლიტიკაში მარგინალური შეხედულების პოლიტიკური ძალები, რათა საფრთხე არ შეექმნას ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას. ეს პრინციპი ირღვევა იქ, სადაც ადგილი აქვს საშუალო კლასის ისტორიული როლის დაკნინებას და იგნორირებას. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაგალითი ადასტურებს, რომ რევოლუციები როგორც წესი ხდება იმ ქვეყნებში, სადაც დაკნინებულია საშუალო კლასის ფუნქცია, მისი არ ესმით ხელისუფალთ და შედარებით ადვილია მისი ჩახშობა, იგნორიება, მანიპულირება... გარკვეულწილად ეს მოხდა 1930-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში, როდესაც ნაცისტები მოვიდნენ ხელისუფლებაში. ამის საპირისპიროდ საშუალო კლასი და საზოგადოება აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე საფრანგეთში, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებში 2002 წელს არავითარი შანსი არ დაუტოვა ულტრანა-

1 ქ. შენგელია, მსხვილი ბიზნესის ტრანსფორმაციის ეკონომიკური ფაქტორები, ჟურნ. ეკონომიკა, №7, 2009წ.

ციონალისტ ლე პენს და მემარჯვენე-ცენტრისტი შირაკი აირჩია. უფრო მეტიც, საფრანგეთის 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების ¾-ზე მეტი სწორედ ცენტრისტული ძალების წარმომადგენელმა სარკოზიმ მიიღო. შემთხვევითი არ არის, რომ საფრანგეთის წინა პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, 2012 წლის 6 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგების საფუძველზე გამარჯვებული, სოციალისტური პარტიის პირველი მდივანი გახლდათ. იგი საშუალო კლასის ოჯახშია დაბადებული. დედა სოციალური მუშაკი იყო, მამა კი ექიმი. ხოლო 2017 წლის არჩევნების მიხედვით ცენტრისტმა ემანუელ მაკრონმა ხმათა 66,10 % მოიპოვა, „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა კი მხოლოდ 33,9 %-იანი მხარდაჭერა მოიპოვა. ემანუელ მაკრონიც საშუალო კლასის ოჯახიდანაა. ფრანგები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის არჩევნების შედეგი- „ძლიერი, გაერთიანებული ევროპის გამარჯვებაა“.

იმ კატაკლიზმებისა და რევოლუციური ცვლილებების გათვალისწინებით, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეში რთული 1990-იანი წლების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საშუალო კლასი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების და კუთვნილი ისტორიული ადგილის ძიების პროცესშია. ამიტომ საშუალო კლასის ფორმირებას და მისი წილის გაზრდას უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Galbraith J.K. The Economics of Innocent Fraud, NY,2004.

2. Гириев С. Мифи экономики, заблуждения и стереотипы. Санкт –Петербург. 2005.

3. Манделл Р.А. Денежная теория: процент инфляция и рост в мировой экономике. Мировая экономика, 1975.

http//: www.economy.ge/economics-sectors/makroekonimika

REFERENCES:

1. Galbraith J.K. The Economics of Innocent Fraud, NY,2004;
2. Giriev S. Myths of Economics, Misconceptions and stereotypes. Saint Petersburg. 2005.
3. Mandell R.A. Monetary theory: the percentage of inflation and growth in the Global economy. The World Economy, 1975.

THE MAIN DIRECTIONS OF INCREASING LIVING STANDARD IN GEORGIA

Ketevan Shengelia,
PhD in Economics,
Associate professor,
Georgian National University
Ana Jikia
PhD Student, GTU

RESUME

The higher the middle class share in a population is, the stronger is its infuence on social-economic policy and development vector. This class bears a certain historical mission in this regard: not to allow political powers having marginal opinions in politics in order to avoid threatening the political stability of a country. These principles are violated where the historical role of middle class is declined and ignored. The examples of many countries demonstrate that as a revolution happen in countries where the function of middle class is minimized or misunderstood.

Therefore, the state should support the growth of middle class in two basic ways: 1. development of small and medium-sized business, further liberalization of taxation system. 2. increasing a social responsibility of large businesses.

Key words: Income inequality, small and medium-sized business, social responsibility of business, welfare levels.

დარგთაშორისი თანამშრომლობის ფაქტორული გავლენა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაზე

თორნიკე გოგაძე
სტუ დოქტორანტი

შესავალი

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობას ქართულ რეალობაში თავისი სპეციფიკა გააჩნია. მისი კონკრეტული გამოვლენა დაკავშირებულია სხვადასხვა ერთმანეთისგან განსხვავებულ სოციალური წესრიგზე. გამომდინარე აქედან, ჩვენს ქვეყანაში საჭიროა დამყარდეს საიმედო ურთიერთობები მთავრობასა და ბიზნეს შორის. ამისათვის სახელისუფლებო ორგანოებმა მიზანმიმართულად უნდა შექმნან და განავითარონ სათანადო ინსტიტუციური საფუძვლები.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის განვითარება, საზოგადოება, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, სოციალური ეკონომიკური განვითარება.

ძირითადი ტექსტი

საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება შეუძლებელია ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე. ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის აქტიური თანამშრომლობისათვის. ბიზნესს კი არ შეუძლია განვითარდეს ეფექტიანად სახელმწიფოს ნების გარეშე, რაც განპირობებულია რიგი მიზეზების გამო.

პირველ რიგში, **ბიზნესის განვითარებისა** და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საქართველოში საწყისს ეტაპზე აუცილებელია გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა და

მისი განვითარება. განვითარებადი ბიზნესი საჭიროებს საწყისი კაპიტალის ფორმირებას, რომელიც უზუნველყოფს წარმოების პროცესს, ასევე სუბსიდიებს, იაფ კრედიტებს, სხვადასხვა სახის შეღავათებს, რომლის უზრუნველყოფაც მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია.

მეორე, სასოფლო სამრეწველო სისტემა ბიზნესის შემადგენელი ძირითადი მექანიზმია, რომელიც შრომის გადანაწილებას უზრუნველყოფს. მათი ეფექტური ფუნქციონირებით უამრავი დაინტერესებული სუბიექტი შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი, თუკი იქნება პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა.

მესამე, თანამედროვე ეკონომიკური სისტემა ხასიათდება კონკურენციით, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესი ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში იმყოფება დიდ კომპანიებთან შედარებით. ამიტომაც მცირე და საშუალო ბიზნესი საჭიროებს სახელმწიფო დახმარებას, როგორიცაა: ხელსაყრელი კონკურენტული გარემოს შექმნა, დაფინანსება, საკრედიტო პირობები, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის ხელმისაწვდომობა, ინფორმირება, ასევე საჭირო კადრების მომზადება.

მეოთხე, **ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირება** დიდწილად დამოკიდებულია საბაზრო ეკონომიკის ინფარასტუქტურის განვითარებაზე. აუცილებელია სათანადო პირობების შექმნა, რაციონალური და ეფექტიანი წარმოების ორგანიზება მწარმოებლებისთვის და მომხმარებლებისთვის. მთავრობის გარეშე შეუძლებელია განვითარება ისეთი საქმიანობისა, როგორიცაა (ტრანსპორტი, კომუნიკაცია, ენერგეტიკა), საფინანსო (საბანკო), და მთელი საბაზრო ინფრასტრუქტურის ერთობლიობა.

„ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“ საწყის ეტაპზე ისევ ორიენტირებულია დაინტერესებული მახრეების შიდა წრეზე – სახელმწიფო, მფლობელები და თანამშრომლები. დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი საზოგადოება, მომწოდებლები და სხვა) ფართო წრე არ არის სისტემური. სოციალური პასუხისმგებლობა ხორციელდება მხოლოდ მსხვილ და მოწინავე კომპანიებში. მომხმარებლებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არ აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ბიზნესზე. თუმცა, ბაზრის

განვითარებასთან ერთად თანდათან ხდება CSR-ში (კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა) მომხმარებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა.

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა, ფორმულირება და ოფიციალური წარდგენა შესაბამისი პოზიციების ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯია ნებისმიერი კომპანიისთვის. „მენეჯერთა ასოციაცია“ [3]. რომელიც წარმოადგენს ტოპ მენეჯერებს, უცხოური, საერთაშორისო კომპანიები და ორგანიზაციები, აფიქსირებენ თავიანთ პოზიციებს CSR-ის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე. კერძოდ ისინი აღნიშნავენ, რომ:

– „საჭიროა… მივაღწიოთ საერთო გაგება და საერთო მიდგომა CSR-ის განსახორციელებლად განსხვავებული დიალოგებისა და ბიზნესის სფეროს, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის“;

– მიესალმებიან: „სხვადასხვა ინიციატივებსა და პროექტებს, რომელიც განახორციელა კომპანიამ საწარმოში, ქალაქის, რეგიონის და ეროვნულ დონემდე, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან თანამშრომლობით; მდგრადი და ინოვაციური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობას“;

– აღნიშნავენ, რომ „ CSR-ში დღეს უკვე დაგროვებულია ფასდაუდებელი გამოცდილება წამყვან კომპანიებში. ბიზნესის ჩართვა სოციალურ პრობლემების მოგვარებაში ბოლო წლებში სულ ურო იზრდება.

ბიზნესის სოციალური აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე გამოხატული ტენდენციაა სოციალური ინფარასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება როგორც კომპანიის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ; განათლების განვითარება; თანამშრომელთათვის საჭირო სამედიცინო და გამაჯანსაღებელი მომსახურება; სოციალურად დაუცველი ჯგუფების- ვეტერანები, პენსიონერები, ინვალიდები, ობოლი, ღარიბი და სხვ. დახმარება; ბავშვთა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა; ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგი პროგრამები;

კულტურული და სპორტული ღონისძიებების სპონსორობა; ტაძრების მშენებლობა და ა,შ.“

მოყვანილი დოკუმენტში აღნიშნულია, რომ CSR-ის მაჩვენებელი განხორციელებულ პროექტებიდან იქნებოდა უფრო მაღალი, რომ არა არასრულყოფილი კანონები ან თუნდაც საკანონმდებლო ნორმების ნაკლებობა. ამიტომაც მენეჯერთა ასოციაცია თვლის რომ „დღეს სახელმწიფო ხდება ბიზნესის პრიორიტეტულ პარტნიორად, ბიზნესი კი თავისი ინიციატივების მხარდაჭერას იმედოვნებს ამ უკანასკნელისგან და ადეკვატურ შეფასებას ელის მათი წვლილის შეტანით ქვეყნის განვითარების საქმეში. ამავე დროს ისინი ხაზს უსვამენ რომ, დღეს ბიზნესს ესაჭიროება სახელმწიფო დახმარება თანამედროვე კანონების მარეგულირებელი მექანიზმების და ინსტრუმენტების შემუშავებაში, რამაც კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის რიგ მიმართულებებს უფრო მეტი განვითარების საშუალება უნდა მისცეს. ასევე აღნიშნავენ, რომ დღევანდელ პირობები მოითხოვს- დამატებით ძალისხმევას შრომითი რესურსების ხარისხის გასაუმჯობესებლად, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა პასუხისმგებლობას, მათი შრომისა და ბიზნეს კულტურის ამაღლებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას ქვეყანის სოციალურ ტრანსფორმაციაში.

ზემოთაღნიშნულ დოკუმენტში დაფიქსირებულია პროფესიონალი საზოგადოების პოზიცია CSR-ის აქტუალურ საკითხებზე ეკონომიკის ტრანსპორმაციის თანამედროვე პირობებში, სოციალურ და საჯარო სფეროში. აქტუალურმა კითხვებმა კი განსაზღვრეს შემდეგი საკითხები:

– ინდივიდუალურობის ზრდა და ორმხრივი პასუხისმგებლობა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის;

– სოციალური დაცვა და სოციალური დაზღვევა;

– შრომისა და ჯანმრთელობის სისტემის მართვა;

– გარემოს დაცვა;

– შრომითი ბაზრის ჩამოყალიბება და განვითარება;

– ბიზნესის ნებაყოფლობითი სოციალური ინიციატივა, მათ შორის საქველმოქმედო პროგრამები და პროექტები.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განვითარებულ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარება აღწევს სტაბილურ მაღალ ტემპებს მთავრობის და ბიზნესის ერთობლივი ძალისხმევით. ამით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება. სწორედ ამიტომ, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება ქვეყნის ძირითადი მიზანია.

სახელმწიფოსთან ურთიერთქმედებისას ბიზნესსაც აქვს თავის ინტერესები:

– ბიზნესის განვითარება გრძელვადიანი ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიით;

– სახელმწიფოს გარანტიები, რომელიც მიმათულია ბიზნესისთვის რისკების შესამცირებლად;

– ბიზნესის კეთების სამართლებრივი ნორმების გაუმჯობესება და მისი ცვლილების პროგნოზირება, რომელიც მიმართულია ბიზნესის პასუხისმგებლობის სტიმულირებაზე.

– რეფორმების თამნიმდევრული განხორციელება სოციალური უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, რომელიც ეფუძნება ეკონომიკურ პრინციპებს, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განსაზღვრებას;

– ბიზნესის მონაწილეობა სახელმწიფო სისტემის განვითარებაში და საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება „თანაბარი შესაძლებლობებით და პასუხისმგებლობით“ ყოველგვარი ზედმეტი სახელმწიფო ჩარევის გარეშე ბიზნეს ორგანიზაციების საქმიანობაში;

– შრომითი ბაზრის ხარისხიანი განვითარების სისტემის შემუშავება;

– სახელმწიფოს და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის გამჭირვალობის ამაღლება ბიზნესის სტიმულირების მართვაში, რომელიც მიმართულია სოციალურ პროგრამებზე ნებაყოფლობით, საზოგადოების განვითარების ხელშესაწყობად.

– კომპანიების მონაწილეობა საქმიან გაერთიანებებში ეროვნული სტრატეგიის განვითარებისთვის, საერთაშორისო მოთხოვნილებების შესაბამისად; შრომითი ურთიერთობების, მშრომელთა ჯანმრთელობის და სხვა CSR-ის შესაბამისად.

მენეჯერთა ასოციაციის პოზიციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებობს ორმხრივი ინტერესების სფერო სახელმწიფოსა და ბიზნეს შორის. მათ განხორციელებას კი ხელი უნდა შეუწყოს აუცილებელმა საკანონმდებლო ბაზამ.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში საუკუნოვან ტრადიციებზე დაყრდნობით შეიქმნა საკმაოდ რთული რეგულირების სისტემა, ურთიერთობისა სახელმწოფო და კერძო სექტორებს შორის. ეს დაბალანსებული სისტემა ფუნქციონირებს თვითრეგულირების მექანიზმით, თითოეულ მხარეში დაფიქსირებულია საკუთარი უფლებები და მოვალეობები, რომელიც ხდის მათ,ერთის მხრივ, დამოუკიდებელს, ხოლო, მეორე მხრივ, ურთიერთდამოკიდებულს. ჩვენს ქვეყანაში უნდა შეიქმნას საიმედო ურთიერთობები მთავრობასა და ბიზნეს შორის. სახელისუფლებო ორგანოებმა მიზანმიმართულად უნდა შექმნან და განავითარონ სათანადო ინსტიტუციური საფუძვლები. ბიზნესმა ყური უნდა მიაპყროს საზოგადოების ინტერესებს, შეიქმნას მუდმივმოქმედი თანამშრომლობა. ბიზნესმა რომ ჩადოს ფული სოციალური პროქტებში, საჭიროა სახელმწიფოს გამჭირვალობა მათი ქმედებებში. პასუხისმგებელი იყოს საზოგადოების წინაშე სოციალური პრობლემების მოგვარებაში. ბიზნესი,რომელიც იქნება ორიენტირებული სოციალურაი პასუხისმგებლობაზე და იქნება ჩაერთვება ქველოქმედებაში, უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ურთიერთობა სახელმწიფოსთან და საზოგადოებასთან.

ორიგინალურ ინტერპრეტაციას ადგილობრივი საზოგადოების განვითარებაში ბიზნეს-სტრუქტურების მონაწილეობით გვთავაზობს ს. ტურკინი [1. 166] მისი შეხედულებით „რეგიონებში კომპანიებს ყოფნას, ისევე როგორც მოციგურავეს, ორი ძირითად პროგრამა აქვს- სავალდებულო და არჩევითი, იმისათვის რომ სავალდებულო პროგრამა არ იყოს მოკლე, ბიზნესი იწყებს სამი ელემენტიდან:

1. გადასახადები (ადგილობრივი ბიუჯეტი)
2. გადასახდელი ხელფასები და სოციალური პაკეტის შეთა-

ვაზება (შიდა და გარე სოციალური პოლიტიკა, რადგან თანამშრომელი ცხოვრობს მიმდებარე ტერიტორიაზე)

3. სახელშეკრულებო ვალდებულებები გადაიხადოს სოციალურ პროგრამებში ადგილობრივ ბიუჯეტში.“

„სავალდებულო პროგრამაში“ ს. ტურკინი მიაკუთვნებს ისეთ სახეობებს როგორიცაა

– „სოციალური გამოძალვა“.

– პირდაპირი გადარიცხვები ბიუჯეტში დაუფინანსებელი სოციალური ხარჯებისთვის;

– სოციალური ინსტიტუციების (საავადმყოფოები, ბავშვთა სახლები და ა.შ.)მხარდაჭერა;

– სამშენებლო ან სარემონტო სოციალური ობიექტების დაფინანსება;

– არასაბიუჯეტო, საზოგადოებრივ სოციალურ ფონდებში ფულის გადარიცხვა.

ამ სიაში ბიზნეს კომპანიების „სავალდებულო“ ხარჯების არასრული ჩამონათვალია, იგი იცვლება რეგიონის სპეციფიკიდან, მათი ხელმძღანელობიდან გამომდინარე. ყველა ზემოთაღნიშნული ფორმები, როგორც წესი, გამოირჩევიან არაგამჭირვალობით. მათი საქმიანობა ეყრდნობა ვარაუდს, თუმცა ყველა შემთხვევაში არ შეესაბამება სიმართლეს.

„უკანონო“ პროგრამის მექანიზმებს ს. ტურკინი მიიჩნევს შემდეგ კომპანიის გარე სოცალურ პოლიტიკას:

1. შეთანხმება სოციალურ პარტნიორობაზე, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს საკმაოდ ღია და გამჭვირვალე მექანიზმი, რომელიც არეგულირებს კომპანიის ურთიერთობებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

2. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყოვლისმომცველი პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნეს ჩადოს თავისი ინტელექტუალური და მენეჯერული რესურსი რეგიონის სტრატეგიულ განვითარებაში, რითაც თავად მეტ სტაბილურობას შეიქმნის რეგიონში.

3. ეფექტური დაფინანსების გაუმჯობესება სოციალური სფეროს სექტორებში, რომელიც საშუალებას მისცემს კომპა-

ნიას შეიმუშაოს სხვადასხვა წინადადება საქმის ოპტიმიზაციიკენ, მაგალითად ჯანდაცვა და განათლება.

4. ბიუჯეტის ფორმირება სოციალურ სფეროში. საქმე ეხება სასწავლო სემინარებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობისათვის, რომელსაც ატარებენ ბიზნეს კომპანიები ადმინისტრაციული ხარჯის შესამცირებლად და ინოვაციური მექანიზმების დანერგვისთვის საქმიან პროექტებში.

5. პროექტები. კომპანიაში სოციალური საქმიანობის პროექტები, თანამედროვე ბიზნესის სოციალური საქმიანობის ძირითადი ელემენტი ხდება. რომელსაც შეიმუშავებს ადგილობრივი ადმინისტრაცია.

6. შეჯიბრებები, რომლებიც ტარდება ადგილობრივი თვითმართველობებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და თვით კომპანიის კერძო პირებს შორის.

7. ადგილობრივი საზოგადოების ფონდები ან და ქალაქის საქველმოქმედო ფონდები.

8. კორპორატიული და კერძო ფონდები.

9. შეღავათები ინვესტიციების სანაცვლოდ. ეს არის ერთ-ერთი გზა, რათა სოციალურ ინვესტიციებს მიეცეს ურთიერთხელსაყრელი ხასიათი.

რა თქმა უნდა, აღნიშნულ სიაში მყოფი მეთოდები არ არის ამომწურავი. თვითოეულმა კომპანიამ თავად უნდა განსაზღვროს შესაძლო მეთოდებიდან გზა ფინანსური თანამშრომლობისა-ადგილობრივ ხელისუფლებას და მთელ საზოგადოებას შორის.

ბიზნეს-სტრუქტურებისათვის, რომელიც იწყებს ფუნქციონირებას კონკრეტულ რეგიონში, მნიშვნელოვანია სტრატეგიის არჩევა ადგილობრივ საზოგადოებასთან თანამშრომლობისათვის. ამასთან ასევე იკვეთება კომპანიისა და ადგილობრივი საზოგადოების ინტერესები და ეს უკანასკნელი იწყებს კომპანიის საჭიროებების შეფასებას. ამისათვის საჭიროა რამდენიმე ტრადიციულ კითხვას გაეცეს პასუხი:

1. სად ვართ?

2. სად შეიძლება ვიყოთ?

3. როგორ და კომპანიის რა საქმიანობა ახდენს გავლენას მოსახლეობაზე?

4.როგორ შევქმნათ კომპანიის სტრატეგიული სისტემა ადგილობრივ საზოგადოებაში?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა შეგროვდეს და გაანალიზდეს სამი სახის ინფორმაცია: რაოდენობრივი, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს საქველმოქმედო შემოწირულობების გამოყოფის ზომა; მოხალისეთა პროგრამები, პარტნიორული პროგრამები ადგილობრივ ორგანიზაციებთან; ხარისხი, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს კომპანიის აღქმადობა საზოგადოებაში, მოლოდინების გაგება და კომპანიის შიგნით ამ საკითხზე დამოკიდებულება; სტრატეგიული, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები.

შემდგომ უნდა გამოვლინდეს ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებები ასევე სამი სახის ინფორმაციის საშუალებით. რაოდენობრივი ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს აღწეროს ადგილობრივი საზოგადოება და მათი საჭიროებები, ხარისხობრივი – კომპანიის და საზოგადოების ურთიერთობის გამოვლენის საშუალებას იძლევა. სტრატეგიული – განსაზღვრავს კომპანიის საფრთხეებს და შესაძლებლობებს, რომელიც მოდის ადგილობრივი საზოგადოებიდან.

კომპანიის და ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებების ანალიზს არ აქვს აზრი, თუკი მიღებული ინფორმაცია არ იქნება გამოყენებული კომპანიის სტრატეგიის შემუშავებაში. ამერიკელი მეცნიერი ედმუნდ ბურკი[1] გვთავაზობს განვიხილოთ სამი შესაძლო სტრატეგია. პირველი – ადგილობრივი საზოგადოების ნდობის მოპოვება, მეორე – ადგილობრივი საზოგადეობის მოთხოვნილებისგან თავის გარიდვა და დაკვირვება მათ რეაქციაზე. მესამე –პროგრამების შემუშავება რომელიც პასუხობს კომპანიის და ადგილობრივი საზოგადოების მოთხოვნებს.

პირველი სტრატეგიის არსი მდგომარეობს ადგილობრივი საზოგადოების გამუდმებული ერთგვარი ნდობის მოპოვებაში იმ

მიზნით რომ დაამყაროს სტრატეგიულ მოთამაშეებთან ადგილობრივ დონეზე ურთიერთობები, შექმნას ერთგვარი ნდობის რეზერვი. კომპანია ავსებს ერთგვარ „ნდობის ანგარიშს“ და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს მას კრიზისულ სიტუაციაში. ამ მოდელში ფსიქოლოგიური მომენტია კომპანიასა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის. ასეთ მდგომარეობაში საჭიროა გამოვლინდეს მოლოდინი ერთმანეთის მიმართ და გაფორმდეს შეთანხმება (თუნდაც ზეპირი) მხარეთა შორის. როცა ხდება ადგილობრივი საზოგადოების მოლოდინს გაგება, ბიზნესი არ იღებს ვალდებულებას გადაჭრას ყველა პრობლემა, უბრალოდ ხდება მათი არსებობისაღიარება.

მეორე სტრატეგია არის აუცილებელი რეაქციის გამოვლენა კომპანიის მხრიდან ადგილობრივი საზოგადოების სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად. ზოგიერთი მათგანი შეიძლება იყოს ნარმოშობილი ბიზნეს კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მაგალითად პროდუქციის შემცირება იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებასაც.

მესამე სტრატეგიის არსი მდგომარეობს კომპანიის პროგრამულ უზრუნველყოფაში, რათა ადგილობრივი საზოგადოების ნდობა შეიქმნას. კარგად დამკვიდრებული საერთაშორისო პრაკტიკის პოლიტიკა გვირჩევს ურთიერთობების განმტკიცების ეტაპობრივ მოქმედებას:1. მოთხოვნილებების ანალიზი; 2. სტრატეგიის შემუშავება; 3.პროექტების შემუშავება.

დასკვნა

საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება შეუძლებელია ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე. ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას ბიზნესსა და სახლემწიფოს შორის აქტიური თანამშრომლობისათვის. ბიზნესს კი არ შეუძლია განვითარდეს ეფექტიანად სახელმწიფოს ნების გარეშე, რაც განპირობებულია რიგი მიზეზების გამო.

ჩვენს ქვეყანაში უნდა შეიქმნას საიმედო ურთიერთობები

მთავრობასა და ბიზნეს შორის. სახელისუფლებო ორგანოებმა მიზანმიმართულად უნდა შექმნან და განავითარონ სათანადო ინსტიტუციური საფუძვლები.

ბიზნეს-სტრუქტურებისათვის, რომელიც იწყებს ფუნქციონირებას კონკრეტულ რეგიონში, მნიშვნელოვანია სტრატეგიის არჩევა ადგილობრივ საზოგადოებასთან თანამშრომლობისათვის. ამასთან ასევე იკვეთება კომპანიისა და ადგილობრივი საზოგადოების ინტერესები და ეს უკანასკნელი იწყებს კომპანიის საჭიროებების შეფასებას.

საჭიროა შეგროვდეს და გაანალიზდეს სამი სახის ინფორმაცია: რაოდენობრივი, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს საქველმოქმედო შემოწირულობების გამოყოფის ზომა; მოხალისეთა პროგრამები, პარტნიორული პროგრამები ადგილობრივ ორგანიზაციებთან; ხარისხი, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს კომპანიის აღქმადობა საზოგადოებაში, მოლოდინების გაგება და კომპანიის შიგნით ამ საკითხზე დამოკიდებულება; სტრატეგიული, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ლიტერატურა:

1.Туркин, С. Как выгодно быть добрым. Сделайте свой бизнес социально ответственным. – М., 2006. – С. 166.

2. Burke, Edmund M. Corporate community relations: the principle of the neighbor of choice. Westport, Conn: Quorum Books; 1999. – P. 185.

3. http://www.amr.ru/about/

REFERENCES:

1. Turkin, S. How beneficial it is to be kind. Make your business socially responsible. – M., 2006. – P. 166. (In Russian language)

2. Burke, Edmund M. Corporate community relations: the principle of the neighbor of choice. Westport, Conn: Quorum Books; 1999. – P. 185.

3. http://www.amr.ru/about/

FACTORISTIC INFLUENCE OF INTERCONNECTED COOPERATION ON SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT

Tornike Gogadze
PhD student, GTU

RESUME

To meet the demands of the society, the socio-economic policy of the government is impossible without the effective functioning of business. This is an important precondition for active cooperation between business and the state. Business cannot develop effectively without the will of the state. Which is due to a number of reasons.

The reliable relationships between the government and business should be created in our country. Governmental authorities must create and develop an appropriate institutional ground.

The Business structures that start functioning in a particular region are important to choose a strategy for cooperation with the local community. In addition, the interests of the company and the local community are visible and the latter starts assessing the needs of the company.

Furthermore, it is necessary to collect and analyze three types of information: Quantitative, which allows to estimate the amount of allocation of charitable donations, programs of volunteers, partnership programs with local organizations; Quality that allows to assess the company's perception in society, understanding of expectations and inside the company attitude on this issue; Strategic, which allows the company to show strong and weak sides.

Keywords: Business development, community, business social responsibility, social economic development.

ინვესტიციების როლი საავტორო უფლებების მართვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებაში

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

მედეა შენგელია
ეკონომიკის დოქტორი

ნათია შენგელია
ემდ, სტუ ას. პროფესორი, ოქსფორდის
უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია საავტორო უფლებების მართვის სოციალურ-ეკონომიკური არსი, დასაბუთებულია ინვესტიციების როლი საავტორო უფლბათა ეფექტიანი მართვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებაში; შემოთავაზებულია საავტორო უფლებების მართვის ახალი მექანიზმები, რომლის თანახმად აღკვეთილი იქნება საავტორო უფლებების სფეროში არსებული ე.წ. „მეკობრული ბიზნესი“, რაც ხელს შეუწყობს კეთილსინდისიერი და სოციალურად ორიენტირებული, ლეგალური „ინტელქტუალური ბიზნესის“ განვითარებას. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმოფხვრის კუთხით შემუშავებულია წინადადებები და რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობის, კერძოდ, სპეციალიზებული სასამართლო სისტემის შექმნის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: საავტორო უფლებების მართვა, „მეკობრული ბიზნესი“, „ინტელქტუალური ბიზნესი“, სპეციალიზებული სასამართლო სისტემა.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობათა განვითარებამ, ნებისმიერი მოვლენის, პროცესის ან ანალიზის სოციალური ასპექტების წინ წამოწევამ „ინვესტიციების“ გადასინჯვის აუცილებლობა განაპირობა სოციალურად ორიენტირებული ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი პირობების შესაბამისად. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია ზოგიერთი მეცნიერის მიერ წინგადადგმული ნაბიჯები. მხედველობაში გვაქვს მოსაზრებები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ინვესტიციების, ბიზნესის არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სხვა სასარგებლო ეფექტებზე, მათ სოციალიზაციაზე.

ინვესტიციების სოციალურ-ეკონომიკური არსის და მნიშვნელობის გარკვევისას, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პრობლემის განხილვისას, უნდა ამოვიდეთ იმ მეთოდოლოგიური მიდგომიდან, რომლის თანახმადაც „... ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების მშენებლობისა და ფუნქციონირების საქმეში ყველა გზა, ფორმა და მეთოდი გამართლებულია, თუ ისინი ემსახურება ადამიანის და საზოგადოების ინტერესებს და გამორიცხავს ანტისოციალურ მოვლენებს,“ [1] მაგალითად, მხოლოდ მოგებაზე, სხვის უბედურებაზე, მეორე მხარის ზარალზე ორიენტირებულ საქმიანობას. [2] ყოველივე ეს ჰუმანური საზოგადოების მშენებლობის აუცილებელი მოთხოვნაა. შესაბამისად, ინვესტიციების დაბანდება საავტორო უფლებების მართვის სფეროში არის სწორედ ისეთი ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის განვითარება, რომელიც მიმართული არ იქნება მხოლოდ მოგებაზე, მეორე მხარის ზარალზე და ადამიანის უბედურებაზე, არამედ ის იქნება ინტელექტუალური ბიზნესი, რომელიც, თავის მხრივ, განავითარებს ქვეყნის კულტურას, საზოგადოებას, შემოსავლის წყარო გახდება მაგალითად, ავტორისთვის და ხელს შეუწყობს სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებას. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ინვესტიციების საჭირო რაოდენობით დაბანდება საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში,

რადგან ინვესტორების ინტერესი იყოს მოგებასთან ერთად სოციალური მიზანი (მეტი კმაყოფილი ავტორი). გამომდინარე აქედან მიგვაჩნია ინვესტორის ინტერესები, მოთხოვნილებები ადამიანურ საწყისს უნდა ემყარებოდეს. ინვესტორის მოთხოვნილებები და ინტერესები არ უნდა ეწინააღმდგებეოდეს სხვისა და მთელი საზოგადოებისას, არ იწვევდეს სხვის დაზარალებას.

ისევე, როგორც „ნებისმიერი ეკონომიკური და სოციალურ მოვლენათა ღრმა წვდომა ვერ მიიღწევა მხოლოდ მიმდინარე თვალსაზრისით, წარმოშობის, გენეზისის, ისტორიის გაუთვალისწინებლად (3), ანუ გენეტიკური მიდგომის გარეშე, ასევე ინვესტიციის სოციალურ– ეკონომიკური არსის შესახებ ჩვენი ცოდნა იქნება ძუნწი და არასრული, თუკი ვერ იქნება სწორად გაგებული წარსულთან მათი კავშირი, წარმომავლობა. ამ ჭრილში, მეტად საინტერესოდ, სრულიად ახლებურად, ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების მრავალმხრივ მოვლენებთან ღრმა ურთიერთკავშირში საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული ქართველი მეცნიერის, პროფესორ გიორგი მალაშხიას მიერ შემუშავებლ მოგების მეტათეორიის კონცეფციაში (4), რომლის მიხედვით ინვესტიციების წყაროა წმინდა პროდუქტის (წარმოების ხარჯებს ზევით მიღებული) ან წინათ ანაზღაურებული, უკვე გამოსყიდული საზოგადოების დანახარჯების ნაწილი. ე.ი. ინვესტიციები გენეტიკური, წარმომავალობის თვალსაწიერით ატარებს ნაჩუქარ ხასიათს. იგი, როგორც ჩანს, ნაწილობრივ შეიძლება იყოს ბუნების ნაჩუქარი ძალების, თაობების, ნიჭიერ ადამიანთა მიერ დაგროვილი ცოდნის შედეგიც. ინვესტიციაც თვითონ ასევე გამოისყიდება გარკვეული პერიოდის, წლების შემდეგ და მომავალში „მუშაობს“ უფასოდ, ბუნების ნაჩუქარი ძალების სახით. ინვესტიციების ასეთი წყარო, სოციალური ენერგია უფრო გროვდება, ვიდრე იკარგება, განსხვავებით სითბური ენერგიისგან. ეს იმით აიხსნება, რომ ინვესტიციების ასეთი წყარო უმთავრესად ადამიანთა ინტელექტუალური, არამატერიალური რესურსებია – ცოდნა, გამოცდილება, გამოგონებები, აღმოჩენები, საავტორო უფლებები და ა.შ., რომლებიც ადამიანებს ემსახურება

ათეულობით წლებისა და საუკუნეების განმავლობაში, ინარჩუნებს თავიანთ პოტენციალს (იკარგება მხოლოდ მოძველებული ინტელექტუალური ობიექტები).

მართალია, საავტორო უფლებების განვითარებაზე ჩადებული ინვესტიციები, მაგალითად, კოპოზიტორის, შემოქმედებითი მდგომაროების ამაღლებაზე, მისი მიერ შექმნილი პროდუქციის რეკლამირება და რეალიზაცია და ა.შ., ფინანსური აღრიცხვის წესების მიხედვით დანახარჯებს განეკუთვნება, მაგრამ ასეთი სახის ინვესტიციები, ჩვენი აზრით, იძლევა როგორც სიმდიდრის, ისე დროის ხანგრძლივობის მიხედვით ძალიან მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტს. რაც უფრო ადრე ჩაიდება ინვესტიცია შემოქმედებით სფეროში, შესაბამისად, საავტორო უფლებების მართვის განვითარებაში, მით უფრო სწრაფად დაიწყება უკუგების მიღება. საავტორო უფლებების ეფექტური მართვის განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ისაა, რომ იგი ხელს უწყობს შემოქმედებას (არადა ადამიანი ალბათ თავისი შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსების მხოლოდ 10-15 პროცენტს თუ იყენებს მთელი ცხოვრების მანძილზე, ამიტომ საავტორო უფლებების სწორი მართვა ხელს უწყობს ამ პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას), ხოლო შემოქმედება, თავის მხრივ, ბიზნესის, საზოგადოების და ასევე სახელმწიფოს განვითარების საფუძველია; საავტორო უფლების ეფექტური მართვით ავტორმა უნდა მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება საკუთარი ნაწარმოების სხვა პირთა მიერ გამოყენებიდან, და თუ ავტორი ამ ნაწილში დაცულია, ცხადია, ეს იქნება მისთვის წამახალისებელი საშუალება შექმნას მეტი ნაწარმოები და გაფართოვდეს საავტორო უფლებით დაცული ობიექტები (ნაწარმოებები).

ინვესტიციების როლი საავტორო უფლებების დაცვაში განუზომლად დიდია. ეკონომიკურ უსაფრთხოებათა სისტემა, რომელშიც ხორციელდება ინვესტიციური რესურსების ბრუნვა, გამოდის, როგორც ინვესტიციური რესურსების წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების ერთიანი პროცესი. ამ პროცესის უწყვეტობის, განმეორებადობის გარეშე წარმო-

უდგენელია ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა, მათ შორის საავტორო უფლებით დაცული პროდუქციის პოპულარიაზაცია. განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში საავტორო უფლებების განვითარების კუთხით მუსიკალური ინდუსტრიაში უცხოური ინვესტორების მოზიდვის საკითხი.

საქართველოში მუსიკალური ინდუსტრია მკვდარია და ამის ერთერთი მთავარი მიზეზი, არის – მეკობრეობა ქვეყანაში, რომელმაც აბსოლუტურად ყველა რეკორდი მოხსნა და ერთ-ერთი ყველაზე დაზიანებული სფეროა საქართველოში.

იმისათვის რათა, საქართველო გახდეს საინტერესო ქვეყანა უცხოური ინვესტიციებისათვის საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში, ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად აუცილებელია გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

ა) განხორციელდეს საჭირო ცვლილებები არსებულ საკანონმდებლო ბაზაში;

ბ) დაინერგოს საკანონმდებლო ბაზის ეფექტური აღსრულების მექანიზმები;

გ) განხორციელდეს ადგილობრივი მუსიკალური ნაწარმოებების პოპულარიზაცია;

დ) შეიქმნას ადგილობრივი ავტორების შემოქმედების ხელშემწყობი და წამახალისებელი მექანიზმები;

დ) განხორციელდეს საავტორო უფლებების დაცვის სფეროში ზოგადი განათლების დონის ამაღლება (საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება). საქართველოში საავტორო უფლებების დაცვის კუთხით საჭირო საკანონდებლო ცვლილებად მიგვაჩნია სპეციალიზებული სასამართლო სისტემის შემოღება ინტელექტუალური საკუთრების (საავტორო უფლების) დაცვის სფეროში, რომლის არაერთი მაგალითი არსებობს მოწინავე ქვეყნებში, მაგალითად, როგორიცაა – საავტორო უფლებების ტრიბუნალები (copyright tribunal). აღნიშნული ტრიბუნალები განიხილვენ, მხოლოდ საავტორო უფლების დარღვევიდან გამომდინარე საქმეებს. მოცემული ცვლილების განხორციელება ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნვე-

ლყოფას, რათა გარანტირებულ იქნას უფლების მფლობელებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სანქციების ეფექტური იმპლემენტაცია.

ზოგიერთი ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში არ ფუნქციონირებს სპეციალიზებული ინტელექტუალური საკუთრების სასამართლოები და დღეს არსებული სისტემა (საკანონდებლო ბაზა) არ იძლევა ამის საშუალებას. არსებული მდგომაროებით საერთო სასამართლოები განიხილავენ საავტორო უფლებების დარღვევის საქმეებს სხვა კატეგორიის საქმეებთან ერთად. იმის გამო, რომ სასამართლო გადატვირთულია სხვა ტიპის საქმეებით, საერთო სასამართლოში საავტორო უფლებასთან დაკავშირებული საქმის ბოლო ინსტანციამდე დასრულებას თითქმის მინიმუმ სამი წელი სჭირდება. აღნიშნული კი ახალისებს დამრღვევს სამი წლის მანძილზე თავისუფლად გრძნობდეს თავს, გააგრძელოს თავისი საქმიანობა და სამი წლის ბოლოს უკეთეს შემთხვევაში დახუროს (დაარსოს ახალი იურიდიული პირი და ძველი იურიდიული პირის საქმიანობა შეაჩეროს) და ამით დაუსხლტდეს ხელიდან პასუხიმგებლობას.

ზემოაღნიშნულის თვალსაჩინოების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი შემთხვევა. დღეს არსებული მეწარმეთა შესახებ საქარველოს კანონი ნებისმიერ პირს აძლევს უფლებას, დააფუძნოს სამეწარმეო იურიდიული პირი ნულოვანი საწესდებო კაპიტალით. ამისათვის აუცილებელია მარეგისტრირებელ ორგანოში მისვლა, სადამფუძნებლო დოკუმენტაციის წარდგენა და 100 (ასი) ლარის გადახდა. შემდგომ ეს იურიდიული პირი იწყებს სამეწარმეო საქმიანობას მუსიკალურ ინდუსტრიაში. კერძოდ ამზადებს კონტაფაქციულ CD, DVD პროდქუციას და ყიდის ხელმისაწვდომ ფასად, ან ხსნის ინტერნეტ გვერდს, სადაც განათავსებს მოპარულ მუსიკალურ ნაწარმოებებს და იწყებს მათ გაყიდვას ჩამოტვირთვის საშუალებით, ან იღებს სარეკლამო შეკვეთებს თავის გვერდზე განსათავსებლად (მუსიკალური ნაწარმოების გამოყენებით მიღებული არაპირდაპირი შემოსვალი). აქედან გამომდინარე, უფლების მფლობელს

რჩება შესაძლებლობა აწარმოოს სასამართლო დავა, რომელიც საკამოდ ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი და დაელოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამასობაში დამრღვევი სრულიად უსფუძვლოდ და არაკანონიერად იღებს შემოსავალს, შემდგომ კი აფუძნებს კვლავ ახალ იურიდიულ პირს, რომლითაც გაურბის გასულ პერიოდზე ჩადენილ ქმედებაზე ფინანსურ პასუხიმგებლობას (სასამართლოს გადაწყვეტილება რჩება აღუსრულებელ გადაწყვეტილებად). თუ სასამართლო სამი წლის შემდეგ დააკისრებს რაიმე სახის თანხას, საავტორო უფლების მფლობელი ამ თანხას ვერსადროს ამოიღებს. იურიდიული პირი კი ისტორიას დარჩება საქმიანობაშეჩერებული პირის სტატუსით.

ერთი მხრივ, ბიზნესის განვითარების წახალისების კუთხით კარგია ქვეყანაში არსებობდეს ნულოვანი კაპიტალით სამეწარმეო სუბიექტების დაფუძნების შესაძლებლობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობაში აუცილებელია ჩაიდოს ზემოაღნიშნული შემთხვევის ხელისშემშლელი და დამცავი მექანიზმები. ასეთ ერთ-ერთ მექანიზმად ჩაითვლება იურიდიული პირის საწესდებო მინინმუმის განსაზღვრა, რათა ამ თანხის ფარგლებში მაინც იგრძნოს პირმა პასუხიმგებლობა და არ აარიდოს თავი საკანონდებლო ვალდებულების შესრულებას. როდესაც არსებობს შანსი არ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ამავდროულად თავი აარიდო პასუხიმგებლობას, წარმოუდგენელია არსებობდეს ჯანსაღი ბინზეს გარემო. არაჯანსაღი ბიზნეს გარემოს შემთხვევაში ვითარდება არაკეთილსინდისერი, არაჯანსაღი ბიზნესი, რომლის საქმიანობა გათვლილია ძალიან მოკლე პერიოდზე და მხოლოდ მოგების მიღებაზე.

რაც შეეხება არსებული საკანონდებლო ბაზის ეფექტურად აღსრულებას, აუცილებელია კონკურენციის სააგენტოს როლის გააქტიურება მუსიკალურ ინდუსტრიაში არალეგალური ბიზნეს საქმიანობის აღმოსაფხვრელად, ასევე სასამართლო სისტემაში დაჩქარებული წესით გადაწყვეტილებების გამოტანა და მათი ეფექტური აღსრულება, რასაც მნიშვნელოვნად

ხელს შეუწყობს სპეციალიზებული სასამართლო სისტემის შემოღება. ასევე მნიშვნელოვანია ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგამოძიებო ორგანოების როლის გააქტიურება, სპეციალური საპოლიციო რეიდების მოწყობისა და საგამოძიებო საქმიანობის დაჩქარებული წესით განხორციელების გზით. ამით ქვეყანაში დამკვიდრდება შიშის სინდრომი, რომ საავტორო უფლების დარღვევა დასჯადი ქმედებაა და ამისათვის შესაძლებელია დადგეს სისხლის სმართლებრივი პასუხიმგებლობაც.

მუსიკალურ ინდუსტრიაში საავტორო უფლებების განვითარების გარემოს შესაქმნელად აუცილებელია ადგილობრივი მუსიკალური რეპერტუარის პოპულარიზაცია. კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება და მათი საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაცია – ქვეყნის ეკონომიკაში კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების პოტენციალის გამოყენებისათვის. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მათ განვითარებას და ეროვნული კულტურის საერთაშორისო კულტურულ სივრცეში დამკვიდრებასა და პოპულარიზაციას. სახელმწიფომ უნდა გაიღოს თანხა სხვადსხვა საერთაშორისო კონკურსებში ქართველი ავტორების მონაწილეობისათვის, გაიცეს დაფინანსებები სხვადასხვა ღონისძიებების გამართვისა და ადგილობრივი მუსიკალური რეპერტუარის ფართო მასშტაბიანი გამოცემებისათვის.

გარდა ამისა, აუცილებელია გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები მუსიკალურ ინდუსტრიაში საავტორო უფლებების დაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებისა და უფლების მფლობელებთან ეფექტური დიალოგის უზრუნველყოფის კუთხით. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდეს სემინარები და სამუშაო შეხვედრები, დაიბეჭდოს საინფორმაციო ხასიათის ბიულეტენები და ფლაერები. შემუშავდეს საგანმანათლებლო სახელმწიფო პროგრამა საავტორო უფლებების სფეროთი დაინტერესებული პირებისათვის. აქტიურად გაშუქდეს მასმედიის საშუალებით საავტორო უფლებე-

ბის დარღვევისა და მასზე რეაგირების ფაქტები. მოეწყოს გადაცემები საავტორო უფლების დაცვის საკითხებზე.

მუსიკალური ინდუსტრიის განვითარებისათვის საქართველოში და უცხოელი ინვესტორების ამ სფეროთი მეტი დაინტერესებისათის აუცილებელია ჩვენი მენტალობის პრობლემაც გადაწყდეს. მომხმარებლებმა უნდა გაიგონ, რომ ეს არის უნებართვოდ სხვისი ნივთის მითვისება და ქურდობა, რასაც უნდა სკოლის ასაკიდანვე სწავლება. ეს პრობლემა მარტო ჩვენთან არ არის, მთელ მსოფლიოშია, მაგრამ მისი მინიმიზაცია შესაძლებელია.

ერთ-ერთი მსხვილი უცხოური ინვესტორი სონი მუზიკ უნივერსალი პირველად შემოვიდა საქართველოში და ეს მისასალმებელი ფაქტია. მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმ კერძო ორგანიზაციის აქტიურ მოქმედებაზე, რათა საინტერესო გახდეს სონი მუზიკისთვის საქართველოს ტერიტორია. საქართველოში უცხოურ მუსიკალური ნაწარმოებების ფიზიკური და ელექტრონული გაყიდვაში სონი მუზიკ უნივერსალის მუსიკალური რეპერტუარი მრავლადაა წარმოდგენილი. აღნიშნული დღემდე იყო პირატული (მოპარული), ვინაიდან სონი მუზიკის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში არ იყო წარმოდგენილი. დღეს კი ასეთი არსებობს და იმედია მისი ნაწარმოებების გამოყენებაზე მიიღებს შემოსავალს. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს სხვა ინვსესტორების დაინტერესებასაც-შემოვიდნენ ქვეყანაში და კანონიერად შემოიტანონ თავიანთი რეპერტუარი.

საავტორო უფლებების დაცვის სფეროში ინვესტიციების მიზანია შემოსავლის გადიდება, ეკონომიკური ზრდისათვის მატერიალური საფუძვლების და წინაპირობების შექმნა. გამომდინარე აქედან, საჭიროა გავითვალისწინოთ ინვესტირების როგორც მაკროეკონომიკური ფაქტორები (გადახდისუნარიანი მოთხოვნის მოცულობა, საინვესტიციო გარემო, სახელმწიფოს ინვესტიციური აქტივობა, საკრედიტო რესურსების მიღების შესაძლებლობა), ისე მიკროეკონომიკური ფაქტორები (წარმოების მასშტაბები, საწარმოო ციკლის ბრუნვის სიჩქარე,

საწარმოო პოტენციალის ხარისხობრივი დონე, პროდუქციაზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების ელასტიურობა, შიდა რესურსებით უზრუნველყოფისა და გარე რესურსებზე დამოკიდებულების დონე). ამ ფაქტორთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს საავტორო უფლებათა ეფექტურ მართვას, მაგ., მუსიკალურ ინდუსტრიაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და საბოლო ჯამში მის განვითარებას.

ლიტერატურა:

1. Кураташвили Алфред. Философско-политэкономическое миниатюры. (15-16 мая 1980 г.) Тбилиси: «Мецниереба».

2. სხირტლაძე ა. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ფარმაცევტული ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების გზები. თბ. 2010 წელი

3. მალაშხია გ. მეტაეკონომიკა. ეკონომიკის ფილოსოფია. თბ., 1995 წ.

4. Малашхия Г. Метатеория прибыли (что в самом деле есть и прибыль?) Тб., 2007.

REFERENCES:

1. Kuratashvili Alfred. Philosophy- Philosophical and political economy miniatures. (15-16.05.1980). Tbilisi: „Mecniereba”.

2. Skhirtladze A. Socio-economic problems of society and the ways of efficient functioning of pharmaceutical business. Tb. 2010 year.

3. Malashkhia G. Metaconomics. Philosophy of Economics. Tb., 1995.

4. Malashkhia G. The Metatheory of Profit. Tb. 2007 y.

THE ROLE OF INVESTMENTS IN THE FORMATION OF A FAVORABLE ENVIRONMENT FOR COPYRIGHT MANAGEMENT

Revaz Shengelia,
PhD in Economics, Professor of GTU
Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia,
PhD in Economics, Professor of GTU
Natia Shengelia
PhD, Professor of GTU, Graduate from
The Oxford University, Business Faculty;
Medea shengelia, PhD

RESUME

The role of investment is substantiated in the formation of a favorable environment for effective management of copyright; The new mechanisms of copyright management are offered, according which the „Pirate business" will be suppressed. The proposals and recommendations have been elaborated on the necessity of legislative amendments. In particular, the establishment of a specialized judicial system, will ensure the effective involvement of the Agency of Competitiveness in the individual management and usage of copyright, granting them more effective mechanisms, flexible taxation and creation of system of entrepreneurial law etc.

Key words: Copyright management, „Pirate business", „Intellectual business", Specialized Judicial System.

საქართველოში ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაზე ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენა და პრევენციული ღონისძიებების ანალიზი

გიორგი აბუსელიძე,
ეკონომიკის დოქტორი,
შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

გიორგი ქათამაძე,
შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ვალუტის კურსის არამდგრადობა და ცვალებადობა უმთავრესი პრობლემაა საქართველოში. მკვეთრი და სწრაფი ტემპებით ვალუტის კურსის ცვალობადობა იწვევს რიგი საკითხების ფორს-მაჟორულ სიტუაციებში განხილვას და სწრაფი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას, განსაკუთრებით მათთვის ვისი ყოველდღიური საქმიანობა ვალუტასთან არის დაკავშირებული. ასევე ფაქტია ეს ცვალებადობა პირდაპირპროპორციულად აისახება მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, დოლარის კურსის ზრდასთან ერთად იზრდება სამომხმარებლო ფასები.

ვალუტის კურსზეა დამოკიდებული საგარეო ვაჭრობის მთელი სისტემა, სწორედ ვალუტის კურსის მიხედვით ახდენენ ფასების სტაბილიზაციასა და დადგენას როგორც იმპორტიორები ასევე ექსპორტიორები, ამიტომაც ცვალებადი და არასტაბილური ვალუტის კურსი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: ვალუტის კურსი, ბიზნეს სუბიექტები, ეკონომიკის განვითარება, კრიზისი, იმპორტი, ექსპორტი, სტრატეგია, კონვერტაცია.

ძირითადი ტექსტი

ნაშრომის მიზანია მოვახდინოთ ვალუტის კურსის ცვალებადობის (მხოლოდ ეროვნული ვალუტის გაუფასურებისა და უცხოური ვალუტის კურსის ზრდის პირობებში) გავლენის ანალიზი ბიზნეს სუბიექტებზე, რომლებიც საქმიანობენ საქართველოში, ასევე მოვახდინოთ იმ მეთოდებისა და სტრატეგიების გაანალიზება, რომელთაც კომპანიები აქტიურად იყენებენ მერყევი და არასტაბილური ვალუტის კურსის დროს.

ზოგადი ფაქტორების ანალიზი. საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ვკითხულობთ: „ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა“. (4)

მიუხედავად კანონის ამ იმპერატიული ნორმისა, უცხოური ვალუტის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე საკმაოდ მაღალია და უნდა აღინიშნოს, რომ ამას განაპირობებს ძირითადი მსხვილი სავაჭრო ოპერაციების უძრავი თუ მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის, ქირავნობის, გირავნობის, სასესხო გარიგებების და სხვათა უცხოურ ვალუტაში წარმოება. შესაბამისად ვალუტის ცვალებადობა ადეკვატურად და პირდაპირპროპორციულად აისახება ზემოაღნიშნულ ოპერაციებზე. რაც შეეხება ზოგადად ვალუტის კურსს და მის განსაზღვრას, „თავისუფალი ბაზრის პირობებში გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხდება ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით. გრძელვადიან პერიოდში გაცვლითი კურსის დინამიკაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა შედარებითი ფასების დონეები, სავაჭრო ბარიერები, ადგილობრივ და იმპორტირებულ საქონელზე მომხმარებლის განსხვავებული პრეფერენციები და პროდუქტიულობა. შესაბამისად, მოვლენები,

რომლებიც აღნიშნული ფაქტორების ცვლილებას განაპირობებს ასევე აისახება გაცვლითი კურსის ცვლილებაში, რომელიც შეიძლება იყოს როგორც დროებითი, ასევე პერმანენტული ხასიათის.“ (1, გვ: 42-60)

მოქმედი გაცვლითი კურსი მთლიანად განისაზღვრება სავალუტო ბაზრის მიერ, რომელიც შედგება კომერციული ბანკებისგან, საინვესტიციო ფონდებისგან და იმ კორპორაციებისა თუ ინდივიდებისგან, რომელთა ინტერესში უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა შედის. (5)

ფული განაგებს ფინანსებს, ისევე როგორც ფინანსები არეგულირებს ეკონომიკას. თანამედროვე ძლიერ ფინანსიალიზებულ ეკონომიკაში, რომელიც ეყრდნობა სესხს, ფული არ არის მხოლოდ „ვუალი“ საყოფაცხოვრებო ოპერაციებში, როგორც ნეოკლასიკურ თეორიას მიაჩნია, მაგრამ არის კონსტიტუციური მთელი ეკონომიკისათვის, არა მხოლოდ აძლევს ტრანზაქციების შესაძლებლობას, არამედ დაფინანსების და უფრო ხშირად აღემატება წინასწარ დაფინანსებას, ინვესტირებას და მოხმარებას. ფულის გაცემას აქვს როგორც წინასწარი განმანაწილებლობითი ასევე წინა სადისტრიბუციო ფუნქცია. (10)

მიუხედავად ქვეყნის შიგნით არსებული სხვადასხვა ფაქტორისა, „ეროვნული სავალუტო სისტემა მჭიდრო კავშირშია მსოფლიო სავალუტო სისტემასთან საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების ორგანიზების ფორმით, რომელიც განმტკიცებულია სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებით.“ (12)

საგარეო ვაჭრობა, განსაკუთრებით ექსპორტი, ქვეყნის სავალუტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან სწორედ ის არის პირდაპირი არხი უცხოური ვალუტის შემოდინებისა, შესაბამისად ვალუტის ცვალებადობის ეკონომიკაზე გავლენის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია ბოლო პერიოდის საგარეო ვაჭრობის მონაცემების განხილვა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2016 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 11 966 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 20%-ით მეტია.

უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა შეადგინა 7 738 მლნ. აშშ დოლარი და სავაჭრო ბრუნვის 65% დაიკავა. საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 137 ქვეყნით განისაზღვრა, საიდანაც დადებითი სავაჭრო ბალანსი დაფიქსირდა 44 ქვეყანასთან.

– ექსპორტი შემცირდა 4%-ით და 2 114 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა

– იმპორტი გაიზარდა 27%-ით და 9 852 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა

დიაგრამა N1 (საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა (7))

წლები	2008წ	2009წ	2010წ	2011წ	2012წ	2013წ	2014წ	2015წ	2016წ
ბრუნვა	7797	5609	6913	9259	10413	10433	11463	9935	11966
ზრდის ტემპი(%)	21%	-28%	23%	33%	13%	5%	5%	-13%	20%
ექსპორტი	1495	1134	1677	2186	2377	2911	2861	2205	2114
ზრდის ტემპი(%)	21%	-24%	48%	31%	8%	22%	-1,7%	-23%	-4%
იმპორტი	6302	4476	5236	7072	8056	8023	8602	7730	9852
ზრდის ტემპი(%)	21%	-29%	17%	34%	14%	-0,2%	7%	-10%	27%
სალდო	-4806	-3342	-3559	-4886	-5680	-5112	-5741	-5525	-7738

როგორც დიაგრამაზე ვხედავთ, ბოლო წლებში (2014, 2015, 2016წ) ექსპორტი შემცირებულია, შესაბამისად ამ კუთხითაც (საგარეო ვაჭრობიდან) უცხოური ვალუტის შემოდინება შემცირებულია. მსგავსი ფაქტორები საერთო ჯამში ქმნის კომპლექსურად აქტორების ჯგუფს, რომლებიც აქტიურად ზემოქმედებენ ქვეყნის სავალუტო პოზიციებზე.

აქვე უნდა გამახვილდეს ყურადღება კიდევ ერთ ფაქტორზე-ტურიზმზე, ვინაიდან ასევე ტურიზმი არის სფერო, სადაც

პირდაპირი გზით ხდება უცხოური ვალუტის შემოდინება. ტურიზმში შემდეგი სტატისტიკაა:

დიაგრამა N2
(ვიზიტორთა რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში (8)

წელი	2012	2013	2014	2015	2016
საერთაშორისო ვიზიტორები რაოდენობა	4.428.221	5.392.303	5.515.559	5.901.094	6.350.825
საერთაშორისო ტურისტების (24 საათი და მეტი) რაოდენობა	1.789.592	2.065.296	2.229.094	2.281.971	2.714.773
საერთაშორისო ტურისტების წილი მთლიან რაოდენობაში	40.4%	38.3%	40.4%	38.7%	42.7

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში სტაბილური მატება არის საერთაშორისო ვიზიტორების კუთხით, დაახლოებით ნახევარი მილიონი ვიზიტორი წლის განმავლობაში. ეს მონაცემიც მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან ვალუტის მკვეთრი რყევის ანალიზისას ეს ფაქტორიც იქნას გათვალისწინებული როგორც უცვლელი/სტაბილური ფაქტორი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სავალუტო რისკის დაზღვევის მიზნით გამოიყენებოდა ოქროსა და სავალუტო დათქმები. ოქროს დათქმა-დაცვითი დათქმის სახეობაა, რომელიც ემყარება გადასახდელი ვალუტის ოქროს ღირებულებასთან მიმართებაში დათვლას შეთანხმების დადების დღეს და შესრულების დღეს ოქროს ღირებულების პროპორციულად გადაანგარიშებას.

დიაგრამა N3
(ბოლო 5 წლის ვალუტის ცვალებადობის დინამიკა (6))



სავალუტო რისკის დაზღვევის მსოფლიო პრაქტიკა. პირდაპირი ოქროს დათქმის დროს ვალდებულების თანხა ესადაგებოდა ოქროს წონით ღირებულებას (მეორე მსოფლიო ომის დროს 1 ტ ხორბალი უდრიდა 65-70 გრ სუფთა ოქროს) იყო ასევე ირიბი ოქროს დათქმა-როცა ვალდებულების თანხა გადაანგარიშდებოდა ოქროს ფასის შემცირების პროპორციულად, გადასახდელი თანხა მატულობდა ოქროს ფასის კლებასთან ერთად ან იკლებდა ოქროს ფასის მატების შემთხვევაში. ზოგიერთ ქვეყანაში ოქროს დათქმის გამოყენება აკრძალული იყო კანონმდებლობით (12).

როცა არის საშიშროება მსოფლიო ფინანსური სისტემის კრიზისისა, გლობალური საერთაშორისო სავალუტო-ფინანსური სისტემების წესები ხდება გარდაუვალი. კავშირი ეროვნულ საფინანსო-საკრედიტო მოვლენებსა და ფინანსურ რყევებს შორის არის: ფასებს შორის ინფლაციური ან დეფლაციური ცვალებადობა, ვალუტის კურსის მკვეთრი ცვალებადობა როგორც ეროვნული ვალუტის გაუფასურება, ვალუტის გაცვლითი

კურსის კრიზისი ვრცელდება ერთი ქვეყნიდან მეორეზე, რომელიც ემუქრება სისტემურ კრიზისში გადაზრდას, ფინანსური კრიზისი, რომელიც გამოხატულია ერთი ქვეყნის ფინანსური ცენტრის მეორეში გადატანით ან ბანკების გადატანით ერთი ქვეყნიდან მეორეში. (11)

2008 წლის დასაწყისში გარდაუვალი ჩანდა დოლარის კრიზისი. ვალუტა თითქმის ყველა ფრონტზე თმობდა პოზიციებს. დოლარის კურსის ვარდნის ძირითად მიზეზად შეიძლება დასახელდეს აშშ–ის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება. მაგრამ, როდესაც აშშ-ში კრიზისი ძალას იკრებდა, ბაზრის პრიორიტეტები შეიცვალა და აშშ–ის ვალუტამ მოახდინა ყველა ადრინდელი დანაკარგების კომპენსირება. ბოლო სამი წლის განმავლობაში განწყობის გლობალური ცვლილება არაერთხელ მოხდა, თანაც, იყო მომენტები, როდესაც ამერიკული ეკონომიკა ავლენდა გაჯანსაღების ნიშნებს, ხოლო დოლარი უფასურდებოდა. 2011 წლის შემოდგომაზე, როდესაც სულ უფრო მწვავდებოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, დოლარი კვლავ „ფორმაში“ იყო. თუ ამერიკაში ჯერ-ჯერობით კვლავ პრობლემებია, მაშინ ლოგიკურად ისმის კითხვა: რატომ იზრდება დოლარის კურსი კრიზისის დროს? აქ ყველაფერი საკმაოდ მარტივადაა. ფინანსურ ბაზარზე არსებული კრიზისი ინვესტორებს აიძულებს რისკიანი აქტივებიდან ფინანსური რესურსები გადაიტანონ შედარებით უსაფრთხო აქტივებში. დოლარი იაპონურ იენასთან და შვეიცარიულ ფრანკთან ერთად ტრადიციული ვალუტაა, რომელიც თავშესაფრის ფუნქციას ასრულებს. სწორედ ეს ახდენს აშშ-ის ვალუტაზე მოთხოვნის ზრდის პროვოცირებას, რაც უზრუნველყოფს კიდეც მის სიმყარეს. (2, გვ: 61-65)

მეცნიერების ნაწილი (მაგ: რობერტ მუნდელი) სავალუტო პრობლემის გადაჭრის საშუალებად ერთიან მსოფლიო ვალუტას/ფულს ასახელებენ, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთვის მისაღებია ქართველი მეცნიერის იზოლდა ჭილაძის მოსაზრება: „...ქაღალდის ფული ანუ ფულის ნიშანი მის ქვეყანაში უხილავად, მაგრამ რეალურად შექმნილი „მწარმოებ-

ლურობის“ ანუ ეკონომიკური ნაღვაწის ხარისხის ერთეულის ხილული წარმომადგენელი და საზომია. რამდენადაც მაღალგანვითარებული, ჰუმანური და კულტურულია ერი, მით უფრო მაღალი მსყიდველობითი ძალა გააჩნია მის საერთო ეკონომიკურ ნაღვაწის (ძალისხმევის) ერთეულს, ანუ ფულს და პირიქით. ამიტომ, აუცილებელია ყველა ქვეყანას საკუთარი ფულის ნიშანი ანუ ვალუტა გააჩნდეს, რათა ქვეყანაში შექმნილი ღირებულება (ფიზიკური და გონებრივი ძალისხმევა)...სამართლიანად გადაიცვალოს სხვა ქვეყნების მიერ შემქნილ ღირებულებაზე (ფიზიკურ და გონებრივ ძალისხმევაზე)...ერთიანი მსოფლიო ვალუტის დაბეჭდვა მცდარი კურსია. არაკონზომიერია. ერთიანი ვალუტა მსოფლიო ფულის ჩამოალიბება-წარმოშობის ევოლუციურ, ბუნებრივ პროცესებს შეაფერხებს. იგი წარმოშობს მრავალ გადაუჭრელ პრობლემას, კერძოდ: უარყოფს მსოფლიოს დემოკრატიული განვითარების კონცეფციას; ზღუდავს სახელმწიფოთა სუვერენიტეტს; გააქრობს ეროვნულ და შესაბამისად, საერთაშორისო პასუხისმგებლობებს, რითაც საყოველთაო ნიჰილიზმს დაამკვიდრებს; პერმანენტულ ხასიათს მისცემს მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისებს. ყოველივე ამის შედეგად მსოფლიო მოექცევა საყოველთაო ფინანსური და უნდობლობისა და ქაოსის „ჯადოსნურ წრეში“, საიდანაც გამოსვლა სულ უფრო შეუძლებელი გახდება.“ (3, გვ:330-331)

ყველა ზემოაღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია დავადგინოთ ბიზნეს სუბიექტებზე ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენის ძირითადი მახასიათებლები, ასევე გავაანალიზოთ იმ ღონისძიებების სტრატეგია, რომელებსაც კომპანიები ახორციელებენ რისკების პრევენციისა თუ მათი მართვის დროს, ასევე დავადგინოთ თუ რა ეფექტი აქვს ამ ღონისძიებებს და საბოლოოდ კომპლექსურად განვსაზღვროთ ვალუტის ცვალებადობის გავლენა ბიზნეს სუბიექტებზე და ზოგადად ეკონომიკაზე.

ბიზნეს სუბიექტების/კომპანიების ანალიზი. იმისათვის, რომ დაგვედგინა ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენა

ბიზნეს სუბიექტებზე და მოგვეხდინა მათ მიერ დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებების ანალიზი, კვლევის ფარგლებში მოხდა ჯამში 30 მდე ბიზნეს კომპანიის გამოკითხვა აჭარაში, სეგმენტები: ვაჭრობა, წარმოება, დისტრიბუცია, ექსპორტი, მომსახურება.

კომპანიების შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იყო:

- წლიური ფულადი ნაკადების ბრუნვა;
- ბიზნესის აქტივების, საბალანსო მონაცემების მოცულობა (მცირე, საშუალო და დიდი).

იმისათვის რომ გაგვერკვია ძირითადი ტენდენციები, გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი მეთოდი, წინასწარ მომზადებული კითხვარით მოხდა კომპანიების წარმომადგენელთა ანკეტირება.

მასალების მოპოვების დროს ყურადრება გამახვილებული იყო შემდეგ საკითხებზე:

- ბიზნესზე ვალუტის ცვალებადობის გავლენა;
- სესხის არსებობა უცხოურ ვალუტაში;
- ბრუნვის მოცულობის ცვლილება ბოლო სამი წლის განმავლობაში;
- ვალუტის ცვალებადობის გავლენისგან დაცვის მექანიზმები.

რაოდენობრივი მეთოდით მიღებულ შედეგებში ხარვეზების აღმოსაფზვრელად, ასევე გამოყენებულ იქნა შედარებითი მეთოდი ინტერვიურება, რომლითაც მოხდა საკითხების უფრო სიღრმისეულად დაზუსტება. **შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:** (იხ. დიაგრამა 4).

კომპანიების 90% ერთმნიშვენლოვნად უპასუხა, რომ მიმდინარე საქმიანობისას არ სარგებლობენ საკონსულტაციო მომსახურეობებით და მხოლოდ აუდიტირებისას ან საგადასახადოსთან დაკავშირებული პრობლემებისას უხდებათ მათთან კონსულტაცია. კომპანიების 10% ხანდახან გადის ერთჯერად ფინანსურ კონსულტაციებს, თუმცა სტაბილური/ინტენსიური ხასიათი ამას არ აქვს.

დიაგრამა N4

სარგებლობენ თუ არა ბიზნეს კომპანიები კვალიფიციური ფინანსური საკონსულტაციო კომპანიების მომსახურეობით



დიაგრამა N5

აისახა თუ არა ვალუტის კურსის ცვალებადობა ნეგატიურად ბიზნესზე და რა კუთხით



კომპანიების 90%-მა ერთმნიშვნელოვნად უპასუხა, რომ ვალუტის კურსის ცვალებადობა ნეგატიურად აისახა მათ ბიზნესზე, კერძოდ კომპანიის ფინანსური ნაკადების ბრუნვის ზრდა შეჩერებულია.

კომპანიების 10% პასუხობს, რომ ბიზნესზე უმნიშვნელო გავლენა იქონია ვალუტის კურსმა

დიაგრამა N6

აქვს თუ არა კომპანიას სესხი უცხოურ ვალუტაში



კომპანიების 100% სარგებლობს სესხით ამათგან 70% უცხოურ ვალუტაში. კომპანიები სესხებთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ მათ უწევთ დოლარის შეძენა ლარში, თუმცა სესხის გადავადებაზე ან ვადის ცვალებადობაზე არ ფიქრობენ, ასევე სესხის ლარში კონვერტაციისათვის ბანკს მიმართა კვლევის ფარგლებში გამოკითხული კომპანიებიდან მხოლოდ ორმა კომპანიამ, [1] აქვე მოხდა დამატებითი კითხვის დასმა, თუ რატომ არ სურთ დანარჩენ კომპანიებს სესხის ლარში კონვერტირება, მათ აღნიშნეს, რომ აქვთ ლარის დასტაბილურებისა და დოლარის კურსის კლების იმედი, ამიტომ არ სურთ კიდევ უფრო დაზარალდნენ კონვერტაციების შედეგად.

1 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომპანიების უცხოურ ვალუტაში სესხების კონვერტაციას არანაირი კავშირი არ აქვს ე.წ. გალარების პროგრამის ფარგლებში არსებულ შეთავაზებებთან, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის N1 დადგენილება ეხებოდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს.

დიაგრამა N7

შემცირდა თუ არა კომპანიის ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში



კომპანიების 40% აფიქსირებს, რომ ბრუნვები შემცირებულია, თუმცა არც თუ ისე დიდი მოცულობით, მაგრამ შემცირებულია მოგება, ვინაიდან კონვერტაციის შედეგად მიღებული ზარალი პირდაპირპროპორციულად აისახა კომპანიის მოგებაზე.

და მთავარი შეკითხვა: რა ღონისძიებები დაიგეგმა/გატარდა ამ გავლენის შესამცირებად? შეკითხვის მიზანი იყო იმ სტარატეგიებისა და მეთოდების გარკვევა, რომლითაც კომპანიების მოცემულ შემთხვევაში ცდილობენ რისკების პრევენციას და მათთან გამკლავებას პრეცედენტული, აპრობირებული ღონისძიებებით.

პასუხები შემდეგია: (იხ ცხრილი. გვ 53)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა, კერძოდ:

• ვალუტის კურსის ცვალებადობა პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაზე, იწვევს მათი მართვის სტრატეგიის ცვლილებას, კომპანიას უხდება საგანგებო მეთოდების შემუშავება, რომელიც დაეხმარება მას კრიზისის თავიდან აცილებაში.

დაგეგმილი და გატარებული ღონისძიება	შედეგი
მაქსიმალურად შეამცირეს დებიტორებზე გრძელვადიანი გადახდის პირობით საქონლის გაცემა	• მოკლევადიან პერიოდში დაბრუნებული საქონლის საფასური ლარში საშუალებას აძლევს დროულად მოახდინოს კონვერტირება და აიცილოს სამომავლო ვალუტის ცვალებადობის რისკი
დებიტორებთან დააფიქსირონ ვალდებულება აშშ დოლარის ექვივალენტში	• ამ შემთხვევაში მთლიანად ირიცხება ვალუტის ცვალებადობის შედეგად ზარალის რისკი, თუმცა ამ პირობას არ თანხმდება ყველა კლიენტი
უცხოეთიდან შემოსატანი საქონლისათვის საჭირო თანხას აკონვერტირებენ და უცხოურ ვალუტაში ათავსებენ ანგარიშზე უფრო ხშირი პერიოდულობით (ადრე თუ აგროვებდნენ 15-20 დღის განმავლობაში და შემდეგ აკონვერტირებდნენ ახლა კონვერტაციებს აკეთებენ უფრო ხშირად 5-10 დღეში)	• ეძლევა საშუალება დროულად მოახდინოს კონვერტირება და აიცილოს სამომავლო ვალუტის ცვალებადობის რისკი.
ავანსად ლარში ჩარიცხულ თანხებს აკონვერტირებენ იმავე დღეს	• ეძლევა საშუალება დროულად მოახდინოს კონვერტირება და აიცილოს სამომავლო ვალუტის ცვალებადობის რისკი.
ახდენენ მომწოდებელთან საქონლის ფასის კორექტირებას ან პოულობენ ახალი მომწოდებელს	• შედარებით რთული მეთოდია რისკების დაზღვევის და ფაქტიურად უხდება ბიზნესში დიდი კორექტირებების შეტანა, ამიტომ შედარებით უფრო ხშირია ფასის უმნიშვნელო კორექტირება ვიდრე მომწოდებლის შეცვლა.
სესხი ჩაანაცვლა შედარებით იაფი საბანკო გარანტიით	• ამ მეთოდს იყენებს გამოკითხული კომპანიების 10%, კერძოდ უცხოურ მომწოდებელთან წარადგინა საბანკო გარანტია, რომლის საპროცენტო განაკვეთი სესხის განაკვეთთან შედარებით თითქმის განახევრებულია, შესაბამისად ყოველთვიური საპროცენტო გადასახადი გაუნახევრდა.

• განხილული ბიზნეს სუბიექტების მონაცემებით ვნახეთ, რომ კომპანიები ძირითადად ცდილობენ საკუთარი რესურსებითა და პრაქტიკულად აპრობირებული მეთოდოლოგიით გაუმკლავდნენ კურსის ცვალებადობას, კომპანიების მსგავსი რისკებისგან დაზღვევის სახელმწიფო სტრატეგია ან პროგრამა არ არსებობს.

• კომპანიები არ სარგებლობენ კვალიფიციური ფინანსური კონსულტანტების-კრიზის მენეჯერების მომსახურეობით და ძირითადად კონსულტაციებს ბუღალტრებისა და შიდა მენეჯერებისაგან იღებენ. ეს განაპირობებს იმას, რომ ისინი ვერ იღებენ კვალიფიციურ კონსულტაციას თუმცა ამ პრობლემების მენეჯმენტისათვის არსებობს სხვადასხვა ფინანსური კონსულტანტები/ორგანიზაციები.

• კომპანიებს არ გააჩნიათ ფორს მაჟორულ სიტუაციებზე ორიენტირებული სტრატეგია და შესაბამისად ნებისმიერ სავალუტო რყევას მათი კომპანიის მართვა გადაყავს სპონტანურ ინტუიციურ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობილი.

ბიზნეს სუბიექტები და მათი აქტივობის შედეგები არის ქვეყნის ბიუჯეტის შემოსულობების მნიშვნელოვანი ნაწილი, ამიტომ კერძო ბიზნესის განვითარება და მისი დაცვა კრიზისისაგან, დღითი დღე უფრო მნიშვნელოვანი ხდება არამხოლოდ მეწარმეთათვის, არამედ ასევე სახელმწიფოსთვისაც.

ბიზნეს აქტივობის საერთო სურათისათვის თუ სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა საკმაოდ ბევრია საქართველოში, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აქტიური ბიზნეს სუბიექტების მოცულობა რეგისტრირებულთან მიმართებაში საკმაოდ მცირეა, კერძოდ ჯამში რეგისტრირებული სუბიექტებიდან მხოლოდ 26,4%-ია აქტიური. (9)

კომპანიების უდიდესი ნაწილი იმპორტულ საქონელზეა დამოკიდებული და შესაბამისად ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინება საკმაოდ მაღალია, ექსპორტიორი კომპანიები ქვეყანაში არის ძალიან მცირე (იხ. დიაგრამა N3) და შესაბამისად ამ მხრივ ვერ ხდება ბაზრის უცხოური ვალუტით გამდიდრება.

ბიზნეს სუბიექტების აქტიურობა დამოკიდებულია სხვადა-

დიაგრამა N8

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სუბიექტთა რაოდენობა	აქტიური	%
სულ	652046	172532	100
კომერციული იურიდიული პირები	205862	67073	31.6
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)	2763	295	0.4
კომანდიტური საზოგადოება	186	28	0.0
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	195604	65659	30.0
სააქციო საზოგადოება	2489	873	0.4
კოოპერატივი	4820	218	0.7
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები	24437	3589	3.7
ინდივიდუალური მეწარმე	412581	98288	63.3
სხვა	3312	906	0.5
საჯარო სამართლის სუბიექტები	5854	2676	0.9

სხვა ფაქტორებზე, მაგრამ ძირითადი რაც წარმატებულ ბიზნესს სჭირდება არის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო, რაც თავის თავში მოისაზრებს: ქვეყნის დადებით საერთაშორისო იმიჯს, სტაბილურ პოლიტიკურ გარემოს, მიმზიდველ ბიზნეს რეგულაციებს, სახელმწიფო პროგრამების ორიენტირს ბიზნესის განვითარებისათვის და სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ მუშაობას.

კომპანიების წარმატებასა და განვითარებაზე გარდა ვალუტის კურსის ცვალებადობისა ასევე უარყოფითად მოქმედებს მაღალი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, არათანაბარი კონკურენტული გარემო, არაოფიციალური/არაფორმალური ინსტიტუტები, ქვეყნის მუდმივად ცვლადი პოლიტიკური ორიენტირი და სხვა.

ეროვნული ვალუტის გაუფასურება იწვევს პირველად მოხმარების პროდუქციის ფასის ზრდას, შესაბამისად კლებულობს გაყიდვების მოცულობა, რაც პირდაპირ ამცირებს შემოსავლებს როგორც კომპანიებში ასევე ქვეყნის ბიუჯეტში, ეს ყველაფერი კი კომპლექსურად ზიანს აყენებს და აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

დასკვნა

კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ:

• ვალუტის კურსის ცვალებადობა პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაზე, იწვევს მათი მართვის სტრატეგიის ცვლილებას.

• კომპანიები ძირითადად ცდილობენ საკუთარი რესურსებითა და პრაქტიკულად აპრობირებული მეთოდოლოგიით გაუმკლავდნენ კურსის ცვალებადობას.

• კომპანიების სავალუტო რისკებისგან დაზღვევის სახელმწიფო სტრატეგია ან პროგრამა არ არსებობს.

• კომპანიები არ სარგებლობენ კვალიფიციური ფინანსური კონსულტანტების-კრიზის მენეჯერების მომსახურეობით

• კომპანიებს არ გააჩნიათ ფორს მაჟორულ სიტუაციებზე ორიენტირებული სტრატეგია

ამრიგად, ბიზნეს სუბიექტები წარმატების მისაღწევად მაქსიმალურად ადაპტირებული უნდა იყვნენ ბიზნეს გარემოსთან, თუმცა ბიზნეს გარემო მუდმივად ცვალებადია სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების გამო, სწორედ ამიტომ კომპანიის, მისი მენეჯმეტის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს:

• ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე მუდმივი ყურადღება/ კონცენტრაცია;

• ნებისმიერი ცვლილების ადეკვატურად ასახვა/ადაპტირება კომპანიის საქმიანობაში.

როცა ბიზნეს აქტივობა მაღალია, ადეკვატურად იზრდება დასაქმების შესაძლებლობა, დასაქმებული მოსახლეობა აუმჯობესებს ქვეყნის სოციალურ ფონს, ვითარდება ქვეყნის ინფრასტრუქტურა, ეკონომიკა და ყოველივე ეს კი პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე.

ლიტერატურა

1. ბაიაშვილი, თ., სავალუტო პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკისათვის; ჟურნალი ეკონომიკა და საბანკო საქმე; 2015წ, ტომი 3, N3. გვ.42-60

2. ჩიქობავა, მ., მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მორიგი

ტალღა და მისი გავლენა საქართველოზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი, 2012 წელი, გვ.61-65.

3. ჭილაძე, ი., მსოფლიოს ერთიანი ვალუტის პრობლემური საკითხები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი, 2012 წელი, გვ: 330-331

4. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, მუხლი 34, პუნქტი 2; თბილისი, 2009 წლის 24 სექტემბერი. N 1676 – IIს.

საქართველოს ეროვნული ბანკი, სავალუტო პოლიტიკა და რეზერვების მართვა, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=521. (21.02.2017)

5. საქართველოს ეროვნული ბანკი, ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo. (21.02.2017)

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2016 წელი; http://economy.ge/ge/economic-sectors/trade

7. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა, ოფიციალური ვებ-გვერდი

8. http://gnta.ge/ge/2016-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A2/

9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს რეგისტრი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების

მიხედვით, http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=238&lang=geo

10. Modern Money Theory and New Currency Theory A comparative discussion, including an assessment of their relevance to monetary reform; real-world economic review, issue no. 66; Joseph Huber, 2014; http://www.paecon.net/PAEReview/issue66/Huber66.pdf

11. Preventing Financial Instability and Currency Crises by Horst Siebert No. 1401| February 2008, Kiel Institute for the World Economy, Düsternbrooker Weg 120, 24105 Kiel, Germany, http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.522.9297&rep=rep1&type=pdf

12. Л.Н. Красавина, Т.И. Алибегов, С.А. Былиняк. .. МЕЖДУНАРОДНЫЕ ВАЛЮТНО-КРЕДИТНЫЕ И ФИНАНСОВЫЕ ОТНОШЕНИЯ, МОСКВА «ФИНАНСЫ И СТАТИСТИКА-2000, ISBN 5-279-02117-2, გვ 263-264

REFERENCES:

1) Baiashvili Tamar, Currency policy for Georgian economy; Journal of Economy and Banking; 2015, volume 3; N3 pp. 42-60.

2) Chikobava Malkhaz, The next wave of a world economic crisis and its influence on Georgia, Ivane Javakhishvili State University, Globalization, An International Scientific-Practical conference „Contemporary Problems of international business and development trends" April 6-7, 2012, pp. 61-65

3) Chiladze Izolda, Problematic issues of the world sole currency, Ivane Javakhishvili State University, Globalization, An International Scientific-Practical conference „Contemporary Problems of international business and development trends" April 6-7, 2012, pp. 330-331

4) Organic law on National Bank of Georgia, Article 34, Item 2; Tbilisi, 2009, September 24. N1676 -IIS.

5) Exchange rate policy and reserve management, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=521. (21.02.2017)

6) Official exchange rate of LARI against foreign currencies,

https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo. (21.02.2017)

7) Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, Foreign Trade 2016 http://economy.ge/ge/economic-sectors/trade

8) LEPL – Georgian National Tourism Administration, visitors' statistic information: http://gnta.ge/ge/2016-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%-E1%83%9D-%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A2/;

9) National Statistics Office of Georgia, Business Register By legal status, http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=239&lang=eng;

10) Huber Joseph, Modern Money Theory and New Currency Theory A comparative discussion, including an assessment of their relevance to monetary reform; real-world economic review, issue no. 66; 2014; http://www.paecon.net/PAEReview/issue66/Huber66.pdf;

11) Preventing Financial Instability and Currency Crises by Horst Siebert No. 1401| February 2008, Kiel Institute for the World Economy, Düsternbrooker Weg 120, 24105 Kiel, Germany, http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.522.9297&rep=rep1&type=pdf;

12) Krasavina L.N., Alibegov T.I., Bilinyak S.A., International Monetary and Financial Relations, Moscow, „Finance and Statistics -2000, ISBN 5-279-02117-2, pp. 263-264.

CHANGE IN EXCHANGE RATE: ITS IMPACT ON ACTIVITY OF BUSINESS COMPANIES AND ANALYSIS OF SOME PREVENTION MEASURES

George Abuselidze
Professor, Doctor of Economics,
Shota Rustaveli State University
Giorgi Katamadze,
PhD Student,
Shota Rustaveli State University

RESUME

The instability and change of exchange rate is one of the most important problems in Georgia. It often necessitates discussions of some key issues in force majeure situation and making of the prompt decisions, especially for those involved in business related to currency.

The change of exchange rate directly affects the citizens since the rise of foreign currency exchange rate proportionally influences the prices. The system of foreign trade is fully depended on exchange rate, serving as the benchmark for the importers and exporters in balancing and fixing the prices. All these have a great influence on economical development of the country. The present paper analyses the abovementioned issues.

Keywords: Currency exchange, National Bank, Business subjects, Economic development, Crisis, Import, Export, Strategy, Converting.

JEL Codes: G20, G21, G23, G28

ბანკის ბიზნეს სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები

ხათუნა შალამბერიძე
ედ., აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კომერციული ბანკი, როგორც საბაზრო ეკონომიკის აქტიური ელემენტი და როგორც ორგანიზაცია, რომელიც ფლობს სისტემურ თვისებებს. სისტემა კი, როგორც ვიცით, წარმოადგენს მრავალი ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულები ერთმანეთთან და ურთიერთქმედებენ საერთო ამოცანის შესასრულებლად.

ასევე, განხილულია ამ სისტემების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშანთვისებების მიხედვით. კერძოდ, მარტივი და რთული სისტემები, აგრეთვე საკითხი, თუ როგორ გამოიმუშავებს ბანკი გარკვეულ ქცევას, რომელიც პასუხობს მის მიზნებს, შემდეგ მუდმივად ახდენს მის რეგულირებას საქმიანობის შედეგებისა და ცვალებადი პირობების მიხედვით.

საინტერესოდ არის ჩამოყალიბებული ის ტენდენციები და სტრატეგიები, რომლებიც შემუშავებული აქვთ თანამედროვე კომერციულ ბანკებს. მაგალითად, ტენდენცია, რომელიც წარმოადგენს ორიენტაციას კლიენტებზე, ასევე, ტენდენცია პროდუქტების გასაღებისა და მომსახურეობის რეალიზაციაში. რაც შეეხება სტრატეგიას, ის განხილულია ელექტრონული ბიზნესის წარმატებულობის კრიტიკული ფაქტორების შეფასების ჭრილში, სტრატეგიული პრიორიტეტების დადგენასა და შემდგომი განვითარების გეგმის შედგენაში და სხვ. განხილულია, მათი განხორციელების შედეგად დასაშვები რისკები და ბანკის მიერ, მომხმარებლის დასაცავად შემუშავებული რიგი პრევენციული ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული პრიორიტეტები; სტრატეგიული გადაწყვეტილებები; სტრატეგიული ტენდენციები; ელექტრონული ბიზნესი; რისკების მართვა; ფინანსური მდგრადობა.

შესავალი

ბანკი თავისი სერვისების რაოდენობიდან და იმ პირობებიდან გამომდინარე, რომლებშიც მას უწევს მუშაობა, რა თქმა უნდა, მიეკუთვნება რთული სისტემების რიცხვს. რთულ სისტემებს გააჩნიათ იერარქიული სტრუქტურა და შედგებიან ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემებისაგან, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან ქვესისტემებად და ა.შ.

ვინაიდან ბანკი არის რთული სისტემა, მისი მართვის დროს უნდა იყოს გამოყენებული სისტემური მიდგომა. ბანკის საქმიანობის კომპლექსური ანალიზის გარეშე მისი ქცევის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ფრიად რთულია. როგორც ნებისმიერი სხვა რთული სისტემა, ბანკიც გამოიმუშავებს გარკვეულ ქცევას, რომელიც პასუხობს მის მიზნებს, შემდეგ მუდმივად ახდენს მის რეგულირებას საქმიანობის შედეგებისა და ცვალებადი პირობების მიხედვით. მაგალითად, ფასიან ქაღალდებთან ან კრედიტებთან მუშაობის დროს ბანკი თვალყურს ადევნებს სიტუაციას საფინანსო ბაზრებზე, ვინაიდან ის განსაზღვრავს გამოსაყენებელი საფინანსო ინსტრუმენტების ნაკრებს აღნიშნული ოპერაციების შემოსავლიანობის და საიმედობის ზრდის მიზნით. ხანდახან ბანკის ქცევა კორექტირდება უფრო სერიოზულად და ეს კორექტირება შედგება ახალი ფინანსური სქემების ძიებისა და გამოყენებისაგან.

ძირითადი ტექსტი

დავახასიათოთ ის ტენდენციები, რომლებიც გააჩნიათ თანამედროვე ბანკებს და მათ სტრატეგიებს.

პირველი ტენდენცია წარმოადგენს ორიენტაციას კლიენტებზე, რასაც კლიენტების სხვადასხვა მოთხოვნების შესწავლის და სპეციალიზაციის შემუშავების ხარჯზე მიიღებენ.

მოწინავე ბანკები შეისწავლიან კლიენტების მოთხოვნებს და კლიენტთა ჯგუფების მიხედვით ახდენენ მომსახურეობის კორექტირებას. ორგანიზაციების მიერ არჩეული სპეციალიზაცია ხელს უწყობს ინდივიდ კლიენტთან ეფექტურ მუშაობას, რაც ყოველ კლიენტთან მუშაობის და შესაბამისად მთელი ბიზნესის შემოსავლების ზრდის საწინდარია. ბანკი ცდილობს ააგოს კლიენტების მომსახურეობის ინდივიდუალური სისტემა, ის ცდილობს რომ მისი სახე განსხვავდებოდეს სხვა ბანკებისაგან, რათა მომხმარებელმა შეძლოს ამ ბანკის გამორჩევა სხვა ბანკებისაგან. კლიენტზე ორიენტირებული მიდგომა მოითხოვს ინფორმაციის და პროცესების ცენტრალიზაციას.

საბანკო ბიზნესის განვითარების მეორე ტენდენცია მდგომარეობს პროდუქტების გასაღებისა და მომსახურეობის რეალიზაციაში, ახალი არხების ძებნაში. ამისთვის ბანკები იყენებენ ელექტრონული გადაწყვეტილებების უპირატესობებს, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სიახლეებს. ელექტრონული ბიზნესი ცვლის დარგების სახეს. უახლოეს მომავალში ელექტორნული ბიზნესი განსაზღვრავს კომერციული საქმიანობის ძირითად წესებს. იგი არსებით გავლენას ახდენს ასევე საფინანსო სექტორზეც. ოპერაციების უმეტესობა ბანკებში ხორციელდება ელექტრონული საშუალებებით. ელექტრონული ბიზნესის დანერგვა ზოგჯერ არასწორად არის გათვლილი და შემუშავებული, რაც სასურველ შედეგს არ გვაძლევს.

ინტერნეტში ბიზნესის გადატანამ შეამცირა შიდა დანახარჯები. ამგვარად, ელექტრონულ ბიზნესს გააჩნია დანახარჯების შემცირების პოტენციალი და ბანკებმა არ უნდა უგულებელყონ იგი. თუ ბანკი არასაკმარისად არის საქმეში ჩახედული, ან სტრატეგიის და ორგანიზების შემუშავებაში არის რაიმე ნაკლოვანებები, მაშინ ამ სფეროში პროექტები წარუმატებელი იქნება. ბანკებმა უნდა იცოდნენ როგორი შედეგები ექნება ელექტრონული ბიზნესის განვითარებას, როგორ მიაღწიონ ამ შედეგებს და რა არის საჭირო იმისათვის, რომ ელექტრონული ბიზნესის განვითარებას იმპულსი მიეცეს.

რაც შეეხება სტრატეგიას, საჭიროა ელექტრონული ბიზ-

ნესის წარმატებულობის კრიტიკული ფაქტორების შეფასება, სტრატეგიული პრიორიტეტების დადგენა და შემდგომი განვითარების გეგმის შედგენა. მენეჯმენტთან დაკავშირებით საჭიროა პროექტების კონტროლი და მუშაობის მართვა გაზომვადი მიზნების შესაბამისად, რისკების მართვა და ხელმძღვანელობის მხრიდან საჭირო მხარდაჭერის განხორციელება. ამასთან დაკავშირებით დროული იქნება ელექტრონული სერვისების დადებითი და უარყოფითი თვისებების დახასიათება, რომელიც შემდგომში მდგომარეობს.

1. გარიგებების მულტიპლიკატორის ეფექტი – ინტერნეტ ბანკში უამრავი შესაძლებლობაა გადასახადების გადახდის, ფულადი სახსრების ტრანზაქციების ჩატარების მოქნილი და სწრაფი სისტემები და აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის სერვისი – და ეს ყველაფერი ონლაინ რეჟიმში მუშაობის შესაძლებლობით, რაც უფრო მეტ სტიმულს აძლევს მომხმარებელს, რათა გახდეს ბანკის მუდმივი კლიენტი. მუდმივი კლიენტების რაოდენობის ზრდამ განაპირობა შემოსავლების ზრდა, რამაც თავისთავად მეტი მოტივაცია გაუჩინა ფინანსურ დაწესებულებებს, სამომავლოდ გაეძლიერებინათ და გაეფართოვებინათ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა საბანკო სფეროში;

2. სწრაფი დანერგვის ციკლი – ინტერნეტ ბანკის განვითარებამ ფინანსური დაწესებულებები აიძულა სწრაფად შეემუშავებინათ და მოხმარებაში ჩაეშვათ ახალი პროგრამული უზრუნველყოფები, რომლებიც მორგებული იქნებოდა კლიენტის მოთხოვნებსა და ტექნოლოგიურ ინოვაციებზე. ინტერნეტ ბანკის განვითარებამ და ელექტრონული კომერციის გამოყენებამ ასევე გააძლიერა ისეთი პროდუქტიული შესაძლებლობების განვითარება, როგორიც არის გაუმჯობესებული ინფორმაციული ნავიგაცია, მრავალფუნქციური სისტემის დანერგვა ერთ მთლიან სისტემაში.

3. გეოგრაფიული მიღწევები, რაც გულისხმობს დროს, როცა მომხმარებელს არ ჰქონდა შესაძლებლობა მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ესარგებლა თავისი ბანკის მომსახუ-

რების სერვისებით. ყველაფერი შეიცვალა ინტერნეტ ბანკის შემოსვლით, რომელიც თავის შესაძლებლობებიდან გამომდინარე უსაზღვროა, ეს მომსახურება შეიძლება გამოყენებული იქნას იმ მიუწვდომელ ადგილებშიც, სადაც არც ბანკის ფილიალი და არც მისი წარმომადგენლობა;

4. ბრენდის შესაძლებლობები, რომელიც გულისხმობს ინტერნეტ საბანკო პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შესაძლებლობებს, მარტივად შეინარჩუნონ ბანკის ძირითადი მომხმარებლები და გაზარდონ მათი რაოდენობა, ვინაიდან ეს მომსახურება ამარტივებს და ხელმისაწვდომს ხდის მომსახურებას და პროდუქციის ფართო სპექტრის გაშლას მომხმარებლებში, რის შედეგადაც უმჯობესედება ბაზრის მთლიანი სპექტრის ფინანსური მომსახურება, რაც ხელს უწყობს მომხმარებლის ლოიალობას და კიდევ უფრო აძლიერებს ჯვარედინი გაყიდვების ბიზნესს;

5. შემცირებული საოპერაციო ხარჯები – რომელთა კვლევები გვიჩვენებს, რომ ინტერნეტის დანერგვამ, გამოყენებამ და გავრცელებამ ფინანსური უპირატესობა მოუტანა როგორც მომხმარებლებს, ასევე ბანკებს შიდა შემოსავლებში, იქიდან გამომდინარე, რომ მომხმარებელი ბანკში მიუსვლელად ასრულებს ნებისმიერ საბანკო ოპერაციას, და ზოგავს თუნდაც ტრანსპორტირების ღირებულებას, ბანკი კი ღებულობს კიდევ მეტ კმაყოფილ კლიენტსა და ზოგიერთი ტრანზაქციიდან – საკომისიოს, იზოგება რესურსები, რაც ჯამში ზრდის მის მოგებას.

6. სასარგებლო ინფორმაცია გულისხმობს დღევანდელ ინტერნეტ ბანკის სტრუქტურაში, ინფორმაციის მართვას. მისი წყალობით ბანკი სრულად ფლობს მარკეტინგულ, საბაზრო ინფორმაციას საბანკო პროდუქტსა და მომსახურებებზე. ინტერნეტ ბანკი ქმნის სასარგებლი ინფორმაციის მოპოვების საიმედო წყაროს, რომელიც ხელმისაწვდომია მსოფლიო ბაზრის ყველა მონაწილესათვის, რაც ამარტივებს ნებისმიერი სიახლის, საბანკო მომსახურების ძებნის პროცესს.

ინტერნეტ ბანკის მომხმარებლებისათვის არსებობს საიტი, სადაც საერთო ინფორმაციის მეშვეობით სხვადასხვა პრო-

ვაიდერის მიერ შეთავაზებული პროდუქტი და მომსახურება არის ხელმისაწვდომი. სხვადასხვა პროვაიდერები მომხმარებლისგან ინფორმაციის ან სერვისის მოთხოვნის შემთხვევაში, ასრულებენ რამდენიმე სახის განსხვავებულ ფუნქციას, რათა მომსახურების მიწოდების სტრუქტურა სრულყოფილად და ამომწურავად იყოს მიმართული მომხმარებლისკენ.

აქ ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შეგვიძლია წარმოვადგინოთ ინტერნეტ კრედიტი, რამეთუ პროვაიდერების მეშვეობით პოტენციურ მსესხებელს შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია, ჩაატაროს კვლევა ბანკის მიერ წარმოდგენილი კატალოგების მიხედვით და მოახდინოს პირობების შედარება და სურვილის შემთხვევაში დაიმტკიცოს სესხი ინტერნეტ ბანკით განაცხადის გაგზავნის მეშვეობით.

ინტერნეტ ელექტრონული სესხისთვის ასევე ის ფაქტორიც ფრიად გასათვალისწინებელი და მისასალმებელია, რომ მსესხებელს სესხის რეფინანსირების დროს, შეუძლია თავის არიდება არამც თუ ზედმეტი ფორმალობებისგან და პროცესებისგან, არამედ ამ მომსახურების მეშვეობით, იგი ეფექტურად ამცირებს ზედმეტ ხარჯებს საკომისიოების სახით. ეს კიდევ უფრო ნათელი მაგალითია ინტერნეტ ბანკის წარმატებისა. თუმცა, ვიდრე, ბანკსა და მომხმარებელს შორის ინტერნეტ ბანკის მეშვეობით ელექტრონულად საბოლოოდ შედგება გარიგება, არსებობს ის დამცავი მექანიზმი და სისტემა, რომელიც ამოწმებს მომხმარებლის მონაცემებს და მომსახურება სრულად აწარმოებს მომხმარებლის იდენტიფიკაციას. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველას არ შეუძლია რიგი ოპერაციების ჩატარება და სერვისის მიღება, პროგრამა აკონტროლებს მომხმარებელს მისი მონაცემებიდან გამომდინარე: რამდენად გადახდის უნარიანია მომხმარებელი, რა შესაძლებლობები გააჩნია მას, რა ოპერაციებია მისი სტატუსისთვის ნებადართული, როგორი საკრედიტო ისტორია აქვს მას და ა.შ. საერთოდ არ განიხილება მომხმარებელთა ის კატეგორია, რომელთა საკრედიტო ისტორია არადამაკმაყოფილებელია და მომხმარებელი იმყოფება ე.წ „კრედიტ ინფოში“.

პრობლემას კი წარმოადგენს ინტერნეტ ბანკის მეშვეობით საბანკო ოპერაციების ჩატარების მაღალი რისკი. ინტერნეტ ბანკის რისკები დაკავშიებულია იმ რიკებთან, რომლებიც დამახასიათებელია ბანკის საქმიანობასთან. განვიხილოთ ძირითადი რისკები, რომელიც დამახასიათებელია ინტერნეტ ბანკისათვის.

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომელიც წარმოიშვება საკრედიტო რისკი მსესხებლიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში, თუ ის ვერ აკმაყოფილებს საკრედიტო ხელშეკრულების პირობებს, ან სხვაგვარად ასრულებს მათ შეთანხმების დარღვევით. ყველა საქმის წარმატების საწინდარი კი ხელშეკრულების ურთიერთშეთანხმების დაცვაა. მომხმარებელთა საკრედიტო პირობის დარღვევა იწვევს ბანკისთვის მეტი დროის დაკარგვას, ფინანსურ ზარალს და მრავალ მსგავს შეფერხებას სხვადასხვა კუთხით.

მართალია, ინტერნეტ ბანკი საშუალებას აძლევს ბანკს გააფართოვოს კლიენტების გეოგრაფიული სპექტრი: მისი საიტი საშუალებას იძლევა მომხმარებელი დაუკავშირდეს მას მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, თუმცა ამ საიტის მეშვეობით შეუძლებელია ბანკის პერსონალსა და მომხმარებელს შორის არსებობდეს რაიმე პირადი კონტაქტი, რაც ცუდია იმ მხრივ, რომ ბანკისთვის ნაკლებად ცნობადია თავისი მომხმარებელი, მხოლოდ კარგია იმ კუთხით, რომ ბანკის პერსონალის მხრიდან გამორიცხული იქნება რაიმე მიკერძოებული როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება კრედიტის დამტკიცების შესახებ.

გარიგების რისკად შეიძლება ჩაითვალოს მიმდინარე და გარიგების რისკად მოსალოდნელი რისკი, რომელიც წარმოიქმნება არალეგალური კაპიტალის ფლობიდან, შემოსავლის წყაროს თაღლითური გზით მოპოვებიდან, ბანკის არასწორად ინფორმირებიდან, მარცხის მოსალოდნელი ალბათობიდან კონკურენტუნარიანი გარემოს გაძლიერების შედეგად, ბანკში ინფორმაციის არასათანადოდ დამუშავებიდან. ეს რისკი დამახასიათებელია ყოველი პროდუქტისთვის და შემოთავაზებული

სერვისისთვის, ის შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერი ელექტრონული საბანკო პროდუქტის მიწოდების პროცესში.

ტრანზაქციის რისკი დაკავშირებულია საბანკო ოპერაციების ტრანზაქციის რისკის გატარების დროის ფაქტორთან და აგრეთვე შესაძლო შეცდომებთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ოპერაციის ტრანზაქციის დაგვიანებით ასახვა. ბანკები, რომლებიც სთავაზობენ კლიენტებს ინტერნეტის მეშვეობით ფინანსურ პროდუქტებსა და სერვისებს, უნდა ახორციელებდნენ მათი მომხმარებლების დროულ მომსახურებას და ამართლებდნენ მათ მოლოდინს.

კიდევ ერთი რისკი, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტ ბანკინგთან არის ტრანზაქციის ინტერნეტ ბანკთან შესაფერისობის რისკი. არსებობს ისეთი სახის ოპერაციები, რომელიც კარგად ფუნციონირებს და ადვილი სამართავია ინტერნეტით. მაგრამ არის ისეთი ტრანზაქციებიც, რომელიც წარმოადგენს უფრო დეტალურად განსახილველ თემას, რომელიც ინტერნეტის საშუალებით მოქნილად ვერ მოგვარდება და ამავდროულად მისი გადაჭრა დიდ დროს მოითხოვს. ისეთი სახის ტრანზაქციები, როგორიცაა გადასახადის გადახდა შესაძლებელია ეფექტურად იწარმოოს მთლიან საბანკო-ონლაინ სისტემაში. იგივე შეიძლება ითქვას საკრედიტო ანგარიშებზე. თუმცა, მაშინაც კი, როცა ითვლება, რომ ინტერნეტ-ბანკინგი უდაოდ კარგად მუშაობს განსაზღვრული ტიპის ტრანზაქციებთან დაკავშირებით, ანგარიშის მფლობელი აგრეთვე იღებს ჩეკს, რომელთაც სჭირდებათ შემოწმება ფიზიკურად.

დასკვნა

ამრიგად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ინტერნეტ ბანკის მომსახურეობა უსაფრთხოების მხრივ მაღალი რისკის მატარებელია, რადგან არალეგალური თავდასხმა დიდ ფინანსურ ზიანს მოუტანს, როგორც მომხმარებელს, ასევე ბანკის ბიუჯეტს და იმიჯს. ზუსტად აქედან გამომდინარე შეიქმნა და დაპროგრამდა ის დამცავი სისტემები, რომელმაც მაქსიმალურად აღკვეთა ნებისმიერი არასანქცირებული შეღწევა ბანკის ქსელში.

სისტემაში შეჭრის და პროგრამების არევის მცდელობები აიძულებს ბანკს კომპიუტერული და ქსელური სისტემების მუდმივ მონიტორინგს.

კვლევები ნათლად მიუთითებს, რომ ბანკის შიდა სისტემა ბევრად უფრო დაუცველია, ვიდრე ბანკის გარე სისტემა, იმიტომ რომ ბანკის შიდა მომხმარებელს გააჩნია სპეციფიკური ცოდნა და წვდომა ბანკის შიდა სისტემასთან. ამიტომაც ბანკს უნდა გააჩნდეს პრევენციული და პრობლემის მპოვნელი, აღმომფხვრელი სისტემა, რათა მან დაიცვას თავისი ინტერნეტ ბანკინგის მომხმარებელი.

მაღალი დონის დაცვა და სისტემის კონტროლი არის მომხმარებლის კმაყოფილების მთავარი ფაქტორი. კმაყოფილ კლიენტებზე გაყიდული საბანკო პროდუქტი წარმოადგენს მთავარ კონკურენტულ უპირატესობას. ინტერნეტ ბანკინგი, როგორც ინფორმცაიისა და თანხის ალტერნატიული მიწოდების არხი, ადამიანებს სთავაზობს ბევრ განსხვავებულ შესაძლებლობებს შემდგომი ზრდისა და განვითარებისთვის. ინტერნეტს გარდა მიწოდების არხის მარტივი ფუნქციისა გააჩნია ექსტრემალურად საჭირო ფუნქცია – ტრანზაქციების სწრაფად განხორციელება.

ფინანსური ინსტიტუტები არ ერიდებიან კლიენტთან ურთიერთობას ელექტრონულ მენეჯმენტში ფულის დაბანდებას და იმ გადაწყვეტილებების მოძიებას, რომლებიც საჭიროა ქსელურ სისტემებში მცირეოდენი პრობლემების მოგვარებისთვის. ასეთი სახის პროექტების მიზნები აგრეთვე გახლავთ მომხმარებლის ლოიალურობისა და დამატებითი შემოსავლების მოპოვება, გაზრდილი ტრანზაქციების საფუძველზე. ამის მისაღწევად კლიენტებთან ურთიერთობის ელექტრონული მენეჯმენტის გადაწყვეტილებების მიღება ინტერნეტის არხებთან მიმართებაში, მომხმარებთან ურთიერთობის დაკვირვების საფუძველზე ხორციელდება. ერთიანი ანალიზი კი ავლენს მომხმარებლის მიერ ფინანსური პროდუქტის გამოყენების ნიმუშებს. შესაბამისად, ამ ინფორმაციის გამოყენებით, ფინანსურ ინსტიტუტებს შეუძლიათ წარმოშვან ბიზნეს კანონები და წე-

სები, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა სახის განსხვავებული შეთავაზებები უნდა გაკეთდეს მომხმარებლისათვის დროის სხვადასხვა მონაკვეთში. უფრო მეტიც, ფინანსური ინსტიტუტები აკეთებენ შეთავაზებას ყველა არხის საშუალებით, და ატარებენ კვლევას, რათა მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეიმუშავონ უკეთესი სტრატეგია, რომელიც აამაღლებს ეფექტიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“თბ., 2014წ.

2. ქოქიაური ლ., „საბანკო საქმე“, თბ., 2010 წ.

3. პაპავა ვ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები; თბ., 2000 წ.

4. რ.ბერიძე –,,საბანკო მენეჯმენტი“, თბილისი-2009 წ.

5. ბალცეროვიჩი ლ., სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბ., 2002წ.

REFERENCES:

1. Kovzanadze I., Kondridze G., „Modern Banking: Theory and Practice” Tbilisi, 2014

2. Kokoyauri L., „Banking”, Tb., 2010

3. Papava V., International Monetary Fund in Georgia: Achievements and Mistakes; 2000.

4. R. Beridze – „Bank Management”, Tbilisi – 2009

5. Balcerowicz, state transition period, Tb., 2002

THE MAIN DIRECTIONS OF THE BUSINESS STRATEGY OF COMMERCIAL BANK

Khatuna Shalamberidze,
Academic Doctor of Economics,
ATSU, Associated Professor

RESUME

Modern society demands certain requirements to banks in connection with their financial activities. The banks' work should be highly effective. That's why it's actual to assess the efficiency of bank's financial activities. It should be noted that there is no single approach of efficiency determination in the world. In economically highly-developed countries the effectiveness is determined by the increase of the bank's stock or business price, while in less developed countries, it is possible to evaluate the effectiveness by means of profitability and rent ability.

Moreover, the modern banking sector is characterized by increased competition and the existence of the global crisis. In this case, the assessment is concentrated on the evaluation of banks' sustainability and reliability. On the other hand the consistency and reliability is highly dependent on banks' capital structure and enough to cover this risk, balance sheet liquidity levels, asset quality and structure, risk management policy, risk – management arrangements for quality control.

In order to survive in the condition of increased competition, the banks have to offer the new services in accordance with the international standards. The banking information technology degree becomes important. Improving the quality of information technology is the problem of each bank, especially at the modern stage of the development, when the „quality" becomes more important. Use of information technology reduces the number of errors, provides safe work, the better results, additional benefits for clients, working on changes in direction, etc. In connection with this every bank seeks to promote and use modern, reliable, efficient, affordable prices, etc. – in a word, the qualitative information technology.

Key words: Strategic priorities; Strategic decisions; Strategic trends; Electronic business; Risk management; Financial sustainability.

საავტორო უფლებათა მართვის ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

მედეა შენგელია
ეკონომიკის დოქტორი

ნათია შენგელია
ემდ, სტუ ას. პროფესორი, ოქსფორდის
უნივერსიტეტის ბიზნესის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

რეზიუმე

უნდა ითქვას, რომ საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი დაცვის მექანიზმებიდან, სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში მოქმედია მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალებები. სისხლის და ადმინისტრაციულ სამართლებრივი დაცვის მექანიზმები კი უმოქმედოა. აღნიშნული ხელს უწყობს საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტების ზრდას და დიდ ზიანს აყენებს როგორც ავტორებს, ისე მთლიანად სახელმწიფოს.

საკვანძო სიტყვები: ზიანის ანაზღაურება, ნაწარმოების უკანონო რეპროდუცირება, კონტრაფაქციული ასლების არამართლზომიერი შეძენა, იმპორტი, შენახვა, გაყიდვა.

ძირითადი ტექსტი

საავტორო უფლებების მართვის ეკონომიკური შედეგები დაკავშირებულია ბიზნესის განვითარებასთან. საავტორო უფლებების ეფექტური მართვით მიიღწევა მეტი შემოსავლი ავტორისთვის, სამუშაო ადგილი საზოგადოების წევრებისათვის და სახელმწიფო გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა საავტორო უფლების მართვაში ერთ-ერთი კომპონენტი საავტორო უფლებების სამართლებრივი ასპექტები იყოს მოწესრიგებული და არსებობდეს მათი სათანადო აღსრულების ქმედითი საშუალებები. საქართველოს კანონმდებლობით, საავტორო უფლებების დარღვევა იწვევს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ ასრულებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, ითვლება საავტორო უფლებების დამრღვევად. თავის მხრივ, საავტორო უფლების დარღვევად კი ითვლება ნაწარმოების ნებისმიერი უკანონო გამოყენება (1. მუხ. 58).

საავტორო უფლებების მფლობელებს უფლება აქვთ დამრღვევისგან მოითხოვონ: ა)უფლების აღიარება; Bბ)უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს; გ)ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით; დ)ზიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო მათი უფლებების დარღვევის შედეგად; ე)ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სასამართლო. ამასთან, კომპენსაცია არ უნდა იყოს დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგ ოდენობაზე ნაკლები; ვ)ავტორების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომების მიღება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით (1, მუხ. 59).

აღსანიშნავია ისიც, რომ კანონის თანახმად, უფლების მფლობელის სურვილზეა დამოკიდებული, ზემოთჩამოთვლილი შესაძლებლობებიდან, საავტორო უფლების დაცვის რომელ მექანიზმს მიმართავს. ამასთან, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას დარღვევის არსი, უფლების მფლობელისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე ის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო უფლების მფლობელს, ნაწარმოების გამოყენების შედეგად.(1) საავტორო უფლების მფლობელის მოთხოვნას საავტორო უფლების დამრღვევის მიმართ ნაწარმოების უნებართვო გამოყენების აკრძალვასთან ერთად, როგორც წესი, წარმოადგენს გადასახდელი საავტორო ჰონორარის კომპენსაციის დაკისრება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, შემოსავლის მიღების მიზნით ნაწარმოების უკანონო რეპროდუცირება, მისი კონტრაფაქციული ასლების არამართლზომიერი შეძენა, იმპორტი, შენახვა, გაყიდვა, გაქირავება ან სხვა დარღვევა იწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან სამი ათას ლარამდე კონტრაფაქციული ასლების, აგრეთვე იმ მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით, რომლებიც გამოიყენება მათი რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლისთვის (2, მუხ. 157 სეკუნდა). იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში კი იწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე.(2)

ნაწარმოების ასლებზე მითითებული კანონით გათვალისწინებული „უფლების მართვის ინფორმაციის“ უკანონო შეცვლა, განადგურება ან გაყალბება, რასაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი, იწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე ნაწარმოების ასლების, აგრეთვე სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით. ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან

ერთი წლის განმავლობაში იწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე (2, 157 სეკუნდა).

ნაწარმოების ასლებზე უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის (აღნიშვნის) უკანონო შეცვლა ან განადგურება იწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ლარამდე ნაწარმოების ასლებისა და აგრეთვე სამართალდარღვევის ჩადენისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით. იგივე ქმედება კი ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში იწვევს დაჯარიმებას ათასიდან ხუთი ათას ლარამდე (2, მუხ.157 მესამე).

ზემოთდასახელებულ შემთხვევებში, კანონის თანახმად ჩამორთმეული კონტრაფაქციული ასლები, მათი რეპროდუცირების ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლისათვის საჭირო მასალები, მოწყობილობები და ტექნიკური საშუალებები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადაეცემა საავტორო უფლების მფლობელს მისივე მოთხოვნის საფუძველზე.(2) აქვე მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ რას მოიაზრებს საავტორო კანონმდებლობა კონტრაფაქციულ ასლებად. კანონის თანახმად, ნაწარმოების ასლები, რომელთა დამზადება, გავრცელება, გაქირავება ან სხვაგვარი გამოყენება იწვევს საავტორო უფლების დარღვევას, ითვლება კონტრაფაქციულ ასლებად. კონტრაფაქციულად ითვლება ასევე იმ ნაწარმოების ასლები, რომლებიც დაცულია საქართველოში კანონის შესაბამისად და რომლებიც უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე იმპორტირებულია საქართველოში იმ სახელმწიფოდან, სადაც ისინი არასდროს ყოფილა დაცული ან სადაც მათი დაცვა შეწყვეტილია. (1, მუხ. 60)

საავტორო უფლების ხელყოფა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. აღნიშნული ბუნებრივიცაა, რადგან საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების ხელყოფისას, დანაშაულის ჩამდენი პირისათვის ხელყოფის ძირითად

მიზანს ქონებრივი გამორჩენის მიღება წარმოადგენს.

საავტორო უფლების ობიექტზე ავტორობის მითვისება ან თანაავტორობაზე იძულება, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე. აღნიშნული ქმედება ჩადენილი არაერთგზის კი ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. საავტორო კანონის დარღვევით ნაწარმოების ასლების უნებართვო შეძენა, იმპორტი, შენახვა, გაყიდვა, გაქირავება, გადაცემა ან/და საავტორო უფლების მფლობელის უფლების სხვა ხელყოფა ჩადენილი დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით ისჯება ჯარიმით ან თავსუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე. ხოლო ხსენებული ქმედება ჩადენილი განსაკუთრებული დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით ან წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. (3, მუხ. 189)

კანონის თანახმად, აღნიშნული ქმედება დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით ჩადენილად ითვლება თუ ნაწარმოების უფლების კანონიერი გამოყენების შემთხვევაში საავტორო უფლების მფლობელის მიერ მისაღები შემოსავალი აღემატება ხუთი ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით – თუ ხსენებული ღირებულება ან შემოსავალი აღემატება ათი ათას ლარს. ხსენებული ქმედებისათვის კი იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.(3) საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთხმად აღიარებენ, რომ საქართველოს საავტორო კანონმდებლობა უმეტესად შეესაბამება საერთაშორისო, ევროპულ სტანდარტებსა და თანამედროვე მიდგომებს. თუმცა, მთავარ გამოწვევად რჩება საკანონმდებლო აქტების აღსრულების პრობლემა. მათი თქმით, ძირითადი პრობლემაა სათანადო აღსრულების მექანიზმების ნაკლებობა.(4) რაც შეეხება საავტორო უფლებების ეფექტური მართვის ეკონომიკურ მნიშვნელობას, იგი უცხოეთის ქვეყნების მაგალითზე შეიძლება განვიხილოთ, როგორც საავტორო

უფლებების წარმატებული რეალიზაცია საბაზრო პირობებში.

საავტორო ქონებრივი უფლებები მსოფლიოში იმართება კოლექტიური მართვის ორგანიზაციების მიერ, რომლებიც გასცემენ ნებართვას ნაწარმოების გამოყენებაზე და აგროვებენ საავტორო ჰონორარს.

CISAC-ის მონაცემებით, რომელშიც გაწევრიანებულია საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტურ საფუძველზე მმართველი 230 ორგანიზაცია მსოფლიოს 120 ქვეყნიდან, 2013 წლისათვის შეგროვებული საავტორო ჰონორარის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 7.8 ბილიონი ევრო.[1] შეგროვებული საავტორო ჰონორარი არის საავტორო უფლებით დაცული თითქმის ყველა ობიექტების გამოყენებიდან, კრძოდ: მუსიკა, აუდიოვიზუალური ნაწარმოები, დრამატული ნაწარმოები, ლიტერატურული და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები. საერთო შეგროვებიდან მუსიკალურ ნაწარმოებების გამოყენებიდან შეგროვებულია 87%. აღნიშნული კი ნიშნავს, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში საავტორო უფლებით დაცულ ობიექტებს შორის მუსიკალური ნაწარმოებები ყველაზე მოთხოვნადი ობიექტებია. საინტერესოდ მიგვაჩნია საავტორო უფლებების კოლექტიურად მართვის კუთხით მსოფილო პრაქტიკის გაანალიზება. საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებებზე, გარდა მუსიკალური ნაწარმოებისა, საქართველოში არ არსებობს კოლექტიური მართვის ორგანიზაცია.

მსოფლიოს 120 ქვეყნიდან 2013 წელს შეგროვებული საავტორო ჰონორარის წილობრივი მონაწილეობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

ევროპის ქვეყნები	60.6%
კანადა – აშშ	16.3%
აზია	15.8%
ლათინ. ამერიკა, კარიბის კუნძულები	6.6%
აფრიკა	0.7%

1 CISAC Global collection Report 2015

საავტორო უფლებით დაცული ობიექტების მიხედვით საავტორო ჰონორარის შეგროვება 2013 წელს:

მუსიკალური ნაწარმოები	87.2%
აუდივიზუალური ნაწარმოები	6.1%
ლიტერატურული ნაწარმოები	2.6%
დრამატული ნაწარმოები	2.4%
სახვითი ხელოვნების ნაწარმოები	1.5%
სხვა ნაწარმოებები	0.1%

საავტორო უფლებით დაცულ ობიექტებზე უფლებების მართვის მიხედვით მსოფილოს კოლექტიური მართვის ორგანიზაციების სტატისტიკა:

რეგიონები	მართვადი საავტორო ქონებრივი უფლებები		
	საჯარო შესრულება	რეპროდუცირება	სხვა უფლებები
ევროპის ქვეყნები	75.9%	17.9%	6.3%
კანადა – აშშ	94%	5.3%	0.4%
აზია	59.8%	37.3%	2.9%
ლათინო ამერიკა	94.4%	3.5%	0.1%
აფრიკა	72%	20.6%	7.0%

საავტორო ქონებრივი უფლების (როგორიცაა ნაწარმოების საჯარო შესრულების უფლება), გამომყენებელი სუბიექტები არიან: ტელევიზია, რადიო, ფონოგრამის მწარმოებელი ინდუსტრია, საკაბელო და სატელიტური ოპერატორები, ცოცხალი მუსიკალური წარმოდგენები, ინტერნეტ ოპერატორები, ვიდეო და სხვა ტიპის კინოთეატრები. ამ მოთამაშეს შორის 36. 6 % უჭირავს მაუწყებლობას (ტელევიზია, რადიო), 17.0 % – ფონოგრამის მწარმოებელ ინდუსტრიას და 10.5 % – ინტერნეტს. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მუსიკალური ჩანაწერების ინდუსტრია მსოფლიოში არის მუსიკალური ნაწარმოების ავტორების (კომპოზიტორების) შემოსავლის მუდმივი წყარო და ელექტრონული მუსიკალური ბაზრის განვითარების მათავარი გასაღები. მუსიკალური ჩანაწერების ელქტრონულმა (ციფრულმა) გაყიდვებმა გადაჭარბეს მათ ფიზკურ გაყიდვებს. 2013 წელს IFPI – საერთაშორისო ფონოგრამის მწარმეოებელი ინდუსტრიის გამოქვეყნებული მონაცემებით მუსიკალური ნაწარმოებების ჩანაწერების ციფრული ფორმით გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავლებმა 70 % გადააჭარბა ფიზიკური ასლების გაყიდვებით მიღებულ შემოსავალს.

მუსიკალური ნაწარმოებების ინტერნეტ „სტრიმი“ –ნახვები მსოფილოში იზრდება, დღესდღეობით მუსიკალური ნაწარმოების მომხმარებლები სპოტიფაიზე – „Spotify“ და სხვადსახვა წამყვან ინტერნეტ გვერდებზე 60 მილიონ ადამიანს აჭარბებს. შესაბამისად, ინტერნეტ გაყიდვების, როგორც ბიზნეს მოდელის, განვითარება ხელსაყრელია როგორც ავტორისთვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. რაც შეეხება ცოცხალ მუსიკალურ ინდუსტრიას, მთელ მსოფლიოში იგი განაგრძობს განვითარებას. უცხოურ ქვეყნებში ასეთი ღონისძიებების მოწყობის ინფრასტრუქტურა არის ახლად მოწყობილი, სადაც მაქსიმალურად ხდება თითქმის ყველა მომსახურების მობილიზება: ბილეთების დაჯავშნა, მანქანის პარკინგი, მერჩენდაიზინგი, კვება და აშ. ცოცხალი მუსიკის შესრულებისას შემსრულებელები ერთჯერადად იღებენ შემოსავალს, ხოლო ავტორების შემოსავლები მსოფლიო პრაქტიკის გათავალისწი-

ნებით გამოითვლება ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავლიდან პროცენტის სახით.

ლიტერატურა:

1. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, 1999 წლის 22 ივნისი, 2112 – IIს საქართველოს პარლამენტი.

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984 წლის 15 დეკემბერი, # 161, საქართველოს პარლამენტი

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისი, # 2287რს.

4. ინტერვიუ CISAC-ის ევროპულ საკითხთა დირექტორ – მიტკო ჩატალბაშევთან, ჟურნალი „Copyright: # 2, 2012 წ.

REFERENCES:

1. The Law of Georgia on Copyright and Neighboring Rights „, 22 June 1999, 2112 – II Parliament of Georgia.

2. Code of Administrative Offenses of Georgia, 15 December 1984, # 161, Parliament of Georgia.

3. Criminal Code of Georgia, 22 July 1999, # 2287 RS.

4. Interview with CISAC's European Issues Director – Mitco Chalalbaşev, Journal „Copyright: # 2, 2012y.

THE ECONOMIC AND LEGAL ASPECTS OF COPYRIGHT MANAGEMENT

Revaz Shengelia,
PhD in Economics, Professor of GTU
Zhuzhuna Tsiklauri,
PhD in Economics, Professor of GTU
Natia Shengelia
PhD, Professor of GTU, Graduate from
The Oxford University, Business Faculty;
Medea shengelia, PhD

RESUME

The economic consequences of copyright management are related to the business development. The effective management of copyright can provide more revenue for the author, jobs for society members, and state taxes for the state budget. In order to achieve this goal, one of the components of copyright management such as the legal aspects should be regulated and there should also exist the effective means of their proper execution.

Key words: Damage Recovery, illegal reproduction of the work, illegal purchase, import, storage and sale of counterfeit copies.

მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური აღორძინების სტრატეგია რაჭის მაგალითზე

არჩილ გოგრიჭიანი
სტუ დოქტორანტი

შესავალი

დღეისთვის თანამედროვე რეგიონული პოლიტიკისათვის საზოგადოდ დამახასიათებელია საერთო ეროვნული განვითარების პროგრამებში მთის რეგიონების პრობლემატიკის გამოყოფა.

მთიანეთის პრობლემატიკა ყოველთვის იყო სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთ-ერთი სფერო. ეს პირველ რიგში იმითაა განპირობებული, რომ მთიანი რეგიონები ყველგან განეკუთვნება ეკონომიკურად დეპრესიულ ზონებს, სადაც განსაკუთრებით იჩენს თავს სოციალური ეროზია. ამ პრობლემების გააზრებისა და მოვლის ამოცანამ ფართემასშტაბიანი ხასიათი მიიღო თანამედროვე მსოფლიოში.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით მთიანი რეგიონების პრობლემატიკის დაძლევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საქართველოს ყველა მაღალმთიანი რეგიონი საჭიროებს რადიკალურ ნაბიჯებს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკის დასაძლევად, ამიტომ ყველა რეგიონის მიმართ ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. რაჭა ერთ-ერთი ყველაზე დაბერებული და სოციალურ ეკონომიკურად სიდუხჭირეში მყოფი რეგიონია, ამავდროულად ბუნებრივი რესურსების რეალიზების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე საქართველოში. რაჭის პრობლემატიკისა და პოტენციალის გაანალიზების შედეგად ჩამოყალიბებული სტრატეგიის განხორციელებით შესაძლებელია მნიშვნელოვა-

ნი გაუმჯობესების მიღწევა სოციალურ-ეკონომიკური თუ დემოგრაფიული კუთხით.

საკვანძო სიტყვები: რაჭის რეგიონი, მაღალმთიანი რეგიონი, დღგ-ს გადასახადი, სპეციალური პირობები.

ძირითადი ტექსტი

რაჭაში ზღვის დონიდან 2000 მ-მდე ნოტიო ჰავაა. აქ ზამთარი არის ცივი და გრძელი, ხოლო ზაფხული ხანმოკლე და თბილი, ზოგჯერ ცხელი. სიმაღლის მატებასთან ერთად ჰავა გარდამავალია ნოტიო სუბტროპიკულიდან ზომიერისაკენ. ჰაერის აბსოლიტური მინიმუმი დაფიქსირებულია (-270C) ხოლო მაქსიმუმი- (+360C). ნალექებიც შესაბამისად 1000-1500მმ-დან სიმაღლის მატებასთან ერთად 1600-1800 მმ-ს აღწევს. 2000მ-ს ზემოთ ნამდვილ ზაფხულს მოკლებული ნოტიო ჰავაა. ამჟამად, რაჭა მოიცავს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მხარის ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას. რაჭა-ეჩხუმისა და ქვემოსვანეთის რეგიონში აღმასრულებელ ხელისუფლებას განახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული.

მოსახლეობის რიცხოვნობის კლება და დაბერება რაჭის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა, რომელიც უარყოფითად აისახება რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. ამ პროცესის შეჩერება და პრობლემის აღმოფხვრა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ქმედითი ზომების მიღების გარეშე, მხარის დეპრესიულ რეგიონად ჩამოყალიბების პროცესი შეუქცევად სახეს მიიღებს.

• მიუხედავად ზემოთ ხსენებული პრობლემებისა (მოსახლეობის დეპოპულაცია, რთული ბუნებრივი პირობები, ეკონომიკის დაბალი მაჩვენებელი), ჩვენ ქართველები ოპტიმისტებად ვრჩებით და მომავალს მუდამ ენთუზიაზმით ვეგებებით. საქართველოს ამ ლამაზ კუთხეს გააჩნია მაღალი პოტენციალი, რათა იგი ამ პრობლემებიდან ამოვიდეს და ქვეყნის ერთ-ერთ წარმატებულ რეგიონად ჩამოყალიბდეს.

• რეგიონი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. რაჭის

ორივე მუნიციპალიტეტში მოიპოვება ქვიშა-ხრეში, გვხვდება კირქვა, ქვანახშირი, თაბაშირი და ბარიტი.

• რეგიონი მდიდარია ბუნებრივი წყაროებით: კურორტ უწერაში 28 სახის მინერალური წყალია, რომელიც მდიდარია კალიუმით, რკინით, ბორით და იოდით. შოვში 16 სახის მინერალური წყაროა, ისინი ქიმიური შემადგენლობის პირველი ტიპისაა, შეიცავს კალციუმს, რკინას, მაგნიუმს, ქლორს.

• რაჭა მდიდარია ტყის რესურსებით, რომელსაც მაღალი თვითაღდგენის უნარი გააჩნია. გლობალური დათბობის პირობებში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს და მაღალმთიან ტყეების მიმართ რეკრეაციული თვალსაზრისით მკვეთრად იზრდება მოთხოვნები მსოფლიო მასშტაბით, რაც მხარისათვის მეტად პერსპექტიულია.

• რეგიონი მდიდარია კულტურულ მემკვიდრეობათა ძეგლებით. ოთხივე მუნიციპალიტეტში 150-ზე მეტი ასეთი ძეგლია, რომელთა შორის აღსანიშნავია: კვახშიეთი (ანტიკური ხანა), სს.), მრავალძალი (XIIს), ნიკორწმინდა (1014წ), ბარაკონი და სხვა.

• საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით რაჭაში 2003-2012 წლებში ყველაზე ნაკლები ინფრასტრუქტურული პროექტი იქნა განხორციელებული. რაჭაში ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემთხვევაში ზემოთხსენებული ბუნებრივი სიმდიდრეები (კურორტები, ტყე, კულტურული ძეგლები) მიიზიდავს უამრავ უცხოელ ტურისტს, რაც გარანტია იმისა, რომ ეს მხარე გამოცოცხლდეს, მოსახლეობა დასაქმდეს და დეპოპულაციის პროცესი შეიცვალოს მოსახლეობის მომრავლებით.

• რეგიონში ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემთხვევაში ზემოთხსენებული ბუნებრივი სიმდიდრეები (კურორტები, ტყე, კულტურული ძეგლები) მიიზიდავს უამრავ უცხოელ ტურისტს, რაც გარანტია იმისა რომ ეს მხარე გამოცოცხლდეს, მოსახლეობა დასაქმდეს და დეპოპულაციის პროცესი შეიცვალოს მოსახლეობის მომრავლებით.

• რაჭაში მემცენარეობის პროდუქტიულობა ძალზე დაბალია, რასაც განაპირობებს თანამედროვე ტექნოლოგიებზე

დაბალი ინფორმირებულობა, ფინანსების არასათანადო ხელმისაწვდომობა, სავარგულების დეგრადაცია და ამორტიზება, მიმღები და გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე.

• რაჭას გააჩნია განვითარების პერსპექტივები სოფლის მეურნეობის თვალსაზრისითაც, რომელიც ეკონომიკის წამყვანი დარგია. აქ შემდეგი დარგებია განვითარებული: მევენახეობა, მემარცვლეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა.

• ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოყვანილი ყურძნიდან დამზადებული ღვინოები კარგადაა ცნობილი ქართველი და უცხოელი მომხმარებლისთვის. ხვანჭკარა - სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს მდინარე რიონის მარჯვენა მხარეს ამბროლაური-ქუთაისის საავტომობილო გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: დიდი ჩორჯო, მეორე ტოლა, პატარა ჩორჯო, პირველი ტოლა). ზღვის დონიდან 560 მეტრი, ამბროლაურიდან 14 კილომეტრი. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 667 ადამიანი. „ხვანჭკარა“ უმაღლესი ხარისხის წითელი, ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოა. იგი ალექსანდრეულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძნისაგან მზადდება. ღვინო „ხვანჭკარა“ ლალისფერი შეფერილობით ხასიათდება, მისი – ჰარმონიული, ხავერდოვანი, დახვეწილი, სასიამოვნო სიტკბოთი, ხილის ტონებითა და ჯიშური არომატით . პირველად მსგავსი ღვინო მე-19 –ე საუკუნეში თავადმა ყიფიანებმა აწარმოეს და „ყიფიანების ღვინის“ სახელით ქუთაისის ბაზარზე იყიდებოდა, რომლის ეტიკეტებიც შემორჩენილია. შემონახულია ასევე მედალი, რომელიც „ყიფიანების ღვინომ“ ბელგიაში მიიღო. როდესაც ცუდი ამინდები უწევდა, ყიფიანები კრეფდნენ ყურძენს, დაკრეფილ ყურძენს აშრობდნენ, რომ შემჭკნარიყო და ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინო დამდგარიყო. ღვინო ტრადიციული ტექნოლოგიით მზადდება – ჭაჭაზე დადუღებითა და ალკოჰოლური დუღილის შეჩერებით, სადაც შაქარი შეადგენს 3-5გ/ლ-სა და ალკოჰოლის მოცულობითი პროცენტი – 11-13%-ს. ღვინო რჩება ბუნებრივად ნახევრად ტკბილი. მევენახეობის განვითარების კუთხით აუცილებელია რეგიონის ხელისუფლების მობილიზება, რათა

რაჭა ჩართული იქნას ღვინის ტურიზმის მარშრუტებში.

• რაჭა გამოირჩევა მეხილეობით. იგი ცნობილია ეკოლოგიურად სუფთა ვაშლით. ბევრია კაკალი, რომელზეც დიდია მოთხოვნილება ქვეყნის მასშტაბით. ასევე მოჰყავთ კარტოფილი და პარკოსნები.

• რაჭას აქვს მაღალი პოტენციალი მეფუტკრეობის განვითარების კუთხით, რომელზეც დიდია მოთხოვნილება, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს გასაღების ბაზარი, რომელსაც სჭირდება ხელისუფლებისაგან დახმარება, რათა ქართული თაფლი აღმოჩნდეს უცხოეთის ბაზარზე.

• მეცხოველეობა რაჭის მეურნეობის ტრადიციული დარგია. საბალოხებისა და სათიბების ოდენობით ყველაზე მდიდარია ონის მუნიციპალიტეტი.

• რაჭის ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდშია შექმნილი. რეგიონი კარგადაა დაფარული საჯარო სკოლების ქსელით. ბევრი შენობა-ნაგებობა განახლებას საჭიროებს. რეგიონს ასევე აქვს მაღალი პოტენციალი, რათა აშენდეს მინი საკონსერვო ქარხნები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება.

პრობლემატიკის დასაძლევად ძალზედ მნიშვნელოვანია საგადასახადო კუთხით უფრო ეფექტური ნაბიჯების გადადგმა მაღალმთიანი რეგიონებისათვის, კერძოდ, დღგ-ს გადასახადისაგან განთავისუფლება სპეციალური პირობებით, რეფორმის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი მიზანია ინვესტიციების სტიმულირება, რაც შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესისათვის დაბლობთან შედარებით უპირატესი საგადასახადო კოდექსი შემუშავდება. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში დღგ-ს გადასახადის რეფორმა განსაკუთრებით აქტუალურია ბიზნეს სექტორისათვის, რადგან ბიზნეს სექტორს ეძლევა მნიშვნელოვანი სტიმული დაფუძნდეს მაღალმთიან რეგიონებში, რაც შესაბამისად გამოიწვევს მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ძვრებს .მაღალმთიან რეგიონებში საწარმოების დღგს-ს გადასახადისაგან სპეციალური პირობებით განთავისუფლების მიზანია ბიზნესისათვის

ისე მოხდეს საკანონმდებლო შეღავათების შემუშავება, რომ მთლიანი ქვეყნის ეკონომიკის დესტაბილიზაცია არ გამოიწვიოს. კერძოდ, თითოეულ მაღალმთიან რეგიონში, ამ შემთხვევაში რაჭაში, ერთი, ახალი კონკრეტული სახელწოდება უნდა გამოიყოს, რომელი სახელწოდების ხაზითაც ნაწარმოები პროდუქცია განთავისუფლდება 10 წლით დღგს გადასახადისაგან. ეს სახელწოდება აუქციონის წესით გაიყიდება და დაინტერესებული დარგში მოღვაწე პოტენციური ინვესტორი სამართლიან კონკურეტულ პირობებში მოპოვებულ სახელწოდებას (საწარმოო ხაზს) 10 წლის განმავლობაში ყოველგვარი დაბეგვრის გარეშე გამოიყენებს.

ამავდროულად თავიდანვე ცნობილი იქნება თუ რა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება შეეძლება კონკრეტული სახელწოდების ფარგლებში, რადგან ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ამხელა საგადასახადო ტვირთის მოხსნა მოხდეს არა ყველა პროდუქციაზე, არამედ მხოლოდ რაჭის რეგიონისათვის დამახასიათებელ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, რადგან რაჭის პოტენციალი მთლიანად რეალიზდეს და ამავდროულად დღგს გადასახადისგან განთავისუფლებული პროდუქციის ვიწრო სპექტრი მთლიან ქართულ ეკონომიკაში ვერ გამოიწვევს დისბალანსს.

ერთი მძლავრი ქარხანა შექმნის მინიმუმ ხუთას სამუშაო ადგილს და ამის გარდა, რეგიონის მოსახლეობას გაუჩნდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების რეალური ბაზარი, რეგიონი მოძლიერდება ეკონომიკურად, გაუმჯობესდება სოციალური და დემოგრაფიული ფონი, რაც გაზრდის მთლიანობაში ქართულ ეკონომიკას.

ლიტერატურა:

1. მეტრეველი როინი. რაჭა შტრიხები წარსულიდან; გამომცემლობა „არტანუჯი“, 2013.

2. ციმინტია კახაბერ. ეკონომიკური ზრდის რესურსები და ფაქტორები საქართველოს რეგიონების აგრარულ სექტორში [მეცნ.-რედ.: ევგენი ბარათაშვილი, დემნა კვარაცხელია]. - თბ., 2005.

3. ჭითანავა, ნოდარ. საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები / ნოდარ ჭითანავა ; [რედ. ზაურ ნაჭყებია]. - თბ. : [ივერონი], 2012.

4. ჯიბუტი, ამირან, საქართველოს აგრარული პოლიტიკის საფუძვლები / ამირან ჯიბუტი; მეცნ.-რედ. ნოდარ ჭითანავა. - თბ., 2014.

REFERENCES:

1. Metreveli Roin. Racha shots from the past; Publishing House „Artanuji”, 2013.

2. Tsimintia Kakhaber. Resources and Factors for Economic Growth in the Agrarian Sector of the Regions of Georgia [Mets.-Ed: Evgeni Baratashvili, Demna Kvaratskhelia]. - Tb., 2005.

3. Chitanava, Nodar. Metamorphosis and Prospects of Georgian Economy / Nodar Chitanava; [Ed. Zaur Nachkebia]. - Tb. : [Iveroni], 2012.

4. Jibuti, Amiran, Basis of Agrarian Policy of Georgia / Amiran Jibuti; Mets.-Ed. Nodar Chitanava. - Tb., 2014.

ECONOMIC RESURGENCE STRATEGY OF HIGH MOUNTAIN REGIONS ON RACHA'S EXAMPLE

Archil Gogrichiani
PhD Student, GTU

RESUME

Today, modern regional policies are generally characterized by the problem of mountain regions in common national development programs.

The problem of mountains was always one of the main interests of the state. This is primarily due to the fact that mountainous regions are everywhere economically depressive zones, where social erosion is particularly evident. The task of understanding and care of these problems has become a large scale in the modern world.

Overcoming the problems of mountainous regions in Georgia's socio-economic development is of vital importance. All high mountainous regions of Georgia require the radical steps to overcome the socio-economic problems, so the individual approach to every region is needed. Racha region is one of the most aggressive and socially economically hazardous regions in the country, and it is one of the largest potential areas in Georgia in terms of realizing natural resources. By implementing the strategy of analyzing Racha's problems and potential, it is possible to achieve the significant improvements in socio-economic or demographic terms.

Key words: Racha region, mountainous region, VAT taxes, special conditions.

რეგიონის აგრარული სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირების საკითხები

ლელა ჯახაია
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განიხილება წარმოების ეფექტიანობის სახეობები აგრარულ სექტორში, სხვადასხვა ფაქტორების როლი, ეფექტიანობის კრიტერიუმები და მათი როლი ამ სექტორის თავისებურებების გათვალისწინებით საბაზრო ეკონომიკის პირობებში. შემოთავაზებულია მეთოდოლოგიური მიდგომა, რომლის გამოყენებაც დაგვეხმარება წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ეფექტიანობა, მოგება, შეფასება და ეფექტიანობის კრიტერიუმები, ხარჯები.

ძირითადი ტექსტი

სამეცნიერო კვლევის მიმართულება დაკავშირებულია ეფექტიანობის ანალიზის მეთოდოლოგიის დამუშავებასთან და კერძოდ, აგრარულ სფეროსთან, რომელსაც კორექტირება სჭირდება. წარმოების ეფექტიანობა ნიშნავს წარმოების პროცესის შედეგიანობას. ურთიერთობა მიღწეულ შედეგსა და ცოცხალ და შესრულებულ სამუშაოს დანახარჯებს შორის ასახავს თავის მხრივ წარმოების რესურსების და მათი ეფექტური გამოყენების სრულყოფილების ხარისხს. პრობლემის წარმატებით გადაჭრა, რომელიც ყოველი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს (კომპანიის) წინაშე დგას, შესაძლებელია წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის გადასვლა საბაზარო ეკონომიკაზე ბევრად ცვლის ტრადიციულ მიდგომას ცალკეული სფეროს წარმოების ეფექტიანი საქმიანობის შეფასებისადმი. საწარმოო პოტენციალის კაპიტალის ზრდა არ არის საკმარისი წარმოე-

ბის ეფექტიანობის ამაღლებისათვის იმ შემთხვევაში, თუ არ არის სრულყოფილად შემუშავებული ეკონომიკური მექანიზმი და უარყოფილია ეკონომიკური კანონები. სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება ნაკარნახევია, როგორც მუდმივად მზარდი საბაზრო მოთხოვნა სურსათზე და ნედლეულზე. გაძლიერებული მოთხოვნაა პროდუქციის ხარისხზე რესურსების შეზღუდვის საშუალებით, წარმოების ფაქტორების ღირებულების შეცვლით და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შეფასებისას უნდა გამოვიდეთ ეფექტიანობის კრიტერიუმებიდან. სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის კვლევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ ის წარმოადგენს რთულ, მრავალმხრივ ღია სისტემას, სადაც არის ფუნქციონალური და ორგანიზაციული ქვესისტემები, რომელსაც ეფექტიანობის სხვადასხვა სახეობები შეესაბამება, როგორიცაა: ტექნოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური. ტექნოლოგიური ეფექტიანობის დონე ასახავს ასიმილაციის ხარისხს სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობაში. ის განისაზღვრება ფაქტიური მონაცემების მაჩვენებლების შედარებით. რისთვისაც გამოიყენება პროდუქციის წარმოების დონე. აგრარული ეკონომიკის ტექნოლოგიური ეფექტიანობის კრიტერიუმებში ადგილი აქვს აგრო-ინდუსტრიული ეკონომიკის განვითარების ხარისხს.

ეკონომიკური ეფექტიანობა იზომება აბსოლუტური და მონათესავე მაჩვენებლების სისტემებით, რომლებსაც წარმოების ეფექტიანობა და რეალიზაციის უნარი ახასიათებთ. ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმებია თვითდაფინანსების შესაძლებლობა გაფართოებული წარმოების უზრუნველყოფისათვის.

ეკოლოგიური ეფექტიანობა ხასიათდება ბუნებრივი და მატერიალური რესურსების გამოყენების დონით, ეკოლოგიურობით, წარმოებული პროდუქციის ბუნებრიობით და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებით. ეკოლოგიური ეფექტიანობის კრიტერიუმებს წარმოადგენს გარემოს გაუარესების თავიდან აცილება, წარმოების ეკოლოგიურობის ამაღლება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობს მომხმარებლის პრიორიტეტი მწარმოებლის მიმართ, წარმოების სტრუქტურის გამოყენება მომხმარებლის სტრუქტურასთან ერთად ხდება ურთიერთ მოთხოვნის და შეთავაზების გზით. ის შესრულებადია იმ შემთხვევაში, თუ შექმნილია ოპტიმალური ეკონომიკური პირობები, სადაც ეკონომიკური კანონები ვლინდება ბუნებრივ ფორმაში, ანუ ისეთ ფორმები, როცა საქმე ეხება ეკონომიკურ პარტნიორებს, აგრეთვე წარმოების სტრუქტურას და მოთხოვნა განისაზღვრება მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობით და ეკონომიკური სუბიექტების შემოსავლებით(მოგებით).

ეკონომიკური ურთიერთობის ცვლილებები და წარმოების პირობები ბაზარზე გადასვლასთან დაკავშირებით ითხოვს აგროწარმოების, ეფექტიანობის განსაზღვრების მეთოდიკის დაზუსტებას და მისი მდგომარეობის შეფასებას კონკრეტულ რეგიონში და საწარმოში. ეფექტიანობის მაჩვენებლებმა უნდა ასახოს რეპროდუქცია, ამასთანავე კაპიტალბრუნვა და ჯგუფების შედგენა, რომლებიც ხასიათდება რესურსების ხელმისაწვდომობით და მათი გამოყენებით წარმოების პროცესში მიღებული პროდუქციით, მისი გადაცვლით და მოხმარებით. ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლად წარმოდგენილია მოგების ნორმა, რომელიც ხასიათდება მიღებული ეფექტის სიდიდთ, რომლის მონათესავე მაჩვენებელს რენტაბელობის დონე წარმოადგენს. ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მოსავლიანობა, ფასი, მოგების მოცულობა, ბიოენერგიული შეფასება და სხვა აუცილებელია იმისათვის, რომ გაკეთდეს ეფექტიანობის დონის ანალიზი.

ინფლაციის პირობებში, ფასების სხვაობა და გადასახადების გადაუხდელობის სისტემატური მაჩვენებლები ამახინჯებენ სოფლის მეურნეობის ფაქტიურ ეფექტიანობას. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ეფექტიანობის დონეზე დიდ გავლენას ახდენს ფასების სისტემა. შედარებითი ეკონომიკური შეფასება იმ ვარიანტებისა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანებისას წარმოადგენს ერთ-ერთ სამეცნიერო ხერხს ეფექტიანი ტექნოლოგიის გამოსავლენად. ეს

უზრუნველყოფს შრომის პროდუქტიულობას. ეკონომიკური შეფასების მეთოდიკის თანახმად, ინტენსიური ტექნოლოგიით სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობა, მიწის გამოყენების დონის შრომისა და მატერიალური საშუალებების ძირითად მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. ასევე ძირითადი მაჩვენებლებია მოსავლიანობა, შრომის პირდაპირი დანახარჯები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, დამატებითი ხარჯები და მათი შესყიდვები, სუფთა მოგება, წარმოების რენტაბელობა და წლიური ეკონომიკური ეფექტი.

ინტენსიური ტექნოლოგიების ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემაში სასოფლო- სამეურნეო კულტურების გაშენებისას აუცილებელია დამატებითი მაჩვენებლები, რომლებიც ხასიათდება ეკოლოგიური ბალანსირებით ინტენსიური ტექნოლოგიების და მათი გამოყენების პროცესში. ეს მაჩვენებლები შეიძლება გამოვიყენოთ ყოველმხრივი ანალიზისას, იმ მიზნით რომ გამოიძებნოს გზები ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ეფექტიანობის მოცულობა ეს არის:

1. მაქსიმალური ზრდა წარმოების მოთხოვნადი რესურსების გამოყენებისას. ასეთი მიდგომა თავდაპირველად იძლევა შესაძლებლობას რეალურად მიღწეული შედეგი შევადაროთ შესაძლო შედეგს, ამგვარად გავაკეთებთ საწარმოო ეკონომიკური საქმიანობის შეფასებას.

2. ის იძლევა საშუალებას გამოვავლინოთ დაშვებული შესაძლებლობების ზომები, ყოველმხრივ შევისწავლოთ ბოლო მიზეზები და ამ საფუძველზე დამუშავდეს მეთოდები წარმოების რესურსების უფრო სრულ გამოყენებაზე.

3. ასეთი მიდგომის რეალიზაცია შექმნის პირობებს წარმოების ზომების, სპეციალიზაციისა და ადგილმდებარეობის მიუხედავად ობიექტური, დამოუკიდებელი შედარებითი შეფასებისთვის. ობიექტური აუცილებლობა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის განპირობებულია, როგორც მუდმივად მოქმედი ფაქტორების კომპლექსით, ასევე საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ეტაპის რიგი თა-

ვისებურებებით. ეს ფაქტორები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და უზრუნველყოფს ეკონომიკურ შედეგებს კომპლექსური და ბალანსირებული მოქმედებით თითოეულ ეტაპზე გამორჩეული პრიორიტეტებით, საშუალებით. კრიზისულ სიტუაციაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენს რესურსების დამცავი ფაქტორის უფრო სრულყოფილი გამოყენება. მათი დაყოფა შეიძლება სამ ჯგუფად: 1. შეთავაზების ფაქტორი; 2. მიწოდებისა და გაცვლის ფაქტორი; 3. საწარმოს ეკონომიკური ურთიერთქმედების ფაქტორი სახელმწიფოსთან მიმართებაში.

პირველ ჯგუფში შედის მიწის, შრომის, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. ისინი განსაზღვრავენ სოფლის მეურნეობის ფიზიკურ მოცულობას და ტექნიკურ-ეკონომიკურ მოცულობას, საწარმოს ტექნოლოგიის ჩათვლით.

სოციალური ფაქტორები წარმოების შედეგებზე აქტიური ზეგავლენის უზარმაზარ შესაძლებლობებს ფლობს. ადამიანის ცხოვრების პირობების გარდაქმნა, მთლიანი სოციალური სფეროს განვითარება ქმნის მთლიან წარმატებულ ფსიქოლოგიურ სიტუაციას.

ფაქტორების მეორე ჯგუფი (მიწოდება და გაცვლა) განსაზღვრავს სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობებს და პირობებს. ამასთან აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ: ერთი მხრივ, სასოფლო-სამეურნეო საქონელ-მწარმოებლების მიერ პროდუქციის რეალიზაციაში გამოცდილი სირთულეები სათანადო სისტემის დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ, დაბალი შესასყიდი ფასები მზარდი იმპორტის გაფართოების ბაზარზე; მეორე მხრივ, ფასების დამანგრეველი ზეგავლენა.

ფაქტორების მესამე ჯგუფი ავლენს წარმოების ურთიერთქმედების პირობებს სახელმწიფოსთან მიმართებაში. საქმე ეხება სახელმწიფო პოლიტიკას, ფინანსურ, საგადასახადო და საკრედიტო პირობების გაუმჯობესებას, რომელიც მიმართულია აგრარული წარმოების და სოფლის სოციალური ბაზის

სტიმულირებისა და გაძლიერებისაკენ. აგრარული ეკონომიკის ეფექტიანობის მოცულობის ზრდა ითხოვს იმ ფაქტორების გამოყენებას, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქტიულ ძალებთან, ასევე ეკონომიკური ურთიერთობის გაუმჯობესებასთან.

მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება მასზე წარმოებული ნატურალური პროდუქციის მოცულობით ან ღირებულებით. ამასთან, მიწის, როგორც წარმოების განსაკუთრებული რესურსის თავისებურებების (მიწის შეზღუდულობა, დაქვეითებული ნაყოფიერების აღდგენის დიდი პერიოდი და ა. შ.) გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ბრუნვაში ჩადებული მიწის რეალური ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენისათვის. კერძოდ, თანამედროვე პირობებში აუცილებელია ფართობის ერთეულზე არა მარტო მეტი პროდუქციის მიღება, ხარისხის ამაღლება და დანახარჯების შემცირება, არამედ მიწის მდგრადი გამოყენება, რაც უპირველეს ყოვლისა, მიწის ნაყოფიერების შენარჩუნებაში უნდა გამოიხატოს.

სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩართული სავარგულის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა მრავალი ღირებულებითი და ნატურალური მაჩვენებლით განისაზღვრება. ამ უკანასკნელთაგან გამოსაყოფია სასოფლო-სამეურნეო სავარგულის გამოყენების ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა სახნავი მიწის ერთეულზე მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების გამოსავალი ნატურალურ ერთეულებში. იგივე შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ან მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ყოველ ჰექტარზე. ამასთან, რამდენადაც ნატურალური მაჩვენებლები არ ასახავს პროდუქციის წარმოების ეკონომიკურ მხარეს, მიწის სავარგულის გამოყენების დონის განსაზღვრისას უფრო ღირებულებით მაჩვენებლებს უნდა მივმართოთ.

ასეთ შემთხვევაში მიწათმოქმედების და მეცხოველეობის

ყველა დასახელების ნატურალური პროდუქცია საჭიროა გადავიყვანოთ ღირებულებით ფორმაში შესადარი- სი ფასის გამოყენებით. მიწის გამოყენების ეფექტიანობის გაანგარიშება კი უნდა მოხ-დეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ან მისი შემადგენელი ელემენტების (სახნავი, სათიბი და ა. შ.) ერთეულზე საერთო პროდუქციის, საერთო შემოსავლის და წმინდა შემოსავლის (მოგების) გამოსავლიანობის მიხედვით. ამავე მიზნით გამოიყენება მიწის რესურსებში განხორციელებული დანახარჯების გამოსყიდვის, წარმოების რენტაბელო- ბის და სხვა მაჩვენებლები.

ამასთან არის შემთხვევები, როცა საჭირო ხდება სხვადასხვა მეურნეობაში განსხვავებული ნაყოფიერების მიწის ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენა და ურთიერთშედარება. ამ მიზნით იყენებენ საერთო პროდუქციის, საერთო და წმინდა შემოსავლის გამოსავლიანობის მაჩვენებლებს ერთ თანაზომად კადასტრულ ჰექტარზე გაანგარიშებით. მას ანგარიშობენ ფორმულით:

მე=(პს : ფკ),

სადაც, მე - არის მიწის გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებელი, პს - ფართობის ერთეულიდან მიღებული საერთო პროდუქციის ღირებულება, ფკ - თანაზომადი კადასტრული ფართობი.

თანაზომადი კადასტრული ფართობი განისაზღვრება ფორმულით:

ფკ = [(ფსახ . ბ1)+(ფსათ . ბ2)+(ფსაძ . ბ3) : 100

სადაც, ფკ - თანაზომადი კადასტრული ფართობია, ფსახ, ფსათ, ფსაძ - შესაბამისად სახნავის, სათიბის და საძოვრის ფართობები; ბ1, ბ2, ბ3 - შესაბამისად სახნავის, სათიბის და საძოვრის შეფასების ბალები.

ანალოგიურად შეიძლება გაითვალოს მიწის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა საერთო შემოსავლის, წმინდა შემოსავლის და სხვა მაჩვენებლების გამოყენების შემთხვევაში.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება ფართობის ერთეულზე შესაძლებელია მხოლოდ

მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანმიმდევრული ინტენსიფიკაციის ხარჯზე მიიღწევა.

ფართო გაგებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია არ ნიშნავს მხოლოდ დამატებით დაბანდებებს ფართობზე, ის მრავალ სხვა მიმართულებას მოიცავს, რომელთა შორის გამოსაყოფია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფა, შრომის ორგანიზაციის დახვეწა და ა. შ. არცთუ იშვიათად ასეთ ღონისძიებებს უფრო მეტი ეფექტის მოტანა შეუძლიათ, ვიდრე დამატებით დაბანდებებს უშუალოდ წარმოებაში.

მიწის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებათა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას უკავია. მათ შორის გამოსაყოფია ფერდობების გატყევება, მრავალწლიანი ბალახების თესვა, მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება და სხვა.

მიწის ნაყოფიერების ამაღლებას ემსახურება აგრეთვე მჟავე ნიადაგების მოკირიანება, ტუტე ნიადაგების მოთაბაშირება და სხვა ქიმიურ-მელიორაციული ღონისძიებების ჩატარება. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია მიწის მორწყვისა და დაშრობის ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობა(დამტკიცებულია, რომ მიწის თავისდროული მორწყვით სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა საქართველოს პირობებში საშუალოდ იზრდება 1,5-ჯერ, ხოლო დაჭაობებული ფართობებიდან ზედმეტი წყლის მოცილებით - 1,3-ჯერ).

სოფლის მეურნეობაში მიწის გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ერთი რომელიმე ფაქტორის გამოყენებაზე აქცენტის გაკეთება ვერ გაზრდის ეფექტს, როგორი არსებითიც არ უნდა იყოს იგი. საჭიროა ყველა მათგანის აღრიცხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზე მათი გავლენის ხარისხის შესწავლა და შესაბამისი ზომების

მიღება ყველა მათგანის აგროტექნიკურ ვადებში განხორციელებისთვის.

მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში განსაკუთრებული როლი სახელმწიფოს განეკუთვნება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მიწის დაცვისა და შენარჩუნების მიზნობრივი პროგრამების დამუშავება და განხორციელება.

ყველა ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უფრო სრულ და ეფექტურ გამოყენებას, შეიძლება ასე დავაჯგუფოთ:

- სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ყოველი ჰექტარი სავარგულის ჩართვა. ბრუნვიდან მიწის სავარგულების ამოღების მინიმიზაცია;

- მიწის ეკონომიკური ნაყოფიერების ამაღლება მელიორაციული ღონისძიებების, თესლბრუნვების დანერგვის, მიწის ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების და სხვა ღონისძიებების გატარების საფუძველზე;

-მიწის დაცვა და მისი ბუნებრივ-ეკონომიკური ნაყოფიერების შენარჩუნება მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების, ნიადაგდაცვითი ტექნოლოგიების დანერგვის, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გატარებით;

- მიწის ბუნებრივ-ეკონომიკური ნაყოფიერების რაციონალური გამოყენება მაღალმოსავლიანი, გვალვისა და დაავადებებისადმი მედეგი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების დანერგვის, მათი მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებების სრული კომპლექსის გატარების საფუძველზე;

- ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით ნათეს-ნარგაობათა სტრუქტურის სრულყოფა, სპეციალიზაციის გაღრმავება, მეურნეობრიობისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვა და სხვა იმ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც პირდაპირ, უშუალოდ არ მოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებაზე, მაგრამ ხელს უწყობს ბრუნვაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის უფრო რაციონალურ გამოყენებას და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებულ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ რესურსებში იგულისხმება მატერიალურ-ნივთობრივი ქონება, ანუ საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობანი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, სატრანსპორტო საშუალებები, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, მრავალწლიანი ნარგავები, თესლი და სარგავი საშუალება, რომლებიც მიწის რესურსებთან ერთად ქმნიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვან ბირთვს.

წარმოშობის მიხედვით, მატერიალური რესურსები იყოფა ბუნებრივ და ეკონომიკურ რესურსებად.

ბუნებრივი რესურსები - ესაა ბუნებრივი პირობები და გარემო, ანუ მიწა, წყალი, ტყე, ფლორა, ფაუნა, კლიმატი, მზის ენერგია და სხვა ამოწურვადი თუ არაამოწურვადი ბუნებრივი რესურსები.

ეკონომიკური რესურსები - ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ძირითადი ელემენტია, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების დონის გამომხატველია და ის დამოკიდებულია მთელი ეროვნული მეურნეობის განვითარების ტემპებსა და მასშტაბებზე.

ზოგადად, წარმოების რესურსები იყოფა მატერიალურ, შრომით და ფინანსურ რესურსებად. მატერიალური რესურსები შრომის საშუალებების და შრომის საგნების ერთობლიობაა, რომელიც მოიცავს წარმოების ყველა ნივთობრივ ელემენტს (ბუნებრივი მასალები, ნედლეული, შრომის იარაღები).

ფინანსური რესურსების დანიშნულებაა წარმოების გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე. მათი ფორმირების ძირითად წყაროს წარმოადგენს საწარმოს წმინდა შემოსავალი (მოგება), ამორტიზაციის ფონდი, ბანკის კრედიტები და სხვა(შემოწირულობები, გრანტები).

ნატურალური შემადგენლობის მიხედვით მატერიალური რესურსები მოიცავს ნედლეულს, ძირითად და დამხმარე მასალებს, სხვადასხვა ნახევარფაბრიკატებს, ენერგიის წყაროებს და ა. შ.

დღეს აუცილებელია მაქსიმალურად გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო რესურსების, როგორც სასურსათო, ასევე კომერციული შესაძლებლობები და პოტენციალი რეგიონში. პრაქტიკა აჩვენებს, რომ დღეს მეტად წარმატებულად ვითარდება დივერსიფიცირებული წარმოება, რომელსაც გააჩნია საკუთარი გადამუშავება და გარანტირებული მარკეტინგი. აგრარული სფეროს განვითარების ინტერესები მკაცრად ითხოვს დამუშავებას, რელიზაციას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას მეცნიერებაზე დაყრდნობით. ასეთმა კონცეფციამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მეცნიერების მიღწევები და მოწინავე პრაქტიკა, უნდა დაფუძნდეს სახელმწიფოს რეგულირება, მოხდეს საგადასახადო, საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკის ოპტიმიზაცია, გაუმჯობესდეს მიწის და შიდა ეკონომიკური ურთიერთობები, მოხდეს წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით, ბუნების და ეკონომიკური პირობების, წარმოების ეკოლოგიზაცია სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების ბაზაზე კოოპერაციის და აგრომრეწველობის ინტეგრაციის განვითარება. აუცილებელია ყველა სფეროს განვითარება, ზომების მიღება სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტული ექსპანსიისაგან სამამულო საქონლის დაცვისათვის.

ეფექტიანობის კრიტერიუმის ცალკეული რესურსების გამოყენება-წარმოების ზოგად განსაზღვრებას წარმოადგენს წარმოების მაქსიმიზაციის შედეგები. ასეთი განსაზღვრება შეესაბამება ეკონომისტების შეხედულებებს, რომლებიც ამა თუ იმ რედაქციით აყალიბებდნენ დასახელებულ კრიტერიუმებს, თუმცა სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის შესაფასებლად ეს კრიტერიუმები არ გამოდგება. ის არ იძლევა საშუალებას პრაქტიკულად განვსაზღვროთ წარმოების რესურსების გამოყენების ხარისხი, რომელსაც გააჩნია წარმოების რესურსები.

ჩვენი მიდგომა სფეროს ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემასთან, საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმე-

ბი და გავაკეთოთ მისი ფორმულირება შემდეგი სახით: მოგების მაქსიმიზაცია მიწის ერთეულით მინიმალურ ხარჯებთან გაანგარიშებით. პირველი ნაწილის ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული წარმოება მიილტვის მიიღოს მაქსიმალური მოგება. კონკურენტული ეკონომიკის პირობებში მოგების მაქსიმიზაციას ყველა მწარმოებლის მიერ ნაციონალური მასშტაბით მივყავართ საერთო პროდუქციის ღირებულების მაქსიმიზაციამდე, რომელიც შეიძლება მიღებული იქნას არსებული რესურსებით. ანუ მიგვიყვანს მთელი ეკონომიკის ეფექტიანობის მოცულობათან (ზუსტად ეს წარმოადგენს ოპტიმალურს), რომლის მიმართ სხვაობა მიღებულ მოგებასა და ხარჯებს შორის არ იქნებოდა დიდი. წარმოების ოპტიმიზაციის ამოცანის გადასაჭრელად მაქსიმიზაციის მიზნით უფრო მოხერხებულია ვიხელმძღვანელოთ საშუალო და ლიმიტირებული მნიშვნელობით. მოგების მაქსიმიზაცია მიღწეული იქნება შემდეგი წესების დაცვით:

MR=MC

სადაც, MR - ლიმიტირებული მოგებაა, MC - ლიმიტირებული ხარჯები.

მოცემული წესი ილუსტრირებულია გრაფიკულად (სქემა1), სადაც P-ფასია, q-პროდუქციის რაოდენობა, MC - ლიმიტირებული მოგება, AC - საშუალო ხარჯები, AR-საშუალო მოგება, MR - ლიმიტირებული მოგება.

იმისათვის, რომ გადავჭრათ პრობლემა პროდუქციის რაოდენობის წარმოების შესახებ, აუცილებელია გავაკეთოთ ლიმიტირებული მოგების(MR) შედარება ლიმიტირებულ ხარჯებთან (MC). თუ MR(ლიმიტირებული მოგება, შემოსავალი ტოლია P1ფასის) მეტია MC-ზე, მაშინ საჭიროა გაიზარდოს წარმოების მოცულობა. თუ შემოსავლის(მოგების) ზრდა იქნება მეტი, ვიდრე ლიმიტირებული ხარჯები, გაიზრდება მოგება და პირიქით, თუ ლიმიტირებული ხარჯები გადაამეტებს ლიმიტირებულ შემოსავალს (მოგებას, მოცემულ შემთხვევაში ფასებს), მაშინ მოგება შემცირდება. მოგების მაქსიმუმი მიღებული იქნება წარმოების მოცულობით qc, რომლითაც მიიღწევა ტოლობა MR=MC (ირიბი MC და სწორიPi=A-MR-ს გადაკვეთით)



სქემა 1. სოფლის მეურნეობის მოგების (შემოსავლის) მაქსიმიზაცია საბაზრო პირობებში

პროდუქციის წარმოებისას q1-ზე რაოდენობრივად ნაკლები და q4-ზე მეტი ეკონომიკას დანაკარგები ექნება, რამდენადაც ამ შემთხვევაში შემოსავლის ზღვარი უფრო ნაკლებია AC საშუალო ხარჯებთან (მოცემულ შემთხვევაში p1). ეკონომიკა მიიღებს მოგებას პროდუქციის წარმოებით q1- q4 ინტერვალებს შორის.

წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმების გამოყენებისას (ამჟამად ფართოდ გავრცელებული) როგორც მოგების მაქსიმიზაცია ანგარიშით ერთეული რესურსის დანახარჯით (ანუ ხარჯებით) წარმოება უნდა მიილტვოდეს იქითკენ, რომ აწარმოოს პროდუქცია დიდი მოცულობით, რომელიც ტოლია q3-ს, სადაც რენტაბელობა უმაღლესი იქნება. ეს ნათლადაა წარმოდგენილი სქემა 1-ზე, სადაც ვერტიკალურ ღერძზე მოგებისადმი დამოკიდებულება AC3P1OAC3 ხარჯებთან შესაძლო შემთხვევებიდან მაქსიმალურს წარმოადგენს. ასეთი კრიტერიუმების შემთხვევაში ეკონომიკისათვის არაა სასურველი წარმოების ზრდა q3-ზე მეტად, თუმცა საწარმოსათვის

მართლაც მომგებიანია მოცულობის ზრდა q3-ზე მეტად qe დონემდე, რამდენადაც რენტაბელურობის დაქვეითების მიუხედავად მოგების ზოგადი მოცულობა გაიზრდება, რაც მიზანს შეესაბამება. საერთო მოგების ზრდა განპირობებულია იმით, რომ პროდუქციის ყოველი მომდევნო ერთეული q3-დან qe-მდე ინტერვალში ეკონომიკას დამატებით მოგებას მოუტანს, რამდენადაც ამ ინტერვალში MC ნაკლებია p1-ზე, დასახელებული კრიტერიუმი წარმოადგენს სიტუაციის მხოლოდ კერძო შემთხვევას. როცა წარმოებამ ვერ მიაღწია წარმოების კრიტიკულ წერტილს, რომლის მიღწევამდე კიდევ ჩნდება წარმოების მოცულობის დამატებითი დადებითი ეფექტი. წარმოების მოცულობის ზრდისას დასახელებული ეფექტურობის კრიტერიუმი ავლენს თავის მიუღებლობას. მოცემულ განსაზღვრებაში წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმით უფრო ზუსტად აისახება სოფლის მეურნეობის წარმოების მიზანი, სწორედ როგორც მოგების მაქსიმიზაცია ერთეული მიწის ნაკვეთის ანგარიშით.



სქემა 2. წარმოების ხარჯების შემცირების გავლენა მოგების მოცულობაზე

მიწათსარგებლობა მუდმივად მნიშვნელოვანია ეკონომიკაში და სწორედ ამიტომ მოგების მიმართ დამოკიდებულება უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. თუ განვსაზღვრავთ კრიტერიუმებს, მხოლოდ როგორც მოგების მაქსიმიზაცია (მიწასთან დამოკიდებულების გარეშე), მაშინ ეკონომიკის შედარებისას მისი ეფექტიანობა იქნებოდა განუზომელი არსებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის განსხვავების გამო.

ეფექტიანობის კრიტერიუმების მეორე ნაწილის ლოგიკა „მინიმუმი ხარჯები" შემდეგში მდგომარეობს. წარმოების თითოეული მოცულობის შემთხვევაში საშუალო ხარჯები (ანუ პროდუქციის ერთეულის ღირებულება) შეიძლება ნაკლები იყოს, თუ გამოიყენებენ უფრო იაფ, პროდუქტიულ მანქანა-მოწყობილობებს და ახალ ტექნოლოგიებს, გამოიყენება წარმოების ორგანიზაციის უფრო სრულყოფილი ფორმები. ხარჯების დაწევა წარმოდგენილია (სქემა 2) ირიბი C და AC -ს შერევით Cs , C1 დაAC1-სთვის.

წარმოების ხარჯების შემცირება (განხილულის მიხედვით) იწვევს საერთო მოგების და ერთეულის ანგარიშით მიწის ტერიტორიის მოცულობის იმავე პროდუქციით ზრდას. სქემა 2-ზე საერთო მოგება ტოლია P1EDACd ოთხკუთედის ფართობისა, რომელიც მეტია, ვიდრე P1EBACb. ამავე შემთხვევაში მომგებიანია წარმოების ზრდა ახალ, დაბალანსებულ დონესთან (გრაფიკულად q5 დონემდე) კრიტერიუმის განსაზღვრების განხილული მიდგომა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელებს და სპეციალისტებს აძლევს საშუალებას ნათლად დაინახონ თავისი საქმიანობის პირდაპირი მიზანი და მისი მიღწევის საშუალებები. შესყიდვების ცენტრალიზებული დაგეგმვის არარსებობის პირობებში წარმოიქმნება იმ წარმოების მოცულობის არჩევის აუცილებლობა თვით ეკონომიკის მიერ. დასახელებული პრობლემის მეთოდოლოგიური მიდგომა საწარმოებს ხელს შეუწყობს განსაზღვროს საწარმოს ოპტიმალური მოგება სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე.

ლიტერატურა:

1. ბოევი ვ. საბაზრო ურთიერთობის სრულყოფა და ეფექტურობის ამაღლება, ,,ეკონომიკა და მართვა“. №11, 2004;
2. კოღუაშვილი პ. ზიბზიბაძე გ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბ. 2010.
3. მილოსერდოვი ვ. საბაზრო კოოპერაცია და ინტეგრაცია, რეგიონების მაგისტრალური მიმართულების განვითარება, ,,ეკონომიკა“, № 1, 2014;
4. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამა 2020 წლამდე, თბილისი 2017.

REFERENCES:

1. Boev V. R. Improving market relations and increasing efficiency, „Economy and Management". №11, 2004.
2. Koghuashvili; P. Zibzibadze G. Agriculture Economics, Tb. 2010.
3. Miloserdov V. Market Cooperation and Integration, Development of Major Regional Regions, „Economics", No. 1, 2014;
4. The Economic and Social Development Program of the Republic of Georgia till 2020, Tbilisi 2017.

THE PROBLEMS OF EFFECTIVE FUNCTIONING OF THE AGRARIAN SECTOR IN THE REGIONS ECONOMY

Lela Jakhaia
PhD Student, Batumi Shota Rustaveli State University

RESUME

In this article are considered various types of productions effectiveness in the Agrarian sector, the role of various factors and the criteria of effective utilization of resources considering the special features of this branch in the market conditions. The authors suggest using the methodological approach which will make it possible to improve the economic indices of enterprises.

Key words: Economic effectiveness, profit, the estimate and criteria of effectiveness, the cost .

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის მიმოხილვა

ნატალია ჯიჯავაძე,
გიორგი გაბედავა
სტუ დოქტორანტები

რეზიუმე

საქართველოსთვის საზღვაო ქვეყნის სატატუსი ის ბუნებრივი უპირატესობაა, რომელსაც მნიშვნელოვანი დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების გზაზე. მიუხედავად ამისა ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართთველოს საზღვაო ტრანსპორტით ტვირთი არ გადაზიდულა. უფრო მეტიც საქართველო არ ფლობს საზღვაო მცურავ საშუალებებს. ამდენად საზღვაო ტრანსპორტი მხოლოდ პორტებით შემოიფარგლება და ამ მიმართებითაც ტვირთების დამუშავების მოცულობები დინამიკაში მცირდება. ალტერნატიულ პორტებთან შედარებით, რომელთაგან ძირითადი ნოვოროსისკის და სამსუნგის პორტებია, ბათუმის და ფოთის ნავსადგურები სულ უფრო ნაკლებ კონკურენტუნარიანობას ამჟღავნებენ.

საქართველოს პორტების და საზღვაო ტრანსპორტის განვითარებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს საერთო ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მენეჯმენტი, ტრანსპორტი, საზღვაო ტრანსპორტი.

შესავალი

საქართველო საზღვაო ქვეყანაა, მისი ტერიტორიის საზღვრის 310 კმ შავ ზღვას მიუყვება. ამიტომ აქ არის ხელსაყრელი პირობები საზღვაო ტრანსპორტის განვითარებისათვის. ქართველები, (კერძოდ კოლხები, აჭარლები, მეგრელები, გურულები) ისტორიულად კარგ მეზღვაურებად ითვლებოდნენ. საქართველო დღეისათვის საზღვაო ტრანსპორტში წარმოდგენილია პორტებით და საზღვაო ფლოტით. ეს უკანასკნელი სავალალო მდგომარეობაშია.

სამწუხაროდ, საქართველოს უახლოესი ისტორიის განმავლობაში, საზღვაო ტრანსპორტი, მხოლოდ საბჭოთა წლებში განვითარდა სათანადოდ. XX ს-ის 80-იანი წლებისათვის საქართველოს გააჩნდა ორი საოკეანო თევზსაჭერი ფლოტი, თევზსაჭერი მეურნეობები ფოთში და სოხუმში. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს განკარგულებაში იყო 60-მდე სხვადასხვა ტონაჟის მშრალი ტვირთების გადასაზიდი, ტანკერები, საკრუიზო გემები.. მათი სწორი გამოყენების შემთხვევაში დამოუკიდებელ საქართველოს შეეძლო შეენარჩუნებინა ანგარიშგასაწევი საზღვაო ქვეყნის სტატუსი და ქვეყნის ბიუჯეტისათვის მოეტანა მილიარდობით დოლარი, რომ არაფერი ვთქვათ გემებზე მრავალრიცხოვანი დასაქმებულების და მათი ოჯახების უზრუნველყოფაზე. მაგრამ 90-იან წლებში განვითარებულმა მტაცებლურმა მმართველობამ საზღვაო სანაოსნო და თევზსაჭერი ფლოტი სრულად გაანადგურა. იქ სადაც ქართული გემები იყო დაკავებული საზღვაო გადაზიდვებით, მათ უცხოური კომპანიები ჩაენაცვლნენ.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

არსებული საზღვაო საბორნე გადასასვლელები მთლიანად უცხოური კომპანიების საკუთრებაა (თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, ბულგარეთი, რუმინეთი) იმ დროს, როცა შესაძლებელი იყო პარიტეტის დაცვა და საქართველოს სახელმწიფო, ან კერძო კომპანიებს, მიეღოთ მონაწილეობა საზღვაო საბორნე გადაზიდვებში. ასევე საქართველომ თანდათანობით დაკარგა კონტროლი პორტებისა და ტერმინალების უმეტესობის სამეურნეო საქმიანობაზე და ისინიც უცხოური კომპანიების ხელშია.

ერთადერთი სამსახურები და ობიექტები, რაც ფუნქციონირებს სრულად საქართველოს დაქვემდებარებაში და ახსენებს მას თავს, რომ იგი საზღვაო ქვეყანაა, არის საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები, სანაპირო დაცვის სამსახური, ფოთის და ბათუმის პორტების აქტივების ნაწილი.

საქართველოს პორტებიდან დღეისათვის ხორციელდება ტრანსპორტირება ისეთი მნიშვნელოვანი ტვირთებისა, როგორებიცაა ნავთობი, მარგანეცი, ნახშირი, ლითონები (მათ შორის ჯართი), ავტომობილები, ხორბალი და სხვა სასურსათო პროდუქცია, ბამბა, ხილი და ა.შ. ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანებიდან ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული უნდა გახდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნის გაფართოება და მიმზიდველი გარემოს შექმნა

ტვირთების უსაფრთხოდ, სწრაფად და რაც მთავარია იაფად ტრანსპორტირებისათვის. აღნიშნულს სარეალიზაციოდ რკინიგზასა და საავტომობილო გზების განვითარებასთან კომპლექსში აუცილებელია საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტით დღეისათვის გადატანილი ტვირთების მოცულობა კრიტიკულად დაბალია, რასაც ადასტურებს ცხრილი 1-ის მონაცემებიც.

ცხრილი 1

ტვირთის გადატანა საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სახეების მიხედვით (ათასი ტონა).[1]

წლები	სულ	სარკინ.	საავტ.	საზღვაო	საჰაერო
1990	253074,9	76860,9	167070,0	9127,0	17,0
1995	14985,1	4656,4	8690,0	1636,6	2,1
2000	30060,0	11496,1	18500,0	62,6	1,3
2001	33241,3	13209,6	20000,0	30,5	1,2
2002	37488,3	14951,5	22500,0	35,5	1,3
2003	41081,4	16558,7	24500,0	21,4	1,3
2004	41149,8	15424,4	25700,0	23,9	1,5
2005	45971,5	18986,7	26959,3	23,9	1,6
2006	49946,6	22643,3	27261,3	40,4	1,6
2007	49830,2	22230,0	27561,2	37,9	1,1
2008	49058,2	21181,2	27864,4	11,9	0,7
2011	48926.8	20123.4	28794.1	8.1	1.2
2012	49190.8	20076.0	29110.8	3.6	0.4
2013	47616.4	18185.0	29431.0	-	0.4
2014	46429.3	16673.3	29754.7	-	1.3
2015	44225.8	14142.7	30082.0	-	1.1

როგორც აღნიშნული ოფიციალური სტატიკის ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს 1990 წელს სულ ტვირთების გადა-

1 საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკურ წელწდეული 2009. გვ.209. 2015, გვ. 191.

ზიდვის მოცულობა 79937.6 ათასი ტონა იყო, საიდანაც უმეტესი ნაწილი — 61854.9 ათასი ტონა საზღვაო ტრანსპორტზე მოდიოდა ანუ 77.4 პროცენტი, რკინიგზის ტრანსპორტზე — 15476.7 ათასი ტონა, ანუ — 19.4%, მხოლოდ დანარჩენ 13%-ს ინაწილებდა ტრანსპორტის სხვა სახეობები. 1990 წლიდან მოყოლებული ტვირთების გადაზიდვის მოცულობა თანდათან მცირდება. სულ ტვირთების მოცულობა შემცირდა 79937.6 ათასი ტონიდან 7163.8 ათას ტონამდე 2008 წლისათვის აღნიშნულ 18 წელიწადში იგი შემცირდა 100-დან 8.9%-მდე. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა საზღვაო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის მხრივ. იგი 1990 წლის 61854.9 ათასი ტონიდან შემცირდა 45.4 ათას ტონამდე 2008 წლისათვის, რაც 1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 0,074%-ია. ასეთი სიტუაცია გამოიწვია საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის განადგურებამ.

ტვირთების გადაზიდვის შემცირება იმ დონით, რაც განიცადა საზღვაო ტრანსპორტმა, სხვა არცერთი სახეობის ტრანსპორტზე არ მომხდარა, ასე მაგალითად, რკინიგზით გადაზიდული ტვირთების მოცულობა 1990 წლის 76860,9 ათასი ტონიდან შემცირდა 2008 წლისათვის 21181,2 ათას ტონამდე (შეადგენს 27%-ს), ხოლო 2015 წლისთვის - 14142.7 ათას ტონამდე (18%). საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთები დროის იგივე პერიოდისათვის 167070,0 ათასი ტონიდან შემცირდა შესაბამისად 27864,4 ათას ტონამდე (23.3%) და 30082.0 ათას ტონამდე (18%). საზღვაო ტრანსპორტით კი 2013-2015 წწ-ში ტვირთი საერთოდ არ გადაზიდულა. აქედან გამომდინარე საქართველოსათვის პრიორიტეტული უნდა იყოს საზღვაო პორტების განვითარება, რომ უცხოური გემებისა და ტანკერების მომსახურება მაინც შევძლოთ.

საქართველოში ორი მოქმედი პორტია – ბათუმისა და ფოთის, ამასთან იგეგმება ანაკლიაში პორტის და ყულევში ტერმინალის მშენებლობა, ხოლო სუფსის ტერმინალი 1994 წლიდან ახორციელებს ნავთობის დასაწყობებას და მის ჩატვირთვას ტანკერებში. თუმცა თავისი მნიშვნელობით ძირითადი მაინც ბათუმის და ფოთის პორტებია.

ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის ისტორია ჯერ კიდევ რომის იმპერიიდან იღებს სათავეს, რაც განაპირობა მისმა გეოსტრატეგიულმა და ბუნებრივმა უპირატესობებმა. კერძოდ:

– ნავსადგური მდებარეობს ბუნებრივ ღრმაწყლიან უბეში, რაც იძლევა დიდტონაჟიანი გეგმების მიღების საშუალებას;

– კარგადაა დაცული სანაპიროდან;

– ნავსადგურში შემოსასვლელად არ არის საჭირო არხის გავლა, რაც ათავისუფლებს გემთფლობელს არხის მოსაკრებლის გადასახადისაგან.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, კერძოდ 1878-1885 წწ-ში ბათუმს ჰქონდა "პორტო-ფრანკოს" (თავისუფალი პორტი) სტატუსი. იგი ამ პერიოდისათვის ემსახურებოდა მშრალი ტვირთების ტრანსპორტირებას არა მარტო სამხრეთ ამიერკავკასიაში, არამედ ირანშიც. შემდეგ კი შესაძლებელი გახდა ბაქოს ნავთობის ტრანსპორტირებაც.

ბათუმის ნავსადგურს გააჩნია შესაძლებლობა დააკმაყოფილოს კლიენტების მოთხოვნილებები სხვადასხვა გემებთან და მგზავრებთან მიმართებაში, მას გააჩნია 5 ტერმინალი: ნავთობტერმინალი, მშრალი ტვირთების ტერმინალი, საკონტეინერო ტერმინალი, სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი და სამგზავრო ტერმინალი. ნავსადგური ფლობს ISO 9001-2000 ხარისხის შესაბამისობის საერთაშორისო სერტიფიკატს.[1]

შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მონაცემები 2004-2008 წლებში ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ასეთია: (იხ. ცხრილი 2).

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ ბათუმის პორტის ტექნიკური პარამეტრები ძირითადად სტაბილურია, თუმცა 2004 წ-ს ტვირთბრუნვა შემცირდა თითქმის 2.4 მლნ. ტ-ით, რაც მნიშვნელოვანწილად გამოიწვია ნავთობგადატვირთვის შენცირებამ. ამ პუნქტში ძირითადად ფიგურირებს ფირმა "შევრონის" კუთვნილი ნედლი ნავთობი და ამ ფირმის მიერ გადაზიდული ნავთობით განისაზღვრება ამ პუნქტის რიცხობრივი მახასიათებლები, თუმცა გარკვეული სიდიდით წარმოდგენილია სასომხეთისათვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტებიც. თუ "შევრონმა" უარი თქვა აზერბეიჯანიდან ნედლი ნავთობის შეძენაზე, ავტომატურად მცირდება ნავთობგადაზიდვის მოცულობაც. ბოლო ორ წელიწადში ბათუმის პორტის ტვირთბრუნვის და მგზავრთა გადაყვანის მონაცემები კიდევ უფრო გაუარესდა, რაც მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისით აიხსნება.

თავისი მნიშვნელობით ბათუმზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ფოთის ნავსადგური. ფოთში–რიონის ზღვასთან შეერთების ადგილას, საზღვაო პორტის მშენებლობაზე საუბარი X1X ს-ის დასაწყ-

1 შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მონაცემები, საიტი ჰტტპ//წწწ ბატუმიპორტ.ცომ.გე. გადამოწმებულია 14.07.2016.

ცხრილი 2

შპს "ბათუმის საზღვაო ნავსადგურის" ძირითადი მაჩვენებლები 20010-2014 წწ-ში

№	მაჩვენებლები	2010	2011	2012	2013	2014
1	ტვირთბრუნვა სულ: (ათასი ტონა) მათ შორის:	11465.8	1592.8	13188.2	11258.8	811258.8
	ა) ტვირთის გადამუშავება	780.8	781.0	1054.2	1237.8	1284.3
	ბ)საბორნე გადასასვლელი	828.5	405.9	350.8	403.0	198.8
	გ)ნავთობგადატ-ვირთვა	9658.8	405.9	11763.2	908.2	7189.1
2	კონტეინერთ-ბრუნვა	-	-	-	-	44197
3	მგზავრთბრუნვა სულ. (კაცი)	10282	8785	11794	4821	11016
	გემთბრუნვა (ცალი) მათ შორის:	668	724	771	668	811
	ტანკერი	260	421	397	340	307
	ბალკერი	228	146	251	268	375
	ბორანი	76	52	44	51	38
	სხვა	104	105	79	9	59
5	დამუშავებული ვაგონები (ცალი)	-	11465	15299	16121	17601
6	დამუშავებული მანქანები (ცალი)	-	3766	6078	5850	6697

ისიდან მიმდინარეობდა, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯები 1858 წლ-იდან გადაიდგა, ხოლო 1889 წლიდან მშენებლობის ინტენსივობა იზრდება, რასაც ხელი შეუწყო ფოთში რკინიგზის ხაზის შეყვანამ. ასევე ეტაპობრივ განვითარებადაა მიჩნეული ფოთის პორტის გა-ფართოება ნ. ნიკოლაძის მერად მუშაობის პერიოდში, 1901-1907

წწ-ში. დღეისათვის ფოთის პორტი მრავალმხრივ განვითარებულია, იგი ისე, როგორც ბათუმი, ფლობს ISO 9001-2000 ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატს.

ფფოთის პორტის ტექნიკური პარამეტრები გრაფიკულად წარმოდგენილია სურათებზებზე 1, 2, 3, საიდანაც ჩანს, რომ ტვირთბრუნვა 2000 წლიდან მოყოლებული იზრდებოდა 2008 წლამდე, ხოლო 2009 წლისათვის ტვირთბრუნვა 2 მლნ. ტ-ით შემცირდა. მსგავსი სიტუაციაა ტვირთნაკადების მიხედვითაც, ხოლო რაც შეეხება ტვირთების სტრუქტურას, იგი თითქმის არ იცვლება.



სურ.1. ტვირთნაკადები ფოთის პორტში. 2000-2009 წწ. (ათასი ტონა)



სურ.2. ტვირთნაკადები ფოთის პორტში. 2000-2009 წწ. (ათასი ტონა)



სურ.3. ტვირთების სახეობები ფოთის პორტში. 2000-2009 წწ. (ათასი ტონა)

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

საქართველოს პორტებში ტვირთბრუნვის მოცულობის გაზრდისათვის აუცილებელია საერთო-ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება – გლობალური ეკონომიკური კრიზისის დაძლევა, რაშიც გადამწყვეტი მიმდინარე 2017 და მომდევნო 2018 წელი იქნება, თუმცა გლობალურად ეკონომიკურ სიტუაციაზე მეტად აუცილებელია საქართველოს ეკონომიკური განვითარება. დღეისათვის საქართველოს პორტებში დამუშავებული ტვირთების უმეტესობა სატრანზიტო ხასიათისაა და მასში საქართველოს ეკონომიკისათვის განკუთვნილი ტვირთები ძალიან მცირე ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი.

მდგომარეობის გამოსასწორებლად მიზანშეწონილად გვესახება საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, რაც ცალკე მსჯელობის საკითხია. საქმეს ნაკლებად უშველის თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნაც ტერიტორიის მცირე მონაკვეთებზე. აქ საჭიროა საერთოდ გაუმჯობესდეს სამეწარმეო გარემო.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკურ წელწდეული 2009 და 2015. თბილისი, 2010 და 2016 წწ.

2. Rodrigue J.P., Comtois C., Slack B. Geography of Transport Systems . Routledge, London, 2006; Dickens M., Neff J., Grisby D. 2012 Public Transportation Fact Book. 63rd Edition, Washington DC, 2012.

3. პ. გუგუშვილი - საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX- XX საუკუნეებში თბ., 1959 წ.

4. დანელია ი. ანაკლიის პორტი და მისი პერსპექტივები. Forbes Georgia in English. საიტი: http://forbes.ge/news/1309/ანაკლიის-პორტი-და-მისი-პერსპექტივები. გადამოწმებულია 17.04.2017.

REFERENCES:

1. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. Department of Statistics. Cargo Statistics 2009 – 2016, Tbilisi

2.Rodrigue J.P., Comtois C., Slack B. Geography of Transport Systems . Routledge, London, 2006; Dickens M., Neff J., Grisby D. 2012 Public Transportation Fact Book. 63rd Edition, Washington DC, 2012.

3.P. Gugushvili – Economic Development of Georgia and Transcaucasia in XIX-XX, Tbilisi 1959

4. I.Danelia – Port of Anaklia and it Perspectives

Website - http://forbes.ge/news/1309/anakliis-porti-da-misi-perspeqtivebi. (Applied 17.04 2017).

OVERVIEW OF GEORGIAN MARITIME TRANSPORT

Natalia Djidjavadze, Georgi Gabdava,
PHD students, GTU

RESUME

Maritime Status for the Georgia is the natural advatage, which has a significant positive impact on the path of accelerated development of the economy. Despite the fact, the cargo has not been transported by the Georgian maritime port last three years. Moreover, Georgia does not own ships. So Georgian maritime transport contains just maritime ports and in this manner the volume of cargo turnover dynamic is reduced. Comparing to alternative ports, of which are the main Novorossisky and Samsun Ports, Batumi and Poti ports show less competitiveness.

The necessity of the development of Georgia's ports and sea transports is to improve the overall economic situation.

Key Words: Economy, Managment, Transport, Maritime Transport.

ფასწარმოქმნის სტრატეგია და მექანიზმი სანავსადგურო მომსახურებაში

ლალი ხარბედია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

მზისადარ ბჟალავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტ. პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია გადაზიდვის მოცულობისა და ფასის დამოკიდებულების საფუძვლები, ნავსადგურის მომსახურებაზე ფასწარმოქმნის პრინციპები და ძირითადი მეთოდები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხარჯებზე, მოთხოვნასა და კონკურენციაზე დაფუძნებული ფასწარმოქმნის სტრატეგიის განხილვას. გაანალიზებულია ფასწარმოქმნის მექანიზმი სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქონელბრუნვის პროცესში მონაწილე ყველა მხარეს და, მათ შორის ნავსადგურს და სანაოსნო კომპანიებსაც, ამოძრავებს კერძო ინტერესი და თითოეული ცდილობს მიიღოს მაქსიმალური მოგება, რაც მიიღწევა სწორად შემუშავებული ფასწარმოქმნის სტრატეგიის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: სანავსადგურო მომსახურება, საზღვაო გადაზიდვები, ლოგისტიკური ჯაჭვი, ტვირთის გადაზიდვის ხარჯები, ფასწარმოქმნის მოთხოვნა-მიწოდების ფუნქცია, ხარჯებზე დაფუძნებული ფასების სტრატეგია, მოთხოვნაზე დაფუძნებული ფასების სტრატეგია, კონკურენციაზე დაფუძნებული ფასების სტრატეგია.

შესავალი

ბოლო ათწლეულებში საზღვაო ნავსადგურების ფუნქციები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად შეიცვალა. მსოფლიო ვაჭრობის 90%-ზე მეტი ხორციელდება საზღვაო ტრანსპორტით და ნავსადგურები გვევლინება გადაზიდვების დინამიური პროცესების მარეგულირებელ ცენტრად. სულ უფრო იზრდება საქართველოს ნავსადგურების მნიშვნელობა როგორც ქვეყნის ეკონომიკისათვის, ისე რეგიონის ტვირთბრუნვის განვითარებისათვის. ამასთან როგორც სახელმწიფო კომერციული იურიდიული პირი, ნავსადგური არის სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტი, რომლის ძირითადი მიზანია მოგების მიღება.

ეკონომიკური თეორია ამტკიცებს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადამიანები მოქმედებენ კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ქმნიან არჩევანის შესაძლებლობას სხვისთვისაც და საზოგადოებრივი კოორდინაცია არის უწყვეტი ურთიერთშეთანხმების პროცესი წმინდა მოგების მიღების მიზნით, რომელიც ამ ურთიერთქმედების შედეგია.

ერთი მხრივ, ნავსადგური ეს არის მგზავრების მომსახურებისა და ტვირთების დამუშავებისათვის სპეციალური აღჭურვილობითა და ნაგებობებით შემოსაზღვრული ზონა ზღვაზე მისადგომით. მეორე მხრივ, ,,ნავსადგური" ნიშნავს სანავსადგურო ხელისუფლებას ან ადმინისტრაციას, რომელიც წარმოადგენს ნავსადგურს, როგორც ერთიან სტრუქტურას და რომლის უმთავრესი მიზანია ნავსადგურის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება და მოგების მიღება.

ტვირთების გადაზიდვაზე მომხმარებლების მოთხოვნის დონეზე გავლენას ახდენს მოგება, რომელსაც ღებულობენ ტვირთის მფლობელები მოცემული ნავსადგურით. ეს მოგება მიიღება სხვაობით საქონლის გადაზიდვის ღირებულებას შორის საწყის და საბოლოო პუნქტებზე, რომელსაც საფუძვლად უდევს გარიგება საქონლის გაყიდვის შესახებ - გარიგების ფასი, საიდანაც გამოიქვითება მთელ ლოგისტიკურ ჯაჭვში მისი გადაადგილების ხარჯები. ამ საერთო მოგების განაწილე-

ბა წარმოების, მიწოდებისა და მოხმარების პროცესის ყველა მონაწილეს შორის ხორციელდება ორმხრივი, მრავალმხრივი ან სახელმწიფო რეგულირებით ვაჭრობის პროცესში. ჩვენ განვიხილავთ ამ ვაჭრობის პროცესის ერთერთი მონაწილის — ნავსადურის მომსახურებაზე ფასწარმოქმნის მექანიზმსა და ძირითად სტრატეგიებს.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

ლოგისტიკური ჯაჭვის მონაწილე მხარეთა (მათ შორის ნავსადგურის) მომსახურებაზე ფასწარმოქმნის სტრატეგია შეიძლება ემყარებოდეს ხარჯებს, მოთხოვნას და კონკურენციას.

ხარჯებზე დაფუძნებული სტრატეგიის შემთხვევაში (საშუალო დანახარჯების პრინციპი), ნავსადგური ადგენს ფასს, რომელიც მოიცავს წარმოების ხარჯებს, ზედნადებ ხარჯებს და სასურველ მოგებას, მოთხოვნა არ შეისწავლება. ფასის საბოლოო დადგენისას გამოიყენება ცნება - ფასის ქვედა ზღვარი — მისი მინიმალური მნიშვნელობა, რაც აუცილებელია მოგების მისაღებად.

მოთხოვნაზე დაფუძნებული სტრატეგიის შემთხვევაში (ზღვრული დანახარჯების პრინციპი) ნავსადგური ფასს ადგენს ნავსადგურის მომსახურების მომხმარებელთა მოთხოვნულებებისა და მათთვის მისაღები ფასების შესწავლის შემდეგ. ფასები დამოკიდებულია მოთხოვნის ელასტიურობაზე.

კონკურენციაზე დაფუძნებული სტრატეგიის მიხედვით ფასები შეიძლება იყოს საბაზრო ფასზე მაღალი, დაბალი ან ტოლი ნავსადგურის მიერ ამა თუ იმ მომსახურების გაწევაში უპირატესობის შესაბამისად.

სამივე მიდგომა არ მოქმედებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და უნდა განხილულ იქნას ერთდროულად ფასწარმოქმნის სტრატეგიის განსაზღვრისას.

საბოლოო ფასი სატრანსპორტო მომსახურებაზე დგინდება მრავალი ფაქტორის გავლენით. განვიხილოთ მომსახურების მოცულობისა და ფასის დადგენის საფუძვლები როგორც

მოთხოვნა-მიწოდების ფუნქცია, ნავსადგურის პროდუქციაზე ფასწარმოქმნის პრინციპები.

მოთხოვნის კანონის თანახმად, არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება ნავსადგურის მომსახურების რაოდენობასა და ფასს შორის, რომელიც მომხმარებელმა ამ მომსახურებაში უნდა გადაიხადოს. მოთხოვნა — ეს არის მომსახურების ის რაოდენობა, რომელსაც მომხმარებლები შეიძენდნენ ყველა შესაძლო ფასის პირობებში. ფასების ელასტიურობა განიხილება როგორც მოთხოვნის პროცენტული ცვლილება შეფარდებული ფასების პროცენტულ ცვლილებასთან:

$$K = \{(Q_1-Q_2) / (Q_{1+}Q_2)\} / \{(P_1-P_2)(P_1+P_2)\}$$

ამჟამად მრავალი ნავსადგურის მომსახურებისათვის მოთხოვნა ელასტიურად ითვლება. მოთხოვნის კანონის თანახმად, მოთხოვნის მოცულობა და ფასი ყოველთვის ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობენ.

მოთხოვნის კანონს და მიწოდების პრინციპს მივყავართ ალტერნატიული ღირებულების ცნებამდე. ნავსადგურის მომსახურების მოცულობა, რომლის ყიდვასაც მომხმარებელი გადაწყვეტს, განისაზღვრება ამ მომსახურებაზე დანახარჯებით ან იმ ფასეულობით, რაც მან უნდა გაიღოს მსხვერპლად ამ მომსახურების მიღების გამო. ფასი, რომელიც არწმუნებს მომხმარებელს არ შეიძინოს ეს სანავსადგურო მომსახურება, იყიდის რა სხვა მომსახურებას, გამოხატავს ალტერნატიულ ღირებულებას ამ მომხმარებლისათვის. მოთხოვნა სანავსადგურო მომსახურებაზე მონაწილეობს ამ მომსახურებაზე დანახარჯების დადგენაში. დანახარჯებს თავისი წვლილი შეაქვთ ფასების დონეში. ნავსადგურის მომსახურებაზე ფასი გავლენას ახდენს სხვა სახის მომსახურების ფასებზე, რომლებიც გამოიყენება საქონლის გადაადგილებისას. მაგალითად, საზღვაო გადაზიდვები შეიძლება შეიცვალოს, თუ ამის საშუალებას იძლევა გეოგრაფიული ფაქტორი, სახმელეთო გადაზიდვებით. ალტერნატიული ღირებულების კონცეფციის ფარგლებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. სანავსადგურო მომსახურების ნებისმიერ სახეზე დანახარჯები ყოველთვის ზღვრული დან-

ახარჯებია. ზღვრული ამ შემთხვევაში გულისხმობს დამატებითს. გადაწყვეტილებები რაციონალურია, თუ ისინი მიიღება ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული სარგებლის საფუძველზე.

ალტერნატიულ შესაძლებლობათა ღირებულება — ეს არის მოსალოდნელი ზღვრული დანახარჯი და თუ ნავსადგურის რესურსების გამოყენებას ალტერნატივა არ გააჩნია, მოსალოდნელი ზღვრული დანახარჯები პირდაპირ განსაზღვრავს ნავსადგურის მომსახურების მიწოდების ხასიათსა და დონეს. ზღვრული დანახარჯები შეიძლება იყოს ნაკლები საშუალო დანახარჯებზე და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მისგან.

ნავსადგურის, ისევე როგორც ნებისმიერი საწარმოს ძირითადი მიზანია მოგების მიღება და მისი მაქსიმიზაცია. წმინდა სარგებლის მაქსიმიზაციის პროცესის ლოგიკა ასეთია: ნავსადგურები აფასებენ ზღვრულ დანახარჯებს და ზღვრულ სარგებელს, შემდეგ შეარჩევენ ფასს, რომელიც მისცემს მათ საშუალებას გაყიდონ მხოლოდ ის მომსახურება, მათი შეფასებით, რომელთა ზღვრული სარგებელი იქნება უფრო მეტი, ვიდრე ზღვრული დანახარჯები. ზღვრული სარგებელი არის დამატებითი სარგებელი, რომლის მიღებას ვარაუდობენ შეთავაზებული მომსახურებიდან. მაგალითად, კიდევ ერთი ჯგუფის ტვირთის გადატვირთვა.

ზღვრული დანახარჯების დახმარებით შეიძლება დადგინდეს ორი ტიპის ფასი: რესურსების ოპტიმალური გამოყენების ფასი და ფასი, რომლის შემთხვევაშიც ნავსადგური მიიღებს მაქსიმალურ მოგებას. კონკურენციის არსებობის შემთხვევაში ადრე თუ გვიან მაქსიმალური მოგების ფასი გაუტოლდება რესურსების ოპტიმალური გამოყენების ფასს $P_{max}=P_{opt.}$

სქემატურად ეს პროცესი შემდეგი სახით გამოიყურება (იხ. ნახ 1).

- ხდება მოთხოვნის, ზღვრული ხარჯებისა და ზღვრული ამონაგების შეფასება;
- დგინდება გადატვირთვის მოცულობა, რომელიც საშუ-

ნახ. 1.

ფასების დადგენა ზღვრული დანახარჯების საფუძველზე:



ალებას მისცემს გადაიტვირთოს მხოლოდ ის ტვირთი, რომლისთვისაც ზღვრული ამონაგები მეტია ზღვრულ ხარჯებზე;

- დგინდება ტარიფი ამ რაოდენობის ტვირთის გადასატვირთად P_{max} ფასად, ის მოუტანს მაქსიმალურ მოგებას.

მოთხოვნისა და ზღვრული ხარჯების გადაკვეთის წერტილი გვიჩვენებს ოპტიმალურს მომხმარებლის პოზიციიდან Popt. მაგრამ ამ ტარიფების პირობებში ზღვრული ხარჯების შემცირებისას Q რაოდენობის გაზრდით, ნავსადგურის მუშაობა შეიძლება აღმოჩნდეს წამგებიანი.

საუკეთესო ვარიანტი ფასის განსაზღვრისას იქნება დისკრიმინაციული ფასის გამოყენება. ეს განაპირობებს იმას, რომ გარკვეული სამუშაოებისათვის, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოთხოვნის არაელასტიურობა, ტარიფები იქნება მაღალი, ხოლო ელასტიური მოთხოვნის შემთხვევაში — დაბალი.

ნავსადგურის მომსახურებაზე ფასის დადგენა ასევე ხდება მთლიანი და საშუალო დანახარჯების საფუძველზე, რაც გულისხმობს ფასის დადგენას პრინციპით ,,ხარჯებს+დანამატი". ამ თეორიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ მწარმოებლებმა, ჩვენს შემთხვევაში ნავსადგურებმა, უნდა დააწესონ ფასები,

რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო ხარჯების დაფარვას და დანამატების (10%, 30%) მიღების შესაძლებლობას.

საშუალო დანახარჯების პრინციპის მიხედვით ტარიფების დაწესების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია გადაიტვირთოს ტვირთის მაქსიმალური რაოდენობა საშუალო შემოსავლებისა და დანახარჯების ტოლობის პირობებში. მაგრამ ამ შემთხვევაში ნავსადგური მოგებას ვერ ხედავს, ის არ ისწრაფვის შეამციროს დანახარჯები და გაზარდოს მუშაობის ხარისხი, მთლიანობაში ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკური რესურსების ეფექტიან განაწილებას. საშუალო დანახარჯების პრინციპის გამოყენება მისაღებია მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რომლის მიზანია ნავსადგურის გამტარუნარიანობის გაზრდა ქვეყნის განვითარებადი ეკონომიკის ინტერესების შესაბამისად.

ნავსადგურების მომსახურებაზე ფასის დადგენისას გამოიყენება კონკურენციაზე დაფუძნებული ფასწარმოქმნის სტრატეგია. კონკურენციას ყოველთვის აქვს ტენდენცია გადაანაწილოს ნავსადგურის მომსახურების შემოსავლები მათი მომხმარებლების და სხვა ნავსადგურების სასარგებლოდ. სხვაობა სანავსადგურო მომსახურების ფასსა და ზღვრულ დანახარჯებს შორის წარმოადგენს პოტენციური უპირატესობის წყაროს. კონკურენციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ნავსადგურები ადგენენ, სად მუშაობს ასეთი სხვაობა და ცდილობენ გამოიყენონ ეს შესაძლებლობა დამატებითი მომსახურების შეთავაზებით.

კონკურენცია — ეს არის ეკონომიკური შეჯიბრი, მეტოქეობა ბაზარზე უკეთესი მდგომარეობის დასაკავებლად. საწარმოთა დამოუკიდებელი საქმიანობა ზღუდავს თითოეულის შესაძლებლობას გავლენა იქონიონ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის დონეზე და სტიმულს აძლევს იმ საქონლის წარმოებას, რომელიც უნდა მომხმარებელს. განასხვავებენ ფასობრივ და არაფასობრივ კონკურენციას.

ფასობრივი კონკურენციის პირობებში ნავსადგურები მოძრაობენ მოთხოვნის მრუდზე ზრდიან ან ამცირებენ ფასს მომ-

სახურებაზე და ბუნებრივია, ამცირებენ ან ადიდებენ გასაღების მოცულობას. ეს არის მარკეტინგის მოქნილი ინსტრუმენტი, რამდენადაც ფასების შეცვლა საკმაოდ მარტივია კონკურენციის ფაქტორის ან დანახარჯების გათვალისწინებით. ნაკლოვანება არის ის, რომ მარკეტინგის ყველა ცვლადთან შედარებით საკმაოდ ადვილია ნავსადგურის ფასობრივი პოლიტიკის დუბლირება.

არაფასობრივი კონკურენციის პირობებში ნავსადგურები გადაადგილებენ მოთხოვნის მრუდს თავიანთი მომსახურების განსაკუთრებულ მხარეებზე დაყრდნობით.

ნახ. 2. გადაზიდვის მოცულობისა და ფასის ცვლილება არაფასობრივი კონკურენციის დროს.



ეს საშუალებას მისცემს ნავსადგურებს გაზარდოს გადაზიდვის მოცულობა Q_2-მდე ძველი ფასის P_1 ფარგლებში, ან გადატვირთოს თავდაპირველი რაოდენობა Q_1 უფრო მაღალი ფასის P_2-ის პირობებში.

სანავსადგურო ბიზნესში კონკურენციას ადგილი აქვს შემდეგ დონეებზე:

- რეგიონის ნავსადგურებს შორის;
- ქვეყნების ნავსადგურებს შორის;

- ერთი ქვეყნის ნავსადგურებს შორის;
- ერთი პროფილის საწარმოებს შორის ნავსადგურის შიგნით (მაგალითად, კონტეინერების ტერმინალები ნავსადგურებში);
- ერთი ნავსადგურის შიგნით ოპერატორებსა და მოწყობილობათა მომწოდებლებს შორის, როდესაც ნავსადგური არ კონტროლდება ყოველმხრივ ნავსადგურის ხელისუფლების მიერ.

კონკურენციის სხვა ასპექტებია: მოთხოვნის ელასტიურობის საკმაოდ მაღალი დონე, ლოგისტიკური სისტემა, რომელშიც ჩართულია კონკრეტული ნავსადგური, სანავსადგურო კონკურენტუნარიანობაში ასევე განსაზღვრულ როლს თამაშობს გეოგრაფიული ფაქტორი და ნავსადგურის გეოგრაფიული მდებარეობა.

ნავსადგურზე კონკურენციული წნეხი შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა სახის ტრანსპორტებს შორის კონკურენციაში. ეს არის: კონკურენცია საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტს შორის ძვირადღირებული და მალფუჭებადი ტვირთებისათვის; კონკურენცია სანაპირო ნაოსნობასა და სარკინიგზო/საავტომობილო ტრანსპორტს შორის. ამრიგად, კონკურენციაზე დაფუძნებული ფასწარმოქმნის სტრატეგია გულისხმობს, რომ ნავსადგურის მიდგომა პრობლემისადმი განსხვავებულია ძირითადად იმის მიხედვით, თუ რომელი ტიპის ბაზარზე უწევთ მოღვაწეობა.

ფასების პოლიტიკის შემუშავებისას, ასევე გასათვალისწინებელია ნაოსნობის ტიპი. ტრამპული ნაოსნობის პირობებში ფასი განისაზღვრება მოლაპარაკებების და ვაჭრობის შედეგად და დამოკიდებულია საფრახტო ბაზრის მიმდინარე მდგომარეობაზე, ტვირთის თავისებურებებზე და გადაზიდვის მიმართულებაზე. სახაზო ნაოსნობისათვის საფასო პოლიტიკის შემუშავება არის მნიშვნელოვანი საკითხი, რაც უკავშირდება საფრახტო ტარიფების გრძელვადიან მოქმედებას, სახაზო კონფერეციებისა და სხვა ორგანიზაციების შეზღუდვებს. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთი ფაქტორები,

როგორიცაა: ტვირთის მფლობელებთან მუშაობის გამოცდილება, შუამავლებთან მუშაობის გამოცდილება, შუამავლების ინტერესები, კონტეინერების რაოდენობა, გადაზიდვის მანძილი და ა.შ. ყველა ამ ფაქტორს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტვირთების გადაზიდვის საბოლოო ფასის (ტარიფის) ფორმირების პროცესში.

დასკვნა

ზემოთ განხილულ ფასწარმოქმნის პრინციპები და ძირითადი სტრატეგიები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ:

ბოლო ათწლეულებში საზღვაო ნავსადგურების ფუნქციები და მათი როლი ქვეყნის ეკონომიკაში სულ უფრო იზრდება. ამასთან როგორც კომერციული იურიდიული პირი, ნავსადგური არის სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტი, რომლის ძირითადი მიზანია მოგების მიღება. ამ მიზნის მიღწევა დამოკიდებულია გადაზიდვის მოცულობასა და სანავსადურო მომსახურებაზე ფასის დადგენის მექანიზმზე, სწორი საფასო პოლიტიკის ფორმირებაზე.

ნავსადგურის მომსახურებაზე ფასწარმოქმნის სტრატეგიები დაფუძნებულია ხარჯების, მოთხოვნისა და კონკურენციის პრინციპებზე.

ხარჯებზე დაფუძნებული სტრატეგიის შემთხვევაში (საშუალო დანახარჯების პრინციპი), ნავსადგური ადგენს ფასს, რომელიც მოიცავს წარმოების ხარჯებს, ზედნადებ ხარჯებს და სასურველ მოგებას.

მოთხოვნაზე დაფუძნებული სტრატეგიის შემთხვევაში (ზღვრული დანახარჯების პრინციპი) ნავსადგური ფასს ადგენს ნავსადგურის მომსახურების მომხმარებელთა მოთხოვნულებებისა და მათთვის მისაღები ფასების შესწავლის შემდეგ. ფასები დამოკიდებულია მოთხოვნის ელასტიურობაზე.

კონკურენციაზე დაფუძნებული სტრატეგიის მიხედვით ფასები შეიძლება იყოს საბაზრო ფასზე მაღალი, დაბალი ან ტოლი ნავსადგურის მიერ ამა თუ იმ მომსახურების გაწევაში უპირატესობის შესაბამისად.

საბოლოო ფასი სატრანსპორტო მომსახურებაზე დგინდება მრავალი ფაქტორის გავლენით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბაზრის ტიპი და მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორები, არამედ საზღვაო ნაოსნობის ტიპიც. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ტვირთის მფლობელებთან მუშაობის გამოცდილება, შუამავლებთან მუშაობის გამოცდილება, შუამავლების ინტერესები, გადაზიდვის მანძილი და ა.შ.

STRATEGY AND MECHANISM OF PRICE-FORMING IN THE HARBOR RELATED SERVICE

Lali Kharbedia
Asociate Professor, ATSU
Mzisadar Bjalava
Assistant Professor, ATSU

RESUME

In this work: "Strategy and Mechanism of Price-forming in the Harbour Service" is discussed the basis of dependence between transportation frequency and prices, major methods and principles of price-forming in harbour service in the condition of market economy.

The Special attention is paid to discussion of price-forming strategy which is based on expenses, requirements and competition.

It's analysed the mechanism of price-forming in the condition of voluable and unvoluable competition.

Furtermore, there is concluded that all the process of goods turnover and among them a harbour and sea-transportation enterprises, have a private interest and each of them tries to get a maximal benefit, which is reached in the condition of right price-forming strategy.

Key words:Harbour service, sea transportation, chain of logistics, expenses for cargo transportation, function of price-forming requirement – delivery, price strategy based on expenses, price strategy based on requirement, price strategy based on competition.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია ქართველი მოსახლეობის გარეშე ძირშივე მცდარი პროექტია

პაატა კოღუაშვილი
ეკონ. მეცნ. დოქტორი, სტუ პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მეჩაიეობის დარგში შექმნილი პრობლემები, გაანალიზებულია მეჩაიეობის დარგის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, წარმოჩენილია მისი ნაკლოვანი მხარეები და შემოთავაზებულია შესაბამისი წინადადებები. ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მეჩაიეობაში როგორც საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვან დარგში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანწლებში დასაქმებული იყო 180 ათასამდე კომლი. ბოლო ათწლეულებში ჩაის პლანტაციების ფართობი კატასტროფულად შემცირდა და დარგი სრული განადგურების საშიშროების წინაშე დადგა.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პროგრამის მოლოდინები არ გამართლდა, პროგრამაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის მიუღებელი ნორმების ჩადების გამო. მთავრობისა და საპარტნიორო ფონდის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს 12 ათასი ჰა ჩაის პლანტაციის გადაცემას 49 წლიანი იჯარით ჩინურ კომპანიებზე, არანაირ გამართლებას არ ექვემდებარება, როგორც სახელმწიფო რესურსების რაციონალური განკარგვის, ასევე ეროვნული ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ჩაი, სახელმწიფო პროგრამა, რეაბილიტაცია, კოოპერატივი, ინტეგრაცია, რეფორმა.

ძირითადი ტექსტი

მეჩაიეობა საქართველოს ეკონომიკის წამყვანი დარგია, სადაც გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩაის მწვანე ფოთლის (ნედლეული) წარმოებასა და ჩაის სამრეწველო გადამუშავე-

ბაში დასაქმებული იყო 170-180 ათასი კომლი. ჩაის პლანტაციების ფართობი 73.0 ათას ჰექტარს შეადგენდა. მეჩაიეობაზე მოდიოდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქტის 18%, მიღებული მოგების 40%, ხოლო სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში ჩაის პროდუქციის წილი 12% აღწევდა. ჩაის წარმოებაში საქართველოს მსოფლიოში მე-5 ადგილი ეკავა, ახლა კი მე-10 ადგილი გვიკავია. ქვეყანაში ფუნქციონირებდა 150 ჩაის პირველადი გადამუშავებისა და 22 გადამწონი (დამფასოებელი) ფაბრიკა. ასევე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰქონდათ თავიანთი მიკრო ჩაის ფაბრიკები, რომელთა რიცხვი 120 იყო. ძირითადი ფონდების ღირებულება მეჩაიეობაში შეადგენდა 1 მლრდ. 525 მლნ. მანეთს; ფონდუკუგება - 1,1 მანეთს; ფონდტევადობა - 0,97 მანეთს; შრომის ნაყოფიერება - 14000 მანეთს; რენტაბელობა - 75%; ჩაის ნედლეულის წარმოება საშუალოდ 580 ათას ტონას შეადგენდა; ჩაის საჰექტარო მოსავლიანობა კი 90-100 ც/ჰა შორის მერყეობდა, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო დადებითი მაჩვენებელი, მაგრამ ამას მიოთხოვდა საკავშირო მთავრობა.

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ ამ დარგში განხორციელებული არაერთი პროგრამისა, ბოლო 25 წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციების ფართობი ინტენსიურად მცირდებოდა და საბოლოოდ დარგი სრული განადგურების წინაშე დადგა. ამის მიზეზს, ერთი მხრივ - სახელმწიფო ქონების, კერძოდ გადამმუშავებელი საწარმოების პრივატიცაციის წარმართვის დროს დაშვებული სერიოზული შეცდომები, ხოლო, მეორე მხრივ, მეჩაიეობის დარგის განვითარების არასწორად დაგეგმილი სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორის პროგრამები წარმოარგენს. კერძოდ, არ განხორციელდა ჩაის ფოთლის წარმოებისა და გადამუშავების ინტეგრირებული, ერთიანი საწარმოო ციკლის ხელშემწობი სისტემური პრგრამები, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩაის ფოთლის წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის და კოოპერატივის ფარგლებში გადამმუშავებელ საწარმოსთან ინტეგრირების, ანუ ვერტიკალური ინტეგრაციის ხელშეწყობის გზით. აღნიშნულ სახელმწიფო

პროგრამებში ორ ათეულ მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა ჩაის გადამმუშავებელი საწარმოების ხელშეწყობაზე, როცა ცალკე, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ხდებოდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის დაფინანსება. სწორედ ასეთი გაუაზრებელი, არასისტემური პოლიტიკის შედეგია, რომ არ განხორციელდა მეჩაიეობის დარგის ეფექტური ორგანიზაციული მოწყობა, რომელიც უპირატესად ორიენტირებული იქნებოდა დარგში დასაქმებული ათი ათასობით ადამიანის ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაკმაყოფილებაზე და მხოლოდ ამგზით აღნიშნულ პროექტებს შეექმნებოდა მდგრადი სიცოცხლისუნარიანობისა და ინტენსიური განვითარების საფუძვლები. იმის გამო, რომ ჩაის ფოთლის წარმოებიდან მოსახლეობამ ვერ მიიღო ადეკვატური სარგებელი, მოხდა ჩაის პლანტაციების გადაწვა და ამ მიწებზე სხვა კულტურების განთავსება. შედეგად მივიღეთ უკვალოდ და უშედეგოდ გამქრალი რამდენიმე ათეულ მილიონი ლარი სახელმწიფო თანხა და ათიათასობით ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან დარჩენილი მხოლოდ 8 ათასი ჰექტარი და ეს ხდება მაშინ, როდესაც მსოფლიოში ჩაის პროდუქციაზე მოთხოვნა ყოველწლიურად 2-3 პროცენტით იზრდება. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა ნაკლებკოფეინიან ჩაიზე, რომელიც ძირითადად სწორედ საქართველოში იწარმოება.

დღეს, როდესაც ქვეყანაში მეტ-ნაკლები ინტენსიობით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის პროცესი, მეჩაიეობის დარგის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დაწყება იყო იმედისმომცემი, რომ ბოლოსდაბოლოს გატარდებოდა რეფორმისტული პოლიტიკა და აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერირების ფორმების გამოყენებით მოხდებოდა მეჩაიეობის დარგის რაციონალური ორგანიზაციული მოწყობა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მოლოდინი არ გამართლდა. პროგრამის ბიუჯეტი დაგეგმილი იყო 3.5 მლნ ლარის ოდენობით, რომლის ათვისების ეფექტიანობა დაბალია, რასაც განაპირობებს პროგრამაში ისეთი ნორმების გაუთვალისწინებლობა, რაც მორგებული

იქნებოდა ბენეფიციარების, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესაძლებლობებზე.

მნიშვნელოვანია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახით დღეს ქვეყანაში უკვე არსებობს ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელიც ორიენტირებულია არა დაქირავებული შრომის, არამედ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შრომითი რესურსის კაპიტალიზაციაზე და სამეწარმეო განვითარების სტიმულირებაზე, რაც არსებულ პირობებში წარმოადგენს მათი შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის, ადგილზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეალური პერსპექტივის შექმნის და რეგიონებში უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღების ყველაზე კარგ საშუალებას. ასეთი ტიპის სამეურნეო სისტემაში კოოპერატივის თითოეული წევრი შემოსავლების გაზრდის მიზნით დაინტერესებულია აწარმოოს უფრო მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქცია და ამავე დროს აქტიურად არის ჩართული გადამამუშავებელი საწარმოო პროცესების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სრულყოფაში, საბოლოო პროდუქციის რეალიზაციაში და ახორციელებს ერთიანი საწარმოო ციკლის მონიტორინგს სამეწარმეო საქმიანობის ყველა დონეზე. მეურნეობრიობის ეს ფორმა, ერთი მხრივ - საფუძველს უქმნის შემდგომ ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის უფრო მაღალი (მეორე, მესამე) დონის მქონე კოოპერაციული ფორმების შექმნას, ხოლო მეორეს მხრივ - ქმნის აგრარულ საწარმოთა დაფინანსებაში ახალი, ეფექტური ელემენტების შეტანის მოტივაციას. საქართველოს აგრარული სექტორის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც ძირითადად დაკავშირებულია 800000-მდე მცირემიწიანი ფერმერის მცირემასშტაბიან სამეურნეო საქმიანობასთან, მხოლოდ კოოპერაციული, ანუ ეკონომიკური და სოციალური სოლიდარობის სისტემის ხელშეწყობით არის შესაძლებელი რეგიონებში სიღარიბის დაძლევისა და ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბების რთული პროცესის განხორციელება.

„ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის“ მიხედ-

ვით, „სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებს შეასრულებს სააგენტოს მიერ წინასწარ შერჩეული რეაბილიტაციის განმახორციელებლი კომპანიებიდან ერთ-ერთი.“ სასოფლო-სამეურნეო სატატუსის მქონე კოოპერატივების შემთხვევაში მიზანშეწონილი და აუცილებელი იყო, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები შეესრულებინათ თვითონ კოოპერატივებს, რასაც ისინი განახორციელებდნენ მხოლოდ საკუთარი მეპაიეების შრომითი რესურსების გამოყენებით, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, რაც პროგრამით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან სახელმწიფო თანხებს გამოიყენებდა იმ რეალური პრობლემების მოსაგვარებლად (ნაკვეთების შემოღობვა, სასუქების და შხამქიმიკატების შესყიდვა და სხვა), რაზეც კოოპერატივებს მათი შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ჭირდებათ ქმედითი ფინანსური დახმარების აღმოჩენა. მითუმეტეს, რომ ხშირ შემთხვევაში (განსაკუთრებით ფერდობებზე განლაგებული ჩაის პლანტაციების პირობებში) ეს სამუშაოები შესასრულებელია მცირე მექანიზაციითა და ხელით.

შეზღუდული მატერიალური რესურსების პირობებში კოოპერატივების მეპაიეების შრომითი რესურსების სტიმულირება და ამოქმედება, მიმდინარე პერიოდში წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელმაც ჯეროვანი ასახვა უნდა ჰპოვოს შესაბამის სახელმწიფო პროგრამებში. გაწეულ სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე განხორციელდებოდა მონიტორინგი სოფლის მეურნეობის „პროექტების მართვის სააგენტოს“ მხრიდან, ხოლო სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ მხრიდან მათ მიმართ ისედაც ხორციელდება მონიტორინგი. კოოპერატივების ამ მნიშვნელოვანი რესურსის არდანახვა (შეგნებულად თუ შეუგნებლად) და გამოუყენებლობა იმთავითვე წარმოადგენდა სახელმწიფო ფულადი რესურსების არარაციონალური განკარგვის წინაპირობას.

გარდა ამისა, აღნიშნული სამუშაოების კოოპერატივების მიერ შესრულების შემთხვევაში შესაძლებელი იყო თანხა

სრულად ჭარმართულიყო უშუალოდ სარეაბილიტაციო ღონისძიებებზე, რომლის საერთო ღირებულება რეალურად 2-3-ჯერ აღემატება სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ თანხების მოცულობას, ხოლო პლანტაციების რეაბილიტაციის მიზნით ცალკე კომპანიის შერჩევა და მათზე ამ სამუშაოს დაკისრება, ნაკლებადეფექტურია, რადგან ისინი გადაიხდიან დღგ–ს, საშემოსავლო და მოგების გადასახადებს, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო დაფინანსების (2500 ლარი 1 ჰექტარზე) სულ მცირე მეოთხედი გადასახადებს მოხმარდება. მართალია ეს თანხა საბოლოოდ სახელმწიფო ბიუჯეტში აისახება, მაგრამ პროგრამაში მონაწილე სუბიექტებისთვის მნიშვნელოვან დანაკარგს წარმოადგენს.

ამავე პროგრამით, „კოოპერატივს უნდა ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები (საკუთარი ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის შემთხვევაში სარეაბილიტაციო სამუშაოების არანაკლებ 20 % და პროგრამის ფარგლებში იჯარის უფლებით მისაღები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის შემთხვევაში - არანაკლებ 10%) სარეაბილიტაციო სამუშაოების საკუთარი თანამონაწილეობის დასაფინანსებლად, რაც დადასტურებული უნდა იყოს ამონაწერით/ცნობით ბანკიდან ანგარიშზე თანხის არსებობის შესახებ.“

კოოპერატივის თანამონაწილეობის შესაბამისი თანხის არსებობის ბანკის ამონაწერით დადასტურება პრობლემატურია, რადგან კოოპერატივები პრაქტიკულად იმყოფებიან სტარტაპ-ის მდგომარეობაში და მათი აბსოლუტური უმრავლესობა განიცდის ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტს. პროგრამით გაუთვალისწინებელ სარეაბილიტაციო ღონისძიებებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მობილიზება-მოძიებასთან ერთად, პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ 5 ჰექტარი ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციაში თანამონაწილეობისთვის მათ დამატებით ჭირდებათ 2500 ლარი. აღნიშნული თანხები კოოპერატივების უმრავლესობას არ გააჩნია, ხოლო კომერციული ბანკები ამ მიზნით არ გაცემენ სესხებს თუნდაც იმ მოტივით, რომ რეაბილიტაციის პროცესი მოიცავს 2-3 წლი-

ან პერიოდს, რომლის განმავლობაში კოოპერატივები იქნებიან გადახდისუუნარონი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ მიიღებს მონაწილეობას „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამაში“ იმის გამო, რომ მათ თავიანთი კოოპერატივის ფარგლებში არა აქვთ დაგეგმილი გადამმუშავებელი საწარმოს მოწყობა, რადგან ამას ისინი გეგმავენ სხვა კოოპერატივებთან ერთად რესურსების გაერთიანებით მეორე დონის კოოპერატივის ფარგლებში, მასშტაბური წარმადობის საწარმოს შექმნის გზით, რაც წარმოების კონცენტრაციისა და სახელმწიფო სახსრების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილი და მხარდასაჭერია, ვიდრე პროგრამაში მონაწილე ყველა კოოპერატივის მიერ ცალცალკე გადამმუშავებელი საწარმოების შექმნა.

ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების უმრავლესობა ვერ მიიღებს მონაწილეობას ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში. მაშასადამე, ადრე განხორციელებული პროგრამების მსგავსად, ეს პროგრამაც გათვლილია დიდი ფართობების მქონე ინდივიდებზე ან შპს-ებზე, რომლებიც მხოლოდ დაქირავებული შრომის გამოყენებაზე არიან ორიენტირებული და ყველაზე უარეს შემთხვევაში სხვა ქვეყნების კომპანიების მოზიდვაზე მათთვის სახელმწიფო მიწების გადაცემაზე, რასაც აუცილებლად მოჰყვება უცხო ქვეყნის მოქალაქეების მასიური შემოდინება სამეურნეო სამუშაოებში მათი დასაქმების მოტივით იმ ტერიტორიებზე მათი მუდმივი დამკვიდრების მიზნით.

კოოპერაციული პროცესის მნიშვნელობის არასათანადო შეფასებიდან და ხშირ შემთხვევაში იგნორირებიდან გამომდინარე, უკვე აღარ არის გასაკვირი „საპარტნიორო ფონდის“ და საქართველოს მთავრობის აქტიური მხარდაჭერა მაჩაიეობის დარგში ჩინური კომპანიების შემოყვანის თაობაზე, რაც გულისხმობს მათზე სარგებლობის უფლებით 12 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციის გადაცემას, რაც აუცილებლად გამოიწვევს

ქვეყანაში ჩინელი მუშახელის შემოყვანას და მათ დასახლებას დასავლეთ საქართველოს ჩაის პლანტაციების გავრცელების ტერიტორიებზე, **გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში,** და ეს ხდება მაშინ, როდესაც მარტო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში უკვე შექმნილია ჩაის ფოთლის მწარმოებელი 19 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. ეს ყველაფერი აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ პროექტი თავიდანვე მიზანმიმართულად იქნა დაგეგმილი ისეთი დიზაინით, რომ გარანტირებული ყოფილიყო მისი წარუმატებლობა, რათა ნომენკლატურული კორუფციული ინტერესებიდან გამომდინარე მომხდარიყო ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობებით სამეწარმეო განვითარების პერსპექტივის დისკრედიტირება და ამ გზით შექმნილიყო უცხოური კომპანიების შემოყვანისა და მათზე ათასობით ჰექტარი ქართული მიწების გადაცემის მოტივაცია.

ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში ძალიან დიდ სიფრთხილეს და სიღრმისეულ გაანალიზებას მოითხოვს, რაშიც უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება და მზაობა განსახორციელებელი პროექტების მიმართ. მეჩაიეობის დარგში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შეიქმნა სწორედ იმ მიზნით, რომ მოსახლეობამ მოახდინოს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, მაღალხარისხიანი ჩაის ფოთლის წარმოება, გადამუშავება და ამ გზით შეიქმნას შემოსავლების ზრდისა და ადგილებზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა. გაუგებარი და ყოველგვარ რაციონალურ აზრს მოკლებულია, თუ რატომ არ შეიძლება, ნაცვლად ქვეყნის ერთერთი შემოსავლიანი დარგის მართვის სადავეების უცხოურ კომპანიებზე გადაცემისა და უცხო ტომის ადამიანების ჩამოსახლებისა, ბოლოსდაბოლოს ხელისუფლება ენდოს საკუთარ მოსახლეობას, რომლის გარკვეული ნაწილი იძულებულია მეზობელ ქვეყნებში წავიდეს ჩაის ფოთლის საკრეფად, როცა გააზრებული, უშუალოდ პროდუქციის მწარმოებელ ადამიანებზე გათვლილი პროგრამების განხორციელების შემთხვევაში არსებობს საკუთარ ქვეყანაში მათი დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის რეალური პერსპექტივა.

საბოლოოდ ისევ მივდივართ მთავარ საკითხთან, რომ აგრარული სექტორის დაფინანსება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რიგ კონკრეტულ საკითხებზე, რომელთა შორის ყველაზე მთავარია დაფინანსების მიმღები სუბიექტის სწორად განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების რაციონალურ გამოყენებას და ეფექტურ მართვას.

აღნიშნული პრობლემის სისტემური გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მეჩაიეობის დარგში მეურნეობრიობისათვის საჭირო პირობების შექმნას, ძლიერი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებას, მოსახლეობის აქტივობის გაძლიერებას, სამეურნეო საქმიანობაში მათ მასობრივ ჩართულობას, აღწარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რაც საბოლოო ანგარიშით შექმნის მყარ გარანტიებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

რა თქმა უნდა, შპს-ებსა და მოგებაზე ორიენტირებულ სხვა სამეწარმეო ფორმებს თავისი ადგილი და მნიშვნელობა გააჩნია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ თუ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა, უფრო ძლიერი მოტივები და შესაბამისად პროგრამები, რომლებიც ზემოქმედებენ საზოგადოების მრავალრიცხოვანი წევრების, როგორც სამეწარმეო სუბიექტების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, მაშინ სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებათა იგნორირება, ან მათი განხილვა შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებულ სხვა სამეწარმეო ფორმების, მათ შორის უცხოური კომპანიების ინტერესების პარიტეტულად, უნდა ჩაითვალოს როგორც უკეთეს შემთხვევაში გაუაზრებელი, ხოლო უარეს შემთხვევაში კარგად გააზრებულ „შეცდომად“. შესაბამისად, მთავრობისა და საპარტნიორო ფონდის ასეთი პოლიტიკა არანაირ გამართლებას არ ექვემდებარება, როგორც სახელმწიფო რესურსების რაციონალური განკარგვის, ასევე ეროვნული ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1. პაატა კოღუაშვილი, გადავაქციოთ ყოველი სოფელი მწარმოებელ ბრენდათ. „ეკონომიკა“, N1-2, 2015წ.

2. პაატა კოღუაშვილი, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებებია შესატანი. //„ეკონომიკა და ბიზნესი“, N2, 2016 წ.;

3. პაატა კოღუაშვილი, ს.ს. კოოპერატივების ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოებრივი აუცილებლობაა. //„ეკონომიკა“, N11-12, 2016 წ.;

4. „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა“. თბ. 2016წ.

5. სტატისტიკური კრებული: ქართული ჩაი. თბ. 1990წ.

6. რეზო ჯაბნიძე, პაატა კოღუაშვილი, მეჩაიეობის აღსადგენად, უფრო მასშტაბური სახელმწიფო პროგრამაა საჭირო. //„ახალი აგრარული საქართველო“, N5, 2016 წ.;

REHABILITATION OF TEA PLANTATIONS WITHOUT INVOLVEMENT OF GEORGIAN POPULATION IS FUNDAMENTALLY INCORRECT PROJECT

Paata Koghuashvili

RESUME

The article deals with the problems in the field of tea-growing, it is analyzed and showed state tea-growing program, its shortcomings and proposes appropriate suggestions. The paper emphasizes that tea-growing is one of the leading sector of the economy was still in the last century in 80s employed 180 thousand households. In recent decades, the tea plantation area has decreased dramatically and the industry faced a danger of total destruction.

The author emphasizes that the program expectations are not implemented, the program of agricultural cooperatives investment due to unacceptable norms. The Government and Partnership Fund policy, which supposes placing 12 thousand hectares of tea plantations for 49 year long lease under China Companies' control, is unreasonable from the point of view of rational management of state resources and protection of national interests.

Keywords: tea, the state program, rehabilitation, co-operative, integration, reform.

ინოვაციური მენეჯმენტი როგორც „პირადი კეთილდღეობის“ შექმნის საფუძველი

ირმა ჩხაიძე
ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

რეზიუმე

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში „საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ შექმნას განაპირობებს როგორც სახელმწიფო „საერთო საზოგადოებრივი“ კეთილდღეობით, ასევე ბიზნეს სექტორი „ინდივიდუალური კეთილდღეობით“ . ეს უკანასკნელი ეფუძვნება „პირადი კეთილდღეობის“ შექმნას და ითვალისწინებს, ერთი მხრივ, ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მოპოვებას ან შენარჩუნებას და, მეორე მხრივ „საზოგადოებისათვის არაწინააღმდეგობრივი“ კეთილდღეობის შექმნის საფუძველზე მაქსიმალური მოგების მიღებას.

ზოგადად, კომპანიის მიერ „პირადი კეთილდღეობის“ შექმნის მიზანია მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება მოგების მიღების მიზნით. **მსოფლიოში ცნობილი ლიდერი კომპანიების** „Levi Strauss & Co“, „J.D. Power & Associates“, „Wal-Mart“, „Gillette“, „Ford Motor“ მოქმედების ძირითადი პრინციპი დამყარებულია, ერთი მხრივ, იმაზე, რომ განახორციელონ „პირადი კეთილდღეობის“ შექმნის მიზნით მათ მიერ წარმოებული საქონლით მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, შენარჩუნება და მათი რიცხვის ზრდა ინოვაცი-

ური ბიზნეს პროექტების განხორციელებით, და, მეორე მხრივ, თავისი მომხმარებლებისათვის ან მომავალი მომხმარებელისათვის როგორი და რა დონის „ინდივიდუალური“ კეთილდღეობის წარმოებას განახორციელებენ.

მსოფლიოში ცნობილი ლიდერი ინოვატორი კომპანიების მიზანდასახულობაა კომპანიის განვითარებისა და მოქმედებისათვის პერიოდულად წარმოშობილი პრობლემების აღმოსაფხვრელად გადავიდეს ყოველ ახალ ინოვაციურ ეტაპზე და განსაზღვროს ინოვაციურობის ეფექტიანობა.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური მენეჯმენტი, „პირადი კეთილდღეობა“, „საზოგადოებრივი კეთილდღეობა“, ინოვაციური ბიზნეს პროექტები.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში ცნობილი ლიდერი „Gillette“ კომპანის უმთავრესი მიზანი იყო (დამფუძნებელის კინგ კემპ ჟილეტის) „პირადი კეთილდღეობა“ შეექმნა ისეთი ინოვაციური საქონლის გამოგონებითა და წარმოებით, რომელიც მალე შევიდოდა ამერიკელის ცხოვრებაში, რომელიც „ყოველთვის დასჭირდებოდა მომხმარებელს და წლობით კი არ შეინახავდა, არამედ მოიხმარდა და გადააგდებდა“. კ.კ. ჟილეტის მიერ აღნიშნული ახალი საქონლის გამოყენების კულტურა საფუძვლად ედება 1895 წელს ჟილეტის წინაშე პირადი პრობლემის საფუძველზე წარმოშობილ ბიზნეს იდეას-საპარს სამართებელზე. კ. ჟილეტი აღნიშნავს, რომ „ერთ მშვენიერ დღეს ვიდექი და დაბნეული ვუყურებდი გაბლაგვულ საპარს სამართებელს და სწორედ მაშინ დამებადა იდეა. ყოველ შემთხვევაში ის ზუსტად ვიცი, რომ იმ მომენტში დაიბადა ჟილეტის საპარსი“.[1]

აქვე აღსანიშნავია კინგის მიერ, ერთი მხრივ, ბიზნეს იდეის წარმოშობის პარალელურად რეპრეზენტაციის ჩარჩოს წარმოსახვა, რომ „მე მთლიანად დავინახე ჟილეტის საპარსი“ და, მეორე მხრივ, მის წინაშე ერთ წამში დასმული უამრავი

1 მ.თეთრუაშვილი, ზ.თეთრუაშვილი, ი.თეთრუაშვილი, „საკუთარი ბიზნესი: პირველი ნაბიჯი“, გვ.97

შეკითხვის საფუძველზე ხორციელდებოდა რეპრეზენტაციის ჩარჩოს ზრდა და რომ „ყოველი კითხვისათვის აღმომაჩნდა პასუხი“, რამაც ჟილეტი რეალურ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა.

კ. ჟილეტის მიერ საწყის ეტაპზე „ინოვაციური ცოდნის“ არაეფექტური მართვა განაპირობა იმ უმთავრესმა მიზანმა, რომ ბიზნეს პროექტის განხორციელების დროს არ გაითვალისწინა პროექტზე მოქმედი შემზღუდველი ფაქტორებიდან-მაღალ ხარისხიანი ფოლადის ფირფიტის აუცილებლობა (რის გამოც ჟილეტის ხარისხიანად შემუშავებისათვის 5 წლის მანძილზე 25000$ დახარჯა), რაც პირდაპირ კავშირში იყო ფოლადის სიმტკიცის და გამოწრთობის ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებასთან. ბიზნეს პროექტზე მოქმედი შემზღუდველი ფაქტორის უზრუნველმყოფელ ფაქტორად გადაქცევა მან შესძლო მხოლოდ უილიამ ნიკოლსონის (1900 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული) ინოვაციური ცოდნის რელიზების შემდეგ, რომელმაც შეიმუშავა ფოლადის სიმტკიცის ახალი ტექნოლოგიები. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟილეტი მიზნის მიღწევამდე საკუთარი ცოდნის შესაძლებლობებს უარყოფითად აფასებდა და აღნიშნავდა: „ტექნიკური გაუნათლებლობის გამო ვერ გავითვალისწინე, რომ გაცილებით მაღალხარისხიანი და ძვირადღირებული ფოლადი მჭირდებოდა“. ჟილეტის წარმატების მიღწევის შემდეგ მისი ქმედება შეფასდა შემდეგნაირად, რომ „ჟილეტს შესაბამისი ტექნიკური განათლება, რომ ჰქონოდა, თავის განზრახვაზე ძალიან მალე ჩაიქნევდა ხელს“[1].

1901 წელს დაფუძნებული „American Safety bazor“ კომპანია და შემდგომ საზოგადოებისათვის „Gillette Safety bazor“ სახელწოდებით ცნობილი კომპანიის მიერ შექმნილი „პირადი კეთილდღეობა“ აისახება წლების მანძილზე მათ მიერ წარმოებული საქონლის სწრაფი და მზარდი რეალიზაციით. „Gillette Safety bazor“ კომპანიამ 1903 წელს ერთჯერადი საპარსი სამართებლით დააკმაყოფილა 219, ხოლო 1904 წელს 91 123 მომხმარებელთა მოთხოვნა. 1908 წელს კომპანიის ბრუნვამ 13

1 იქვე, გვ.100

მლნ დოლარს მიაღწია. 1921 წლისათვის კი კომპანიის შემოსავალმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, რასაც განაპირობებდა 20 წლიან პატენტზე (პატენტის ვადის ამოწურვამდე 6 თვით ადრე) ახალი მოდელის საპარსის შემუშავება, რომლის ღირებულება 4-ჯერ შემცირდა და 1$ შეადგენდა. დღეისათვის კომპანია „Gillette“ ფლობს თავისი პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებს 14 ქვეყანაში, ხოლო მის მიერ წარმოებული საქონლის რეალიზაციით საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნას განახორციელებს 200-ზე მეტ ქვეყანაში და მსოფლიო რეგიონებში.

ამრიგად, კომპანია „Gillette“, რომელმაც მსოფლიო დაიპყრო „პირადი კეთილდღეობის“ შექმნის პარალელურად ის ყოველთვის ზრუნავდა და ზრუნავს „არაწინააღმდეგობრივი საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ შექმნაზე, რაც ნალად აისახებოდა ჯერ კიდევ 1926 წელს კ.ჟილეტის სიტყვებში, რომ „მე არ ვიცი სხვა ასეთი საქონელი ყოველდღიურ მოთხოვნაზე, როგორც ჩვენი კომპანიის მიერ წარმოებული საქონელი. ჩემს მოგზაურობაში მე შევხვდი მას ყველგან. ეს იყო დასაწყისი, ასე რომ „Gillette“ მიერ წარმოებული საქონელი უახლესი 50 წელში დაიპყრობს მთელ მსოფლიოს“. კომპანიის მიერ თანამედროვე ეტაპზე „არაწინააღმდეგობრივი საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ შექმნაზე მეტყველებს მის მიერ წარმოებულ ძირითად პროდუქციათა (ბრიტვები, კოსმეტიკური საშუალებები, საკანცელარიო საქონელი, ელექტრობრიტვები, მცირე საყოფაცხოვრებო ტექნიკა, და სხვა) მრავალფეროვნება და მუდმივი ინოვაციურობა.

კ.ჟილეტი ისტორიაში დარჩა ცნობილი, როგორც „ყველაზე დიდი წვრილმანის ინოვატორი და მწარმოებელი“, რომელმაც შექმნა ერთჯერადი საქონლის ინდუსტრია, რომელიც ითვლება არა მხოლოდ წვერის საპარსის გამომგონებლად, არამედ სათავე დაუდო ერთჯერადი ცხვირსახოცების, სანთლების, თეფშების, ჭიქების შექმნის იდეას, რომლითაც (საჭიროების შემთხვევაში) სარგებლობს მსოფლიო მოსახლეობა, ანუ საჭიროების შემთხვევაში მომხმარებელს შეუქმნა „არაწინაარმდე-

გობრივი კეთილდღეობა“.

ისტორიაში კ.კ.ჟილეტის მსგავსად გენიალურ ინოვატორად და ორგანიზატორად სახელდება „Ford Motor“ კომპანის დამფუძნებელი ჰენრი ფორდი. **კომპანია „Ford Motor“ უმთავრესი მიზანი** იყო „პირადი კეთილდღეობის“ შექმნა (1893 წელი) საავტომობილო სამყაროში ინოვაციურ იდეათა მრავალფეროვნებით. 1919 წლიდან ჰენრი ფორდი „Ford Motor“ კომპანის აქციათა 100% საავტომობილო იმპერიის მფლობელი გახდა. 1947 წლიდან ფორდის „სამრეწველო სამეფომ“ „Ford Motor“ კომპანიამ ერთპიროვნული კონტროლი დაკარგა და დღეისათვის „Ford Motor“ „სს“ კომპანის აქციების 40%-ი ოჯახს ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი 60% ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე თავისუფლად მიმოიქცევა. თანამედროვე ეტაპზე კომპანია უმსხვილეს ამერიკულ კომპანიებს შორის მეშვიდეა, ხოლო მსოფლიო რეიტინგში მეთორმეტე.

ინოვაციური ცოდნის გამოყენება კომპანიის წარმატების საიდუმლო პრინციპებშია, ეს კი თანამედროვე ეტაპზე ნათლად აისახება „Ford Motor“ კომპანის ინოვაციურ ტექნოლოგიებში. კომპანია ცდილობს წლების განმავლობაში „პირადი კეთილდღეობა“ შეიქმნას ინტელექტუალური და საიდულმო ინოვაციური ტექნოლოგიებით და შესძლოს არა მხოლოდ მომხმარებელთა და ახალი მძღოლების (ქალბატონები) სახით წარმოდგენილ მომავალ მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება მაღალი ხარისხის სხვადასხვა სახის ავტომანქანებით, არამედ სარბოლო მანქანების წარმოებით ავტომრბოლელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ინოვაციურ სფეროში ლიდერობის შესანარჩუნებლად კომპანია მუდმივად სრულყოფს მათ მიერ წარმოებულ ავტომანქანებს, მუშაობს დინამიურად დიზაინზე და გარე იერსახეზე, აუმჯობესებს ინტუიციურად აღქმადი ფუნქციების ნაკრებს, შიდა სალონის სტილს და ხარისხს.

„პირადი კეთილდღეობის“ შექმნისათვის „ინოვაციური ცოდნის“ რეალიზების ერთერთ მნიშვნელოვან საფუძვლად შესაძლებელია დასახელდეს ნებისმიერ კომპანიაში პერიოდულად

თავისი არსებობის მანძილზე წარმოშობილი პრობლემები, რაც დიდ გავლენას ახდენს მის მომავალზე და განსაზღვრავს ბაზარზე ლიდერობის უპირატესობას. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ Mმსგავსი საბედისწერო პრობლემის წინაშე აღმოჩნდა მსოფლიოში წამყვანი კომპანიებიდან Levi Strauss & Co.

კომპანია Levi Strauss & Co უმთავრესი მიზანია „საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნის საფუძველზე „პირადი კეთილდღეობის“ შექმნა. Levi Strauss & Co ლიდერობის მოპოვებამდე მის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა ევროპის ეთიკის კოდექსის (ბანგლადეში, 1992 წელი) დარღვევა, რომლითაც იკრძალებოდა ქარხანაში არასრულწლოვანთა დასაქმება. გადაწყვეტილება, რომელიც მენეჯმენტმა მიიღო, იყო უჩვეულო და ინოვაციური, რომელიც ითვალისწინებდა არასრულწლოვანთა დათხოვნას, სკოლაში სწავლისათვის მათზე ხელფასის გადახდას და სრულწლოვან ასაკში ქარხანაში ძველ ადგილზე დაბრუნებას. ამ გადაწყვეტილებამ Levi's-ს ორმაგი სარგებელი მოუტანა. ერთი ის, რომ თავიდან აიცილა საზოგადოებაში რეპუტაციის შებღალვა, პირიქით მოწონება და აღიარება დაიმსახურა და მეორე, დაიწყო მაღალკვალიფიცირებული კადრების მომზადება.

ინოვაციური ცოდნის რეალიზების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად ასევე სახელდება კომპანია J.D. Power & Associates-ის მიერ გამოქვეყნებული მორიგი კვლევის, Wireless Mobile Phone evaluation Study-ის შედეგად შედგენილი მობილური ტელეფონების ბრენდების რეიტინგი. Kკვლევა რამოდენიმე ფაქტორს ითვალისწინებდა: ტელეფონის დიზაინი, კვების წყაროს ხარისხი, ფუნქციები და ა.შ. ამერიკელების აზრით, ყველაზე მეტად ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს Sony Ericsson, რომელსაც რეიტინგში მოყვებიან: LG, Samsung, Motorola, Sanyo, Kayocera და Nokia. გამოკითხულთა 41%-მობილური ტელეფონის შეძენისას მის დიზაინს აქცევს ყურადღებას, 22%-ფუნქციებს, 20%-ტექნიკურ უპირატესობას, 19%-გამძლეობას.

ინოვაციები კომპანიაში პრობლემების დასაძლევად და „პირადი კეთილდღეობის“ შექმნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნე-

ლოვანია. ეს კი მენეჯერებს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს, რათა მათ არ დაიშურონ დრო და ენერგია, რომ ყველა მდგომარეობიდან იპოვოს შესაბამისი და ეფექტური გამოსავალი.

აღსანიშნავია, რომ ინოვაციური ცოდნის გამოყენება კომპანიის წარმატების საიდუმლო პრინციპებშია. კერძოდ 1962 წელს ახლადგახსნილ კომპანიას Wal-Mart (სემ უოლტონმა ძმასთან ერთად ქ.როჯერსში -არკანზასი, Aაშშ- გახსნა, რომელიც დაბალი საცალო ფასებით ვაჭრობდა პირველი მაღაზია იყო) ხანმოკლე სიცოცხლე უწინასწარმეტყველეს. Kკომპანიის წარმატების საიდუმლო „მიზნობრივი ბაზრის არჩევა და მასზე პოზიციონირება“ აღმოჩნდა, რომლის საფუძვლადაც მაღაზიის ქსელი გაფართოვდა და აშშ-ის დიდ ქალაქებში ადგილის დამკვიდრების შემდეგ საერთაშორისო ბაზარზეც გავიდა. ექსპერტთა შეფასებით Wal-Mart Bბოლო წლებში ახალ ბაზარზე მუშაობის საკუთარი მეთოდების გამოყენებით კომპანიის ყოველწლიურმა ბრუნვამ 140 მილიარდ დოლარს გადააჭარბა და სულ მალე საცალო ვაჭრობის სფეროში ყველაზე გავლენიანი კომპანია გახდა. ამგვარი წარმატების საიდუმლო Wal-Mart-ის პრინციპებშია, და სწორედ მათი განხორციელებისათვის კომპანია ითვალისწინებს კლიენტის მოთხოვნებს, ზრუნავს მათთვის კეთილდღეობის შექმნაზე და პარალელურად ცდილობს თანამშრომლებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას და ხარჯებზე მკაცრი კონტროლის დაწესებას.

დასკვნა

თანამედროვე გლობალურ გარემოში, ბაზარზე მკაცრი კონკურენციის პირობებში კონკურენტუნარიანობის მოპოვებისათვის კომპანიების მოქმედების ძირითადი პრინციპი უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას და შენარჩუნებას, არამედ მომხარებელთა რიცხვის ზრდას ინოვაციური ბიზნეს პროექტების განხორციელებით, რასაც საფუძვლად უდევს კომპანიის „პირადი კეთილდღეობის“ შექმნა, ანუ მაქსიმალური მოგების მიღება.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მსოფლიოში ცნობილი კომპანიე-

ბის მსგავსად Levi Strauss & Co, J.D. Power & Associates, Wal-Mart, „Gillette“ და „Ford Motor“ კომპანიები უმთავრესი მიზნის -„პირადი კეთილდღეობის“ შექმნისათვის შემუშავებული ინოვაციური ბიზნეს პროექტების რეალიზებით გადავიდნენ განვითარების ახალ ინოვაციურ ეტაპებზე, რომელიც გულისხმობს სიახლეთა გამოყენების პროცესის განხორციელებას გააზრებულად და მიზანდასახულად არა მხოლოდ კომპანიის დაფუძნებისათვის, არამედ განვითარებისა და მოქმედების პერიოდში პერიოდულად წარმოშობილი პრობლემების აღმოსაფხვრელად, რაც დიდ გავლენას ახდენს კოომპანიის მომავალზე და განსაზღვრავს კომპანიის ლიდერობას. კომპანიის მიერ შემუშავებული ინოვაცია განიხილება პრობლემების გადაწყვეტის მთავარ ინსტრუმენტად, რომლის რეალიზება და მართვა შეუძლებელია ინოვაციური ცოდნის გარეშე.

ლიტერატურა:

1. მ. თეთრუაშვილი, ზ. თეთრუაშვილი, ი. თეთრუაშვილი, „საკუთარი ბიზნესი პირველი ნაბიჯები“ (ბიზნეს-იდეიდან ბიზნესის იურიდიულ გაფორმებამდე), გორი 2008

2. П.Д. Патсула Бизнес-план за 30 днейб мос. 2008

3. http://geronia.blogspot.com/2011/05/levi-strauss.html

4. http://www.ford.com.ge

5. https://bpn.ge/persona/2531-king-zhileti-yvelaze-didebuli-tsvrilmanis-gamomgonebeli.html?lang=ka-GE

REFERENCES:

1. M. Tetruashvili, I. Tetruashvili, Z. Tetruashvili: „Private business: Firs steps”, „From the business idea to business legally registration” Gori 2008.

2. P.L Patsula, „Business Plan in 30 days” Moscow 2008

3. http://geronia.blogspot.com/2011/05/levi-strauss.html

4. http://www.ford.com.ge

5. https://bpn.ge/persona/2531-king-zhileti-yvelaze-didebuli-tsvrilmanis-gamomgonebeli.html?lang=ka-GE

INNOVATIVE MANAGEMENT AS THE BASIS OF CREATING „PERSONAL WELLBEING"

Irma Chkhaidze,
Doctor of Economics,
Associate Professor , Batumi Shota
Rustaveli State University

RESUME

The present article represents the two leading companies in the world „Levi Strauss & Co", „J.D. Power & Associates", „Wal-Mart", „Gillette", „Ford Motor", which, on the one hand, try to retain the customers with the production manufactured in order to create „personal wellbeing" and to increase their number by means of designing innovative business projects, and on the other hand, they will provide the production of „individual" wellbeing for their customers or future customers.

Here are formulated the objectives of the founders of well-known innovators of „Levi Strauss & Co", „J.D. Power & Associates", „Wal-Mart", „Gillette" and „Ford Motor" companies moving onto innovative stages and determining the innovative efficiency for eliminating the periodical problems taking place during not only the foundation but also during their activities.

On the innovative stage of XXI century, it is defined here the technological conditions of „Gillette" and „Ford Motor", „Levi Strauss & Co", „J.D. Power & Associates", „Wal-Mart" companies, which have served to demands of the permanent and future customers which is the basis of creating „personal wellbeing".

Key words: Innovation management, "Private welfare", „Social Welfare" , Projects about the innovation business.

ლოგიკური ფუნქციის საშუალებით მოთხოვნის პროგნოზირება

ნანა კირვალიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
კოლეჯი „ორიენტირი“

მაია ჯეგბაშვილი
კოლეჯ „ორიენტირი“-ს
სასწავლო განყოფილების უფროსი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მოთხოვნის პროგნოზირების ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების მნიშვნელობა. ხაზგასმულია, რომ საქონელზე, მომსახურებაზე მოთხოვნა ყალიბდება მრავალი ფაქტორის ზეგავლენით. უნდა ავირჩიოთ მხოლოდ არსებითი, სპეციფიკური და განზომილებადი ფაქტორები, სასურველია პროგნოზი ნატურალურ ერთეულში. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის საშუალებით ვიგებთ მოთხოვნის სიდიდეს დამოუკიდებელი ცვლადების და მათი განმსაზღვრელი ფაქტორების საშუალებით.

სტატიაში ილუსტრირებულია ლოგიკური ფუნქციის საშუალებით მოთხოვნის მოცულობის განსაზღვრა კონკრეტული მარკის პროდუქციაზე საწარმოში. ანალიზით დადგენილია, რომ სამომხმარებლო საქონლის საცალო საქონელბრუნვასა და დროის ფაქტორს შორის არსებობს ლოგიკური კავშირი. გამოთვლის შედეგად მიღებულია საპროგნოზო წელს მოსალოდნელი რეალიზაციის მოცულობა, რომელიც მოთხოვნას გამოხატავს. გამოთვლის სიზუსტე შეფასებულია კორელაციის ინდექსით. კორელაციის ინდექსის მნიშვნელობა მიუთითებს ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის სიზუსტეზე. შედეგის კორექტირება შეიძლება ბაზრის კონიუქტურის და მარკეტინგული ღონიძიებების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: მოთხოვნა, პროგნოზირება, ლოგიკური ფუნქცია, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები, ფუნქ-

ცია, განტოლების პარამეტრები, რელიზაციის მოცულობა, კორელაციის ინდექსი.

შესავალი

მოთხოვნის პროგნოზირების მიზნით გამოყენებული მეთოდებიდან ერთ-ერთი მეთოდია ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდი. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო დროს შეიმჩნევა ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების მიმართ უყურადღებობა და საერთოდ იგნორირებაც, იმ საბაბით, რომ ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებით მოთხოვნის პროგნოზირებამ საბაზრო ეკონომიკაში არ გაამართლა, მას მხოლოდ იყენებენ სოციალისტურ ეკონომიკაში და ა.შ., რაც ჩვენი აზრით არასწორია. ამოცანა ის არის, რომ საჭიროა მოთხოვნის პროგნოზირების ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების სათანადოდ შეფასება. აპრობირებული მეთოდების თავმოყრა და მოწესრიგება, მათი რაციონალურად გამოყენება. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების შედეგები, რა თქმა უნდა, არ არის ზუსტი და უტყუარი, შედეგების კორექტირება ყოველთვის შეიძლება ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით. სტატიაში განხილულია მხოლოდ ლოგიკური ფანქციის საშუალებით მოთხოვნის პროგნოზირება სამომხმარებლო საქონელზე.

ძირითადი ნაწილი

სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნა ყალიბდება მრავალი ფაქტორის ზეგავლენით. უნდა ავირჩიოთ მხოლოდ არსებითი, განზომილებადი და სპეციფიკური ფაქტორები, ჩავატაროთ ცალკეული ფაქტორების მოთხოვნაზე ზემოქმედების ხარისხის დეტალური ანალიზი, რაოდენობრივი შეფასება, შესწავლა დინამიკაში და ტრანსფორმაცია. საუბარია საბაზრო მინიმუმზე. „გაყიდვების რაღაც საბაზრო დონეზე, რომელიც შეიძლება არსებობდეს მოთხოვნის სტიმულირებაზე რაიმე ხარჯების არარსებობისას.“[1] თანამედროვე პირობებში გრძელ-

1 **გ. ნანიტაშვილი, გ. შუბლაძე, „მარკეტინგის მენეჯმენტი“, თბილისი, „უნივერსალი“ 2014წ., გვ. 126**

ვადიანი და საშუალოვადიანი პროგნოზი არარაციონალურია. უპირატესობა ენიჭება მოკლევადიან პროგნოზს, სასურველია მოთხოვნის პროგნოზი ნატურალურ ერთეულებში. სარგებლობენ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებით, რომელიც ასახავს ბაზრის ცალკეული სეგმენტის მოთხოვნას სხვადასხვა სასაქონლო პოზიციაზე არსებული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური და სხვა პირობების გათვალისწინებით. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის საშულებით ვიგებთ მომავალში დამოუკიდებელი ცვლადის (მოთხოვნა) მნიშვნელობას დამოუკიდებელი ცვლადების ან მათი განმსაზღვრელი ფაქტორების საშუალებით. ჩვენ განვიხილავთ ამ მეთოდს ცალკეული სასაქონლო ჯგუფის თავისებურებებიდან გამომდინარე.

მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირებისას განსაზღვრავენ როგორც ცალკეული ჯგუფის და სახეობის საქონელზე მოთხოვნის მოცულობას და სტრუქტურას, ასევე შიდა ჯგუფურ (ზომები, მოდელები, მარკები) სტრუქტურასაც.

ცალკეული მოდელის, მარკის საქონელზე მოთხოვნის განსაზღვრისათვის სარგებლობენ ლოგიკური ფუნქციით. თუŭ მოთხოვნის განმსაზღვრელ სიდიდეებს შორის არსებობს ლოგიკური დამოკიდებულება, ვისარგებლებთ ფორმულით:

$$y = \frac{H}{1 + ax^{-bt}},$$

სადაც, a და b– განტოლების პარამეტრებია;

y – რეალიზაციის მოცულობა, როდესაც გრაფიკის მრუდი აბცისთა ღერძის პარალელურია;

x – ბაზრის გაჯერებისათვის საჭირო დროის მონაკვეთი;

t – საპროგნოზო პერიოდია, როდესაც $t = -\infty$, $y=0$,

როდესაც $t = +\infty$, $y=H$

ფუნქციის გრაფიკისათვის თავდაპირველად დამახასიათებელია მკვეთრი ზრდა, შემდეგ იგი მცირე მონაკვეთზე აბცისთა

ღერძის პარალელური ხდება. ამ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის გამოყენება მიზანშეწონილია კონკრეტული მოდელის, მარკის საქონლით გაჯერებული ბაზრის დროს, როდესაც დროის მოცემულ მონაკვეთში ყველა მსურველმა შეიძინა კონკრეტული საქონელი.

მოვახდინოთ განხილული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის ილუსტრირება საწარმოში, რომელიც ვაჭრობს მსუბუქი ავტომანქანებით. ანალიზით დავადგინეთ, რომ კონკრეტული მოდელის ავტომანქანის საცალო საქონელბრუნვასა (Y) და დროის ფაქტორს (x) შორის არსებობს ლოგიკური კავშირი. მოთხოვნის მრუდს ექნება შემდეგი სახე (იხ. ნახ. 1)



ნახ. 1. ლოგიკური დამოკიდებულების მრუდი

განვსაზღვროთ მიკრომოთხოვნის მოცულობა საანალიზო წელს, რისთვისაც შევადგინოთ დამხმარე ცხრილი (რიცხვები პირობითია. იხ. ცხრ. 1)

x	y	X y	x^2
1	30	30	1
2	67	134	4
3	70	210	9
$\sum_{i=1}^{n} x = 6$	$\sum_{i=1}^{n} y = 167$	$\sum_{i=1}^{n} xy = 374$	$\sum_{i=1}^{n} x^2 = 14$

განტოლების a პარამეტრი განსაზღვრავს კონკრეტული მარკის ავტომანქანის რეალიზაციის მოცულობის თანაფარდობის t = 0 დროს და რეალიზაციის ზღვარს შორის

$$a = \frac{Q\ (t_o)}{Q} - 1$$

b პარამეტრი განსაზღვრავს რეალიზაციის მოცულობის ზრდის ტემპს დროის გარკვეულ მონაკვეთში.

თუ y_{min} = 0, ხოლო Q = 100% (70) ან 1-ლოგიკური ფუნქცია შეიძლება გამოვსახოთ ფორმულით

$$y = \frac{1}{x^{(a+bt)} + 1}$$

გამოვთვალოთ a და b კოეფიციენტები;

$$y = \frac{1}{y^{(a+bt)} + 1} = \frac{1}{4^{(-1+(-2)\cdot 1)} + 1} = \frac{1}{4^{-3} + 1} + \frac{1}{\frac{1}{64} + 1} =$$

$$= \frac{1}{1\frac{1}{64}} = \frac{1}{\frac{65}{64}} = \frac{64}{65} = 0{,}98$$

საპროგნოზო წელს ფირმაში კონკრეტული მარკის ავტომანქანის რეალიზაციის მოცულობა, რომელიც მოთხოვნას გამოხატავს (70 · 0,98 ≈ 69) 69 ცალია, ე.ი. ავტომანქანის ეს მარკა არის სასიცოცხლო ციკლის სიმწიფის ფაზაში ან დაცემის ფაზის დასაწყისში. გამოთვლის სიზუსტეს შეაფასებენ კოალიციის ინდექსით.

$$R = \sqrt{1 - \frac{\sum_{i=1}^{n}(\tilde{y} - \bar{y})^2}{\sum_{i=1}^{n}(y_i - \tilde{y})^2}} = \sqrt{1 - \frac{96{,}02}{1600}} =$$

$$= \sqrt{1 - 0{,}06} = \sqrt{0{,}94} = 0{,}97$$

R<1 კორელაციის ინდექსის მნიშვნელობა მიუთითებს ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის სიზუსტეზე. მიღებული შედეგების კორექტირება შეიძლება ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით. საბაზრო მინიმუმის ზრდა საბაზრო პოტენციალამდე შესაძლებელია (მოთხოვნის ზედა ზღვარი) ფასის შემცირების და მოთხოვნის სტიმულირებისათვის გაწეული დანახარჯების შედეგად.

დასკვნა

სტატიაში განხილულია მოთხოვნის პროგნოზირების ტიპური მოდელი. ამ მოდელის გამოყენება შეიძლება საწარმოში ცალკეული მარკის საქონელზე მოთხოვნის განსაზღვრისათვის, ასევე რეგიონში, ქვეყანაში მოთხოვნის პროგნოზირებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მარკეტინგის საფუძვლები, გ. შუბლაძის რედაქციით, თბ, „უნივერსალი“, 2009 წ. გვ. 143, გვ. 151-154;

2. ნანიტაშვილი მ., შუბლაძე გ., მარკეტრინგის მენეჯმენტი, თბ. „უნივერსალი, 2014 წ. გვ. 124-130;

3. Голубков Е.П., Маркетинговые исследования: теория, методология и практика, М, 2003, ст. 464-466;

4. კირვალიძე ნ., ნანიკაშვილი., ლოგიკური ფუნქციის საშუალებით სამრეწველო საქონელზე მოთხოვნის პროგნოზირება „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, VIგამოშვება (სამეცნიერო შრომებისკრებული), თსუ, 2005 წ.

REFERENCES

1. Basics of marketing G..shubladze' tb. Universal 2009 pg151-154 (Georgian edition) marketing tb.universal 2014 pg 124-130(Georgian edition)

2. M.nanitashvili, G.shubladze,,marketingmanegment'' t. universal2014 pg124-130(Georgian edition)

3. E.P. golubkov'' marketing research:theory, methodology and practice M2003 pg364-466(Russian edition)

4. N.kirvalidze,C.nanikashvili;; projection of Deamand for the industrial goods thrugh the logical funticion. Actual challnges marketing VI edition ccolection of scientific works TSU 2005 (Georg

DEMAND FORECAST BY LOGICAL FUNCTION

Nana kirvalidze,
Ac. Doctor of Economics, College " Orientiri "
Maia jebashvili ,
Head of Teaching Department, College " Orientiri "

RESUME

When studying and projecting of demand, the volume and the structure of structure of separate brand and model have to be defined. The option between the principal, specific and quantitative estimated demands effecting factors has to be made. The projection of demand for the separate models and brands of industrial good in the commercial enterprise trough the logical function has been discussed in this article. The model has been illustrated on the example of the enterprise dealing with the sale light car between the volume of realized goods and the time has been revealed. The volume of micro-demand has been defined. The accuracy of result has been defined through the index of correlation. The amendment of received result can be made by consideration of make conjuncture.

Key words: Demand, economic-mathematical models, logical function, parameters, volume of realize, index of correlation.

პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიებზე სამუშაოების მართვა

ქეთევან კიწმარიშვილი
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

პროდუქციის, მოცემულ შემთხვევაში ახალი ტექნიკის სასიცოცხლო ციკლი შედგება სხვადასხვა სტადიებისგან, რომელთა განმავლობაში იდეა ტრანსფორმირდება ახალ ტექნიკაში. მის სასიცოცხლო ციკლის საწყის სტადიას წარმოადგენს სამენციერო-კვლევითი სამუშაოები (სკს), რომლებიც ტარდება ერთიანი ტექნიკური დავალების ფარგლებში (ტდ).

საკვანძო სიტყვები: ტექნიკური დავალების შემუშავება; კვლევების მიმართულებათა არჩევა; თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების ჩატარება; შედეგების განზოგადოება და შეფასება.

შესავალი

პროდუქციის, მოცემულ შემთხვევაში ახალი ტექნიკის სასიცოცხლო ციკლი შედგება სხვადასხვა სტადიებისგან, რომელთა განმავლობაში იდეა ტრანსფორმირდება ახალ ტექნიკაში. მის სასიცოცხლო ციკლის საწყის სტადიას წარმოადგენს სამენციერო-კვლევითი სამუშაოები (სკს), რომლებიც ტარდება ერთიანი ტექნიკური დავალების ფარგლებში (ტდ). ტექნიკური დავალების შემუშავება; კვლევების მიმართულებათა არჩევა; თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების ჩატარება; შედეგების განზოგადოება და შეფასება.

ძირითადი ნაწილი

ტექნიკური დავალება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაწყებისთვის აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენს. მასში განსაზღვრულია მისი მიზანი, შინაარსი, სამუშაოების ჩატარების რიგითობა და შედეგების რეალიზაციის საშუალებები.

ეს დოკუმენტი შეთანხმებულია დამკვეთთან. დამთავრებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო განიხილება სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოზე ან სექციაში, სადაც ფასდება ტექნიკური დავალების სამუშაოების შესაბამისობა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებთან, დასკვნებისა და რეკომენდაციების დასაბუთებულობა და მიიღება გადაწყვეტილება სასიცოცხლო ციკლის შემდეგ სტადიებზე ამ სამუშაოს გაგრძელების შესახებ.

სასიცოცხლო ციკლის მეორე სტადია წარმოადგენს – საცდელ-საკონსტუქტორო სამუშაოებს (სსს). ამ სტადიაზე ხორციელდება კონსტრუქტორული დოკუმენტაციის შემუშავება, კერძოდ: ტექნიკური წინადადება, საესკიზო პროექტი, ტექნიკური პროექტი, სამუშაო კონსტრუქტორული დოკუმენტაცია. ტარდება აგრეთვე საცდელსაკონსტუქტორო სამუშაოები ტექნოლოგიური დანადგარის შესაქმნელად, რომელიც საჭიროა საცდელი ნიმუშებისა და პროდუქციის პარტიების დასამზადებლად.

პროდუქციის შექმნა მთავრდება მიმღები კომისიის შენიშვნების გათვალისწინებით ნაკლის გამოსწორების მიმართულებით და საცდელი ნიმუშის მიღების აქტის დამტკიცების შემდეგ. მიმღებ კომისიაში შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ შემმუშავებელი, მწარმოებელი და მომხმარებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სასიცოცხლო ციკლის შემდეგ სტადიას წარმოადგენს **წარმოების მომზადებისა** და **სიმძლავრეზე გასვლის სტადია**. იგი მოიცავს ახალი ნაწარმისა (ან სხვა საწარმოთა მიერ ათვისებულის) წარმოების ორგანიზებისთვის საჭირო ღონისძიებებს.

სიმძლავრეზე გასვლა განხორციელდება მაშინ, როცა დასრულდება წარმოების მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ:

- ტექნოლოგიური დანადგარის გაშვება და შემოწმება;
- დანადგარების სერიის წარმოებაში ჩაშვება;
- დანადგარების სერიის საკვალიფიკაციო შემოწმების ჩატარება;
- ტექნოლოგიური და სხვა ტიპის კორექტირება და სრულყოფა.

დანადგარების სერია, ან პირველი სამრეწველო პარტია მზადდება მოცემული საწარმოს უნარის შესამოწმებლად, თუ რამდე-

ნად უზრუნველყოფს ის პროდუქციის სამრეწველო გამოშვებას სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციისა და მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად. დანადგარების პარტიის ის ნიმუშები, რომლებიც გაივლიან მიღება-ჩაბარებასა და საკვალიფიკაციო შემოწმებას, შეიძლება წარდგენილ იქნან სიახლეთა ბაზარზე (სარეკლამო კამპანიის გამართვა, დემონსტრაცია სავაჭრო ცენტრებსა და გამოფენებზე და ა.შ.).

სასიცოცხლო ციკლის ზემოთ განხილული ყველა სტადია ატარებს წინასაწარმოო სახელწოდებას. ამ დროს ხდება პროდუქციის ფორმირება, ხარისხის შექმნა; პროდუქციის ტექნიკური დონისა და პროგრესულობის განსაზღვრა.

მენეჯერმა უნდა აკონტროლოს წინასაწარმოო სტადიები, რათა არ მოხდეს მათი დროში გაწელვა, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოების სტადიას შეიძლება უკვე მოძველებულმა პროდუქციამ მიაღწიოს.

წარმოება – სასიცოცხლო ციკლის სულ სხვა სტადიას წარმოადგენს. ამ სტადიაში იქმნება პროდუქცია შეკვეთების პროფილის შესაბამისად.

სასიცოცხლო ციკლის ბოლო სტადიაა **ექსპლუატაცია** (ხანგრძლივი მოხმარების ნაწარმისთვის) და **მოხმარება** (ნედლეულისთვის, საწვავისთვის) დამკვეთისა ან მომხმარებლის მიერ, რომელიც მოცემულ პროდუქციას გამოიყენებს ან მაკომპლექტებელ ნაწარმად სხვა პროდუქციის წარმოებისას. ურთიერთობა მწარმოებლისა და მომხმარებელს შორის პროდუქციის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრება.

მნიშვნელოვანია პროდუქციის სისტემატიური განახლების უზრუნველყოფა ახალი ნაწარმის გამოშვებითა და მოძველებულის წარმოებიდან ამოღებით. პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლიობა სამენციერო-ტექნიკური პროგრესის ცალკეულ კონკრეტულ პერიოდში განისაზღვრება იმ ტექნიკის ფიზიკური და მორალური დაძველებით, რომელთა მეშვეობით იგი იწარმოება.

სიახლის შექმნაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს სამეცნიერო უზრუნველყოფის დონე. სწორედ სამეცნიერო-კვლევით სტადიაზე ეყრება საფუძველი სიახლის პოტენციალს, რომელიც

მატერიალიზდება საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებისა და პროდუქციის წარმოების გზით. მომავალი აქ ეკუთვნის სამეცნიერო კვლევებისა და პროექტირების ავტომატიზირებულ სისტემებს. მათი საშუალებით ხდება:

- მანქანის მეხსიერებაში ჩადებული პროგრესული წესებისა და პრინციპების სრული გამოყენება.
- სამუშაო დროის შემცირება.
- პროექტთან დაკავშირებული ინოვაციის ნაწილის პირდაპირ ექსპერიმენტული წარმოებაში გადაცემა შუალედური გაშიფვრის გარეშე.
- პროდუქციის კონსტრუქციებისა და დამზადების ტექნოლოგიის ვარიანტების დამუშავება კომპიუტერის საშუალებით.
- პროდუქციის და მისი ელემენტების აწყობის, შეუფერხებელი ფუნქციონირების და მუშაობის, სარემონტო ვარგისიანობის, კონტროლირებადობის, ტექნოლოგიურობის და მუშაობის გამოცდა-შემოწმება მასალების, ენერგიის, სამუშაო დროის დამატებითი დანახარჯის გარეშე.

პერსპექტიულია ასევე ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაც, ვინაიდან ეს შესაძლო ვარიანტების სიღრმისეული ანალიზსა და რთული კონსტრუქციების შედგენას გახდის შესაძლებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ. კიწმარიშვილი. ინოვაციური მენეჯმენტი. 2016 წ.
2. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
3. Иновационный менеджмент, под ред. В. Горфинкеля, М., 2007.
4. http: //www.russba.ru/

REFERENCES:

1. Q. Kitsmarishvili, Innovative Management. 2016 y.
2. Ilenkov M., Innovative Management, 2014y.

3. V. Gorfinkel, Innovative Management, 2007y.
4. http: //www.russba.ru/

MANAGEMENT OF WORKS AT DIFFERENT STAGES OF PRODUCTION LIFE CYCLES

Ketevan Kitsmarishvili
Associated Professor, GTU

RESUME

The life cycle of the production, in our case of the new technique, is composed of different stages, during which the idea is, being transformed into a new technique**.** Its initial stage of life cycle represents scientific-research works (SRW), which are being done within the joint technical task (TD).

Key Words: Performance of Technical Tasks, Selection of Research Directions, Generalization and Evaluation of the Results.

საგადასახადო კოორდინაციის, ჰარმონიზაციის და კონკურენციის საკითხები ევროკავშირში

გურამ საფარიძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

შესავალი

ევროპის თანამეგობრობის ინტეგრაცია, რთული და საინტერესო პროცესია. მსოფლიოში უმსხვილესი რეგიონული გაერთიანების საგადასახადო სივრცე მოითხოვდა გადასახადების გარკვეულ კოორდინაციას ისე, რომ შენარჩუნებულიყო წევრი ქვეყნების ჯანსაღი საგადასახადო კონკურენცია და მათთვის ხელსაყრელი ფისკალური რეჟიმები. ბიუჯეტის ზომის და საგადასახადო ტვირთების განსაზღვრა ისე, რომ მიღწეული იქნას სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების შესრულება და ეკონომიკური ზრდა, უნდა შეესაბამებოდეს გაერთიანების საერთო ინტერესებს. ევროკავშირისა და გაერთიანების წევრი ქვეყნების მიერ ტარდება პოლიტიკა, მათ შორის საგადასახადო სფეროში, რათა მიღწეული იქნას საერთო მიზნები. ევროკავშირის მესვეურებს უწევთ ამის კეთება ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების, გეოგრაფიული გაფართოებების და უამრავი გამოწვევის ფონზე.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, საგადასახადო პოლიტიკა, კოორდინაცია, ჰარმონიზაცია, კონკურენცია

ძირითადი ტექსტი

ევროინტეგრაცია თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასშტაბური ეკონომიკური და პოლიტიკური პროექტია, მიუხედავად უამრავი პრობლემებისა და გამოწვევები-

სა, რომელიც მის წინაშე მდგარა ინტეგრაციის პროცესების მიმდინარეობისას ათწლეულების განმავლობაში. საქართველოსათვის, როგორც ევროინტეგრაციისკენ მსწრაფი ქვეყნისათვის, ევროკავშირის საგადასახადო კოორდინაციის და კონკურენციის საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია.

ერთიანი საგადასახადო-საბაჟო სივრცის შექმნა ევროკავშირის სიმტკიცის ერთგვარ გარანტს წარმოადგენს. თანამედროვე ინტეგრირებულ სისტემებში იკვეთება საგადასახადო კონკურენციის, ჰარმონიზაციისა და კოორდინაციის მიმართულებები. ყოველ მათგანს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. კონკურენცია შეიძლება გადასახადების ჰარმონიზაციის ხელის შემშლელი ფაქტორი აღმოჩნდეს, რადგან არ შედიოდეს ინტეგრირებულ სისტემაში შემავალი რომელიმე მხარის ინტერესში, ან შეიძლება არც ერთი მხარის ინტერესის ობიექტს არ წარმოადგენდეს.

საგადასახადო ჰარმონიზაციის საკითხებს ევროკომისია აწესრიგებს. ევროპის საბჭოს მიერ მიღებული დირექტივები პირდაპირი და ირიბი გადასახადების შესახებ ასახვას ჰპოვებს წევრ სახელმწიფოთა საგადასახადო კანონმდებლობაში. ევროკავშირის მხრიდან კი დგება კოორდინაციის საჭიროება, რადგან საგადასახადო კონკურენციამ შეიძლება დააზიანოს ცალკეული ქვეყნების და მთლიანი ევროკავშირის ფინანსური სისტემა. მობილური წარმოების ფაქტორთა მოზიდვის მიზნით ქვეყნებს შორის არსებული საგადასახადო კონკურენცია ქმნის უფრო მეტი საგადასახადო კოორდინაციის საჭიროებას. [1;8;9;].

უნდა აღინიშნოს, რომ „საგადასახადო ჰარმონიზაცია“, როგორც ტერმინი საერთოდ არ გვხვდება ევროკავშირის სადამფუძნებლო დოკუმენტებში. თუმცა წევრი სახელმწიფოების მიერ განხორციელებული მოდიფიკაციები ამ მხრივ აჩვენებენ, რომ ევროკავშირის წევრები ერთი და იგივე პოზიციას იზიარებენ ისეთ საკითხებში, რომელიც ხელს უშლის საქონლის, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალ მიმოქცევას.

1957 წლის რომის სადამფუძნებლო ხელშეკრულების მიხედვით ევროკავშირს უფრო მეტი უფლებამოსილება აქვს ირიბი გადასახადების ამოღების განსაზღვრის მხრივ, ამდენად, საგადასახადო ჰარმონიზაცია უფრო ირიბ გადასახადებს შეეხება და ამ კუთხით მნიშვნელოვანი შედეგი ევროკავშირის მიერ უკვე მიღწეულია. დღგ, აქციზის და სხვა ირიბი გადასახადების უფრო მეტი ჰარმონიზაცია დაკავშირებულია ინტეგრაციული ეტაპების თავისებურებებთან, თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნასთან. საქონლისა და მომსახურების გადაადგილებისას გადამხდელისთვის ირიბი გადასახადები უფრო მნიშვნელოვანია. თუმცა, თანამედროვე პერიოდში თანდათან იმატა სხვა გადასახადების ჰარმონიზების პოლიტიკის საჭიროებამ.

საგადასახადო ჰარმონიზაცია ზოგადად მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

- წევრ-სახელმწიფოების გადასახადების და მოსაკრებლების ჰარმონიზაცია;
- საგადასახადო პოლიტიკების ურთიერთკოორდინაცია;
- საგადასახადო სისტემების გაერთიანება.

საგადასახადო ჰარმონიზაცია წარმოადგენს საგადასახადო სისტემების და საგადასახადო პოლიტიკის ეტაპობრივ კონვერგენციას, დირექტივების, ერთობლივი კონსულტაციების და არაოფიციალური შეთანხმებების საფუძველზე იდენტური საგადასახადო სივრცის შექმნის თანმიმდევრობით პროცესს მთელ ევროკავშირში და მის დაქვემდებარებას ცენტრალიზებულ მმართველობაზე [2; 11;14;].

ჰარმონიზაციის პროცესი შედარებით ნელი ტემპებით მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე, ათწლეულის განმავლობაში, მხოლოდ საბაჟო რეჟიმების დაახლოება განხორციელდა. 1968 წელს საბაჟო კავშირის შექმნის შემდეგ ერთიანი ბაზრის მშენებლობამ საგადასახადო კონვერგენციის საკითხის პრიორიტეტულობა გაზარდა. საზღვრებზე საქონლისა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებას ხელი შეუშალა

ისეთმა სავაჭრო ბარიერებმა, როგორიცაა გადასახადები გაყიდვიდან და აქციზები. 1970 წლისთვის კავშირის წევრებმა აიღეს ვალდებულება ერთიანი დღგ შემოღების შესახებ, რომელსაც ექნებოდა ამოღების უნიფიცირებული ბაზა, სტრუქტურა და მექანიზმი. მიუხედავად ამისა, დღგ შემოიღეს ძალზე განსხვავებული განაკვეთებით, რაც ხელს უშლიდა წარმოების ფაქტორთა ფასების დაახლოებას წევრ ქვეყნებს შორის. 1985 და 1992 წლის შეთანხმებებით დღგ განაკვეთები მოექცა მინიმალურ (5%-9%) და მაქსიმალურ (15%-25%) ჩარჩოებში [12;].

ევროკავშირში დღგ სისტემის მთავარი პრინციპები შემდეგში მდგომარეობს: სრული ეკონომიკური ნეიტრალობის პრინციპი; სამეურნეო მოღვაწეობის ყველა სფეროსადმი ექვივალენტური გამოყენების პრინციპი, მათი მიზნებისა და შედეგიანობისგან დამოუკიდებლად; ორმაგი დაბეგვრის დაუშვებლობის პრინციპი; გადასახდელების ფრაქციონირების პრინციპი; მოხმარების შემაჯამებელი დაბეგვრის პრინციპი; საგადასახადო ტვირთის საბოლოო მომხმარებელზე დაკისრების პრინციპი; მოხმარებული საქონლის წარმომშობ ქვეყანაში ამოღების პრინციპი. ითვლება, რომ, დღგ ნაკლებად ამახინჯებს სტიმულებს, რამდენადაც სიმძიმე გადანაწილებულია.

1990-იან წლებში, მას შემდეგ, რაც გადაწყდა ევროკავშირის ერთიანი ვალუტის შემოღება, საგადასახადო ჰარმონიზაციის თემა კვლავ გახდა აქტუალური. გლობალიზაციის ტალღის სიძლიერე ევროკავშირის ქვეყნებს აიძულებდა უფრო კონსოლიდირებულად ემოქმედათ. იმდენად, რამდენადაც სავალუტო კონვერგენციას წევრი სახელმწიფოების სტაბილური საბიუჯეტო სისტემა სჭირდება შემცირებული დეფიციტით, ევროკავშირმა გაამკაცრა მოთხოვნები საგადასახადო პოლიტიკისადმი. 1992 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულებით განისაზღვრა ცნობილი კრიტერიუმები, რომელიც ეხება სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრებსაც. კერძოდ, სა-

ხელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 3%-ს, სახელმწიფო ვალი - მშპ-ის 60%-ს. [3; 5;10;11;].

სავალუტო ინტეგრაციის გარდა გადასახადების ჰარმონიზაციის პროცესებს განსაზღვრავდა სხვა ფაქტორებიც: 1) საერთო ბაზრის არსებობა; 2) ერთიანი გარემოს შეცვლა; ელექტრონული ვაჭრობის გამოჩენა; 4) ევროკავშირის ჩარჩოებში შერწყმისა და შთანთქმების რაოდენობის გადიდება.

ერთი შეხედვით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ჰარმონიზაცია ეკონომიკური ზრდის და სამეწარმეო აქტივობის შემაფერხებელია. მეორე მხრივ, ჰარმონიზაციას ფინანსური სტაბილურობის მიღწევისათვის აუცილებლად თვლიან. პრინციპში, გაერთიანების არაწევრი სახელმწიფოები ასევე ცდილობენ გადასახადების დამსგავსებას, რაც წარმოადგენს როგორც

საგადასახადო კონკურენციის, ასევე ჰარმონიზაციის შედეგს.

საგადასახადო კოორდინაციის გაძლიერება და სისტემის უნიფიცირება გარდაუვალი გახდა ორმაგი დაბეგვრის და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის რისკების მინიმიზირების მიზნითაც. რამდენადაც ყოველი ქვეყნის ინტერესებში შედის დიდი ბიუჯეტი, ხოლო საგადასახადო სისტემისათვის ფისკალური ფუნქცია საკვანძოს წარმოადგენს, ამიტომ ისინი ერთმანეთთან ჰარმონიულად არსებობენ მაღალი გადასახადების შენარჩუნების პირობებში.

ადრე ირიბი გადასახადების წილი ევროკავშირის საგადასახადო შემოსავლების საერთო მოცულობაში უფრო მეტი იყო. მაგალითად, 1972 წელს პირდაპირი გადასახადების წილი მხოლოდ 26,5% შეადგენდა. შემდგომში შეფარდება რამდენადმე შეიცვალა. 2009 წელს საშუალოდ ევროკავშირში ეს მაჩვენებელი 32,4%-ს უდრიდა. გერმანიაში პირდაპირ გადასხადებზე უკვე ამჟამად მოდის საგადასახადო შემოსავლების 50%, საშუალოდ ევროკავშირში - 40% (შედარებისათვის აშშ-ში 70 %-ზე მეტი).

პირდაპირი დაბეგვრა ევროკავშირის ყველა სადამფუძ-

ნებლო დოკუმენტის მიხედვით რჩება წევრი ქვეყნების რეგულირების ქვეშ და გადასახადო სისტემა ზოგადად წევრი სახელმწიფოების ეროვნული სუვერენიტეტების ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტს წარმოადგენს. ამ ფონზე საგადასახადო ჰარმონიზების გაღრმავება მეტყველებს, რომ ევროინტეგრაციული პროცესები უფრო გაღრმავდა. ელექტრონული ვაჭრობის ზრდა, შერწყმებისა და შთანთქმების რაოდენობის მატება ცვლის ევროპული კომპანიების საგარეო აქტივობის ხასიათს, რის შედეგადაც დაბეგვრის ერთიანი მიდგომა ევროკავშირში აუცილებელი გახდა.

პირდაპირი გადასახადების ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების პოზიციები უფრო მეტად განსხვავდება. ევროკომისია, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ რეკომენდაციებით იფარგლება. საუბარი კორპორაციული დაბეგვრის ჰარმონიზირებაზე და საგადასახადო განაკვეთების შეზღუდვაზე 1960-იანი წლებიდან დაიწყო, თუმცა ფისკალური ამოცანების გადაწყვეტის პრიორიტეტულობამ ამ შემთხვევაშიც სძლია და ზოგ ქვეყანაში კორპორაციულმა გადასახადებმა 50%-ს მიაღწია. 1975 წელს ევროკომისიის მიერ დირექტივის [15;]გამოქვეყნებული პროექტი საგადასახადო განაკვეთების 45-55%-იან დიაპაზონში მოქცევაზე უარყოფილი იქნა, როგორც დაუსაბუთებელი. კომპანიებისა და მოქალაქეების დაბეგვრის სფეროში განსხვავებები იყო ყველა პარამეტრის მიხედვით (დაბეგვრის ობიექტი, შეღავათები, განაკვეთები, ორმაგი დაბეგვრა) [7;].

საერთოდ, განაკვეთები უფრო იშვიათად იცვლება, ვიდრე საგადასახადო ბაზის გაანგარიშების წესი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ განაკვეთების შეცვლა უფრო მყისიერად და მძლავრად ურტყამს საბიუჯეტო შემოსავლებს. გარდა ამისა, საგადასახადო ბაზის ცვლილება უფრო გათვლილია გადასახადის გადამხდელთა გარკვეულ ჯგუფზე და ცვლილებებს შესაძლოა ნაკლები სოციალური დანახარჯები მოყვეს.

გადასახადების ჰარმონიზირება ხდება ამორტიზაციის

პერიოდის დაჩქარებით, ინვესტირების დროს დაბეგვრისას გასათვალისწინებელი ხარჯების გაზრდით, არსებობის პირველი წლის ზარალის განუსაზღვრელი დროით გადატანით, დეპრესიულ რეგიონებში მიღებული შემოსავლების დასაბეგრი მოგებიდან გამოტანით, ინვესტიციური პროექტების საწყის ეტაპზე ხარჯების მთლიანად გათვალისწინებით და ა.შ.

პირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილის ზრდამ გამოიწვია მარეგულირებელი დირექტივების მიღება. ამ დოკუმენტებში ფიქსირდება, რომ არსებითი განსხვავებები საგადასახადო სისტემებს შორის ლიკვიდირებული უნდა იქნეს, დაწესდეს ერთიანი განაკვეთები და დაბეგვრისადმი ერთიანი მიდგომები. პირველი რეალური ნაბიჯები 1986 წლიდან გადაიდგა. 1996-1997 წლებში შემოღებული იქნა კორპორაციული დაბეგვრის კოდექსი, რომელიც პირდაპირ დაბეგვრას არეგულირებს. მასში შედის შემდეგი სახის დირექტივები:

- დედობილ-შვილობილი კომპანიების დაბეგვრის საკითხების რეგულირების;
- დივიდენდების (პროცენტული სახით) შემოსავლებთან დაკავშირებული;
- პროცენტებისა და როიალტის ორმაგი დაბეგვრის.

2008 წ. კრიზისმა პირდაპირი გადასახადების ჰარმონიზაციის საკითხი უფრო ინტენსიური გახადა. ტრანსნაციონალური კორპორაციების და უცხოური კომპანიების აქტივობა ევროკავშირის ბაზარზე უფრო მეტ სიმწვავეს აძლევს მოცემულ საკითხს. 2010 წლიდან დაწყებულია კორპორაციული, მცირე და საშუალო ბიზნესის დაბეგვრის ერთიანი ბაზების შემუშავება (განაკვეთები სახელმწიფოების პრეროგატივას წარმოადგენს) და დაბეგვრის ერთიანი პარამეტრების შემოღება. [4;6; 13]. 2016 წლის ნოემბერში ევროკომისიამ მიაღწია შეთანხმებას გადასახადისგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. დირექტივების პროექტები შეეხება:

- კორპორატიული გადასახადის ერთიან ბაზას,
- ერთიან სტანდარტებში მოქცევას იმ სუბიექტების, ვისი

წლიური ბრუნვა 750 მლნ ევროზე მეტია (სხვებისათვის ნებაყოფილობითია);

- ჰიბრიდული სქემების გამოყენებას (ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების საგადასახადო სისტემებისგან განსხვავებების გამოყენება საგადასახადო ოპტიმიზაციისათვის)

- ორმაგი დაბეგვრის სფეროში დავების გადაწყვეტის მექანიზმებს.

შემოთავაზებული იქნა მუდმივი წარმომადგენლობის უშუალოდ ევროკავშირის ტერიტორიაზე განლაგების აუცილებლობა და მისი ევროკავშირის საგადასახადო რეზიდენტად ყოფნა, კავშირს გარეთ მუდმივ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული გადასახადების დარეგულირება ორმხრივი ხელშეკრულებებით და ეროვნული საგადასახადო კანონმდებლობებით. გარდა ამისა, დივიდენდები ან აქციების გაყიდვიდან შემოსავლების გადასახადებისგან გათავისუფლება გარკვეულ პირობებში; სამეცნიერო-კვლევით და საგამომცდელო-საკონსტრუქტორო დანახარჯებზე ზეგაქვითვა დიფერენცირებული კოეფიციენტებით; სესხიდან პროცენტების და ინვესტიციური ზრდის რეზერვების გამოქვითვის შეღავათები; ზარალის მომავლისათვის გადატანა განუსაზღვრელი პერიოდით; ტრანსსასაზღვრო ზარალის კონსოლიდირება.

გადასახადიდან თავის არიდების საწინააღმდეგო ზომებისა და ჰიბრიდული სქემებისადმი მიდგომების განხორციელება 2019 წლიდან დაიწყება.

არის კიდევ რამდენიმე სიახლე ამ მხრივ:

რეორგანიზაცია. ჯგუფის შემადგენლობაში კომპანიის შესვლის შემთხვევაში დაგროვილი ზარალი შემდგომ მოგებას გამოაკლდება ჯგუფიდან გამოსვლისას, ჯგუფში არსებობისას წარმოქმნილი ზარალი არ გადაყვება.

წყაროსთან დაკავებული %-ისა და როიალტის გადასახადები პროპორციულად განაწილდება ჯგუფის კომპანიებს შორის. დივიდენდის გადასახადი კი არ განაწილდება, რადგა-

ნაც ის გადაიხდევინება წმინდა მოგებიდან დაჯგუფის დაბეგვრად მოგებაზე გავლენას არ ახდენს. ჯგუფის შიდა გარიგებები წყაროსთან საერთოდ არ დაიბეგრება.

პროპორციული განაწილების ფორმულა. განაწილება მოხდება სამი თანაბარი წონის მაჩვენებლის პროპორციულად: პერსონალის რიცხოვნობა, აქტივები და ბრუნვა. ეს გადასახადებს სამართლიანად გადაანაწილებს ევროკავშირის ქვეყნებს შორის, ამავდროულად დაბეგვრა მოხდება ფაქტიურად მიღებული მოგების ადგილზე.

ადმინისტრაციული პროცედურები. დაბეგვრის ერთიანი წესების მიმღები კომპანიათა ჯგუფი შეხებაში იქნებიან იმ საგადასახადო სამსახურთან რომელიც დედობილი კომპანიის რეზიდენტობის ქვეყანაშია. ცალკეული გადამხდელები, ვისაც კორპორატიული გადსახადის ერთიანი ბაზის დირექტივის წესების გამოყენება სურთ, რჩებიან თავიანთი ეროვნული ადმინისტრაციული მოთხოვნების ქვეშ. ინიციატივა მიღების შემთხვევაში ძალაში შევა და დაინერგება 2021 წლის იანვრიდან.

დაბეგვრის ერთიანი წესების გამოყენებისაკენ მოძრაობა ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ცხოვრებას უადვილებს. გადასახადების თავიდან არიდების წინააღმდეგ ბრძოლაც ადვილდება. საგადასახადო კონკურენციის საშუალება სახელმწიფოებს რჩებათ, ოღონდ საგადასახადო განაკვეთით. საგადასდახადო ანალიზი უფრო მარტივი და თვალსაჩინო ხდება.

თუ შესაბამისი სგადასახადო დირექტივის დანერგვა რომელიმე ქვეყანაში არ მოხდება, ევროკავშირი „ერთიანი ფრონტით“ წინ აღუდგება „აგრესიული“ საგადასახადო წესების ქვეყანას. ცალკეულ ინიციატივებს შეუძლიათ დასაბეგრი მოგების გადანაწილება ქვეყნებს შორის, რამაც შეიძლება იმოქმედოს ცალკეული ქვეყნის საგადასახადო განაკვეთებზე.

მოქალაქეების დაბეგვრის ჰარმონიზაცია უფრო ნაკლებად

ხდება. ამ საკითხში მთავარი ყურადღება ექცევა გადასახადების გადაფარვის შესაძლებლობების მინიმიზაციას, ასევე ორმაგი დაბეგვრის ლიკვიდაციას. ევროკავშირის აქტივობა ამ მხრივ მიმდინარეობს ორი მიმართულებით: დივიდენდების და საპენსიო დანაზოგების დაბეგვრის რეგულირება (რამდენადაც ისინი მეტწილად სახსრების საპენსიო ფონდებში განთავსებით ხორციელდება).

დივიდენდების დაბეგვრისას ევროკავშირის ქვეყნებში გამოიყენება შედულარული მოდელი (როდესაც შემოსავალი იყოფა გარკვეულ ინტერვალებად, თითოეულისთვის შესაბამისი განაკვეთით), ან პირობითი გაანგარიშების მოდელი (ერთ ქვეყანაში გადახდილი გადასახადი ითვლება მეორე ქვეყანაში).

როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირის ზოგი წამოწყების გაზიარება არ ხდება. მაგ. საგადასახადო განაკვეთების კორიდორის 30-დან 40%-მდე დადგენა. 1995-დან 2000 წლამდე პირდაპირი გადასახადების განაკვეთებმა საშუალოდ 12%-ით იკლო. კორპორაციული გადასახადის კლება ძირითადად „ახალი“ ქვეყნების ხარჯზე მოხდა.

გადასახადების ჰარმონიზაციისას გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკურ ციკლებზე პირდაპირი გადასახადები უფროა დამოკიდებული, ვიდრე ირიბი. მაგალითად, 2008 წელს საგადასახადო შემოსავლები პირდაპირი გადასახადების ნაწილში 6,5%-ით შემცირდა. ზოგიერთმა „ძველმა“ ქვეყანამ საგადასახადო განაკვეთები გაზარდა კიდეც, ზოგმა „ახლებმა“ -- პირიქით (მაგალითად უნგრეთში შემცირდა 40%-იდან 16 %-მდე).

ევროკომისიის მოხსენებებში 1990-იანი წლების ბოლოდან აღინიშნება, რომ ევროკავშირის ქვეყნებს შორის საგადასახადო სისტემები კონკურირებენ ყველა პარამეტრის მიხედვით. ერთი შეხედვით, ინტეგრირებული ეკონომიკის პირობებში უფრო მეტი უნდა იყოს წევრი ქვეყნების საგადასახადო კონკურენციით სარგებლის მიღების ცდუნება. საგადასახადო

კონკურენცია გადასახადის გადამხდელისათვის ტვირთის შემსუბუქებაა. თუმცა საგადასახადო კონკურენცია გარკვეულად წინააღმდეგობაშია წევრი ქვეყნების დომინანტურ სტრატეგიებთან, რამდენადაც საგადასახადო ტვირთის შემცირება ყველგან გამოიწვევს ბიუჯეტების ზომების შემცირებას ოპტიმალური მაჩვენებლებისაგან. ერთმა ცალკე აღებულმა ქვეყანამ რომ შეამციროს გადახადები სხვა ქვეყნებში განაკვეთების უცვლელობის პირობებში, ეს გაართულებს რაციონალური განაკვეთების განსაზღვრას მოცემულ ქვეყანაში, შესაძლოა არარეზიდენტების პრეფერენციული დაბეგვრის ცდუნებაც გაჩნდეს. გაიზრდება რისკები და განუსაზღვრელობა, რაც ხელს შეუშლის ქვეყნის სტაბილურობას.

მაღალი გადასახადების ქვეყნებს არ მოსწონთ საგადასახადო კონკურენცია და იყენებენ ევროკავშირის ბიუროკრატიულ სტრუქტურას რაც შეიძლება მეტი ჰარმონიზაციის მიღწევისთვის. ცხრილი N1-ის მაჩვენებლებიდანაც ჩანს, რომ ევროკავშირის გაფართოებამ გააძლიერა რეგიონის საგადასახადო კონკურენცია და ინტეგრაციული დაჯგუფება დაჰყო მაღალი საგადასახადო ტვირთის „ძველ“ და საგადასახადო დემპინგის გამომყენებელ (ინვესტიციებისა და კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვის მიზნით) „ახალ“ ქვეყნებად.

ახალი ქვეყნები ახერხებდნენ, შედარებით დაბალი საგადასახადო შემოსავლებით გამოწვეული ბიუჯეტის დეფიციტი შეევსოთ ევროკავშირიდან მიღებული სხვადასხვა დახმარებებით. გამოდის, რომ ძველი ქვეყნები იხდიან მაღალ გადასახადებს, არიან კონტრიბუტორები იმ ქვეყნების ბიუჯეტებისა, რომლებსაც დაბალი გადასახადები აქვთ.

უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში საგადასახადო ტვირთებს შორის განსხვავების ეს დაცილება თანდათან ნიველირდება. ამის მიზეზი კი გარდა კანონზომიერებისა, რომლის მიხედვით ეკონომიკურ ზრდას მოყვება ბიუჯეტის მშპ-თან შეფარდების ზრდა, არის ევროკავშირის ბიუროკრატიული მექანიზმის საგადასახადო ჰარმონიზაციისკენ მი-

გადასახადის ტვირთები ევროკავშირის ქვეყნებში % მშპ-თან

ევროკავშირის ძველი წევრები			ევროკავშირის ახალი წევრები	
ქვეყანა		საგად. ტვირთი % მშპ-თან	ქვეყანა	საგად. ტვირთი % მშპ-თან
1	ირლანდია	28.8	კვიპროსი	25,9
2	პორტუგალია	32,5	ლატვია	27,6
3	შვედეთი	44,3	უნგრეთი	38,9
4	ფინეთი	44,1	პოლონეთი	32,2
5	დიდი ბრიტანეთი	32,2	სლოვაკეთი	28,5
6	დანია	48	სლოვენია	37,4
7	ლუქსემბურგი	37,8	ესტონეთი	32,5
8	ავსტრია	43,2	ჩეხეთი	35,5
9	ბელგია	45,3	მალტა	35,2
10	ნიდერლანდები	38,6	ლიტვა	16
11	საბერძნეთი	33,8	რუმინეთი	28,2
12	ესპანეთი	32,9	ბულგარეთი	26,5
13	საფრანგეთი	45,3	ხორვატია	22,6
14	იტალია	44,4		
15	გერმანია	37,6	საქართველო	25,2

წყარო: http://svspb.net/danmark/nalogov-v-vvp-stran.php

მართული მუშაობის შედეგი. ეს კი გამომდინარეობს ძველი ქვეყნების, ევროკავშირის საერთო და თვით ევროკავშირის ბიუროკრატიული წარმონაქმნის კერძო ინტერესებიდან. ზოგადად, დიდი ეკონომიკის ქვეყნის მცდელობა საგადასახადო კონკურენციაში შესვლის მხრივ უფრო სახიფათოა ინტეგრაციული პროცესებისთვის და რამდენადაც გადაწყვეტილების მიღებისას მათ სიტყვას უფრო მეტი წონა აქვს, ევროკავშირის საგადასახადო სივრცე უფრო მეტად კოორდინირებული

ხდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთი ერთიანი კორპორაციული გადასახადისა და ერთიანი ბაზის წინააღმდეგი გამოდიოდა.

სახელმწიფო ბიუჯეტების ზომა ევროკავშირის ქვეყნებში წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო რომ იზრდებოდა, ამის ძირითადი მიზეზი იყო მათი სწრაფვა სოციალური სახელმწიფოს მშენებლობისადმი, რაც ითვალისწინებს უფრო მეტ სოციალურ გარანტიებს, ამას კი დიდი ბიუჯეტი ესაჭიროება. გარდა ამისა, შეზღუდული ბუნებრივი რესურსები და ეკოლოგიური პრობლემები გარკვეულ წინააღმდეგობაშია ევროკავშირის ეკონომიკურ ზრდასთან. მისი სტიმულირებისათვის კი, განსაკუთრებით, კრიზისული ვითარებიდან გამოსვლისათვის ევროკავშირი ძირითადად ფისკალური პოლიტიკის ბერკეტებს იყენებს, რაც თავისთავად განაპირობებს დიდი ბიუჯეტის არსებობას. მისი კონსოლიდირება კი მოითხოვს მაღალ გადასახადებს.

ევროკავშირის საგადასახადო სივრცის ჰარმონიზაცია წევრი ქვეყნების ჯანსაღი საგადასახადო კონკურენციის შენარჩუნების პირობებში რთული და საინტერესო პროცესია, რომელსაც განვითარების მრავალი ათწლეულის ისტორია აქვს. ევროგარეთიანებაში ინტეგრირების პროცესში საქართველომ უნდა განსაზღვროს გადასახადების ის მისაღები დონე, რომელიც არ იქნება ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი, კერძოდ, დარჩეს შედარებით დაბალი გადასახადების მქონე ევროპის ახალი წევრი ქვეყნების „ლიგაში“, ამავდროულად, ჰქონდეს იდენტური საგადასახადო სივრცე, რომელიც მაქსიმალურად მიესადაგება სტრატეგიული ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორის, ევროკავშირის სტანდარტებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Bernardi L. Tax Systems and Tax Reforms in Europe: Rationale and Open Issues of More Radical reforms. Department of Public and Environmental Economics University of Pavia – Italy. Working Papers N200/2003. 31pp.

2.Garnier G., György E., Heineken K., Mathé M., Puglisi L., Ruà S., Skonieczna A. and Van Mierlo A. A wind of change? Reforms of Tax Systems since the launch of Europe 2020 Taxation Papers. Working Paper N49-2014. 43pp.

3.Garnier G., Gburzynska A., György E., Mathé M., Prammer D., Ruà P. and Skonieczna A. Recent Reforms of Tax Systems in the EU: Good and Bad News. Taxation Papers. Working Paper N39-2013. 43pp.

4.Ekins P. Resource Productivity, Environmental Tax Reform and Sustainable Growth in Europe. Anglo-German Foundation for the Study of Industrial Society. 2009. 74pp.

5.Mintz J.M. Company Taxation and the Internal Market. European Company tax Reform: Prospects for the Future. CESifo Forum 1/2002. 7pp.

6.Monitoring Tax Revenues and Tax Reforms in EU Member States 2010. Tax Policy after the Crisis. Taxation Papers. European Commission. Working Paper N24-2010. 91pp.

7.Paulus A. Peichi A. Effects of Flat Tax Reforms in Western Europe on Income Distribution and Work Incentives. IZA DP No. 3721. 2008. 37pp.

8.Tax Policies in the European Union 2016 Survey. European Commission. 76pp.

9.Tax Reforms in EU member States: 2015 Report. Directorate General for Taxation and Customs Union. Directorate General for Economic and Financial Affairs. Working Paper N58-2015. 130pp.

10.Tax Reforms in EU member States: 2014 Report. European Commission. Working Paper N48-2014. 156pp.

11.Tax Reforms in EU member States: 2013. Directorate

General for Taxation and Customs Union. Directorate General for Economic and Financial Affairs. Working Paper N38-2013. 123pp.

12.Tax Reforms in EU member States: 2012 Report. Directorate General for Taxation and Customs Union. Directorate General for Economic and Financial Affairs. Working Paper N34-2012. 124pp.

13.Tax Reforms in EU member States. European Commission. Working Paper N28-2011. 143pp.

14.The Effects of Tax Reforms to Address the Debt-Equity Bias on the Cost of Capital and on Effective Tax Rates. Centre for European Economic research (ZEW) GMBH. Working Paper N65-2016. 110pp.

15.file:///C:/Users/USER/Downloads/12246-11689-1-PB%20(1).pdf

Ю.С. Ранчинскаявестник российского университета дружбы народов серия экономика выпуск 1 (2012г.). ПРОЦЕСС ГАРМОНИЗАЦИИ ПРЯМЫХ НАЛОГОВ В ЕС: ОСНОВНЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ И НАПРАВЛЕНИЯ РАЗВИТИЯ Российский университет дружбы народов ул. Миклухо-Маклая, 6, Москва, Россия, 117198

16.J.S. Ranchinckaya;bulletinoftheRussianUniversityofPeoples' Friendship.Series economics issue N1 (2012).Moscow, Russia, 117198.Harmonization process of direct taxes in EU: main results and directions of development.

ISSUES OF TAX COORDINATION, HARMONIZATION AND COMPETITION IN THE EUROPEAN UNION

Guram Safaridze
PhD Student, Batumi Shota
Rustaveli State University

RESUME

Integration of the European Community is a difficult and interesting process.The tax space of the largest regional unity in the world demanded the harmonization of taxes to maintain a healthy tax competition between the member countries of the European Union and favorable fiscal regimes for them.The size of budgets and the tax burdens must be determined accordinace to the implemintation of various state programs and achievement economic growth and consistent with the common interests of the community. The EU leadersface many chalalenges concerning to deepening economic integration and geographical enlargements.

Key words: Tax policy, tax coordination, tax harmonization, tax competition, the European Union.

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები

გადაეცა ასაწყობად 5.06.2017 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.06.2017 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11